

ლუარა სორდია

ანა კალანდამის
ესთეტიკის საკითხები

თბილისი

2009

ნაშრომში ანა კალანდაძის ესთეტიკის უმთავრეს მახასიათებლად მიჩნეულია მისი რელიგიურობა, პოეტური ნიჭის გააზრება სულიწმინდის მადლად, ხოლო შთაგონების მოვლინება გამოიხატება ტერმინით “მობერვა”.

წიგნში საუბარია დიდი შემოქმედისათვის დამახასიათებელ საიდუმლოზე, საღვთო სიბრძნეზე, მისტიურობაზე, მშვენიერის, ამაღლებულის, ჭეშმარიტების კატეგორიებზე, მუსიკალობის, ეროვნული ტრადის – ენა, მამული, სარწმუნოება – პრიორიტეტზე, ხილულის თუ უხილავის, მიწის და ზეცის, “ორი ქვეყნისადმი” ინტერესზე, “ყოველთა დიდ სიყვარულზე” – ღმერთზე, როგორც ანა კალანდაძის შემოქმედების ცენტრალურ პრობლემაზე.

შესწავლილია შემოქმედების უმთავრესი წყაროები, ყურადღება ეთმობა პოეტის კუმირებს.

ნაშრომში ნაჩვენებია, რამდენად ეწინააღმდეგებოდა პოეტის თავისუფალი სული გაბატონებულ დოგმებს, შეკვეთებს, სტერეოტიპებს.

ინტერესის საგანია სულიერი ინდივიდუალობის საკითხები, შედეგების შექმნის პროცესები, სვლა დინების წინააღმდეგ, რაც გახდა პოეტის უკვდავების საწინდარი.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის, ასევე ანა კალანდაძის შემოქმედების პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ტიტე მოსია

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნანა კუცია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დარიკო ფიფია

ISBN 978-9941-12-572-0

შინაარსი

შესავალი ;

თავი I

ცათა მაღალთა მაღლი;

იალალეზით მოზერილ ვარ სიყვარულისად;

საიდუმლო _ მხატვრული შემოქმედების ძირითადი კანონი;

მაღალი სიბრძნის სინათლე;

მისტიურის მიღმა ფერებით შემოსილი;

სხივები შენი მოილე ჩემკენ;

და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე;

ჰა, იგი მაცნე ზენაარისა;

მუსიკა ცისა და მიწის;

ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი;

ენა, მამული, სარწმუნოება;

მშვენიერებით მომეფონები;

უკეთურებით კვალად ხსნისათვის;

ჭემმარიტების წმინდა კუნძულზე;

ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ;

ყოველთა დიდი არს სიყვარული;

შემოქმედების მთავარი წყარო _ ბიბლია;

თავი II

პოეტის კუმირები;

თავი III

ანა კალანდაძის პოეზიის მკითხველი და გადამკითხველი;

როგორ იქმნებოდა პოეტის შედევრები;

დაემატე საქართველოს ფრესკებს.

შესავალი

ანა კალანდაძე თანამედროვეებმა “ქართული პოეზიის “დედოფლად”, “ღვთაებრივად” (რ. მიშველაძე), ბულბულად, “სინაზისა და სიყვარულის საყვირად” (გ. ასათიანი) გამოაცხადეს. პოეტის უმაღლესი დაფასების გამოხატულებაა მისთვის რუსთაველის პრემიის ლაურეატის წოდების მინიჭება.

1946 წლის 25 მაისი, როცა ოცდაორი წლის ანა კალანდაძემ მწერალთა სასახლეში პირველად წაიკითხა თავისი ლექსები, ქართული ლირიკის აღორძინების თარიღად იქნა მიჩნეული.

და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა თავის დიდების ზენიტში იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი.

ანა კალანდაძის სიდიადის აღიარების დასტურია მისი ხსენება ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის გვერდით.

“ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინა. მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლმეგრძნება, სრულიად ახალი პოეტური მეტყველება. მისი შთაგონების წყაროს ქართლის ცხოვრება, ბიბლია, დავით გურამიშვილი, გურიის ფოლკლორი წარმოადგენს. გასაოცარია ეროტიკული მოტივების უქონლობა. მისი ლექსები უფრო რელიგიურ ჰიმნებს ჰგავს, ვიდრე პირად ლირიკურ აღსარებას... რა მშვენიერია მისი კითხვის მანერა, უკეთ ვთქვათ – უმანკოება. მისი ხმის მუსიკა ახლაც მესმის. თუ ჩემს ასაკში ან მდგომარეობაში კიდევ შეიძლება ბედნიერი წუთების განცდა, მე ის გუშინ განვიცადე” – ასეთი იყო არა მარტო გერონტი ქიქოძის პირველი შთაბეჭდილება და აღტაცება, რომელიც სამართლიანად დაიმსახურა და ღირსეულად გაამართლა ანა კალანდაძემ”, ნათქვამია პოეტის ორტომეულის პირველი ტომის ანოტაციაში (1,5).

აღნიშნულია, რომ “ანა კალანდაძის პოეზია იყო “ახალი სუნთქვა”. ამ ახალი ამოსუნთქვისთვის ქართული პოეზიის ადგილის დედა კარგა ხანს იკრებდა ძალას (2,99).

ანას ამაღლებული, ღვთაებრივი ინტონაციების მოსმენით გამოწვეული სიხარული და მისი ხმების მონატრება გამოხატა ალექსანდრე აბაშელმა: “გამიხარეთ მოხუცს გული, ყოველ წუთს და საათს წვეთ-წვეთად შემასვით ეს ღვთაებრივი ზედაშე... მიკითხეთ და მასმენინეთ ეს მშვენიერი ლოცვები” (3,3).

ცნობილ კრიტიკოსს გურამ ასათიანს ვაჟა-ფშაველას ბალადა “ანა ბულბული” დიდი პოეტი ქალის მოვლინების წინაგრძნობად ესახებოდა. ბალადაში მოთხრობილია, როგორ იქცა ობოლი გოგონა ჩიტად, როგორ გალობდა ყველა ჩაგრულზე, ყველა გულნატკენზე, ყველა მოურჩენელ სატკივარზე, როგორ ამრთელებდა თავისი გალობით ყველა ჭრილობას, როგორ იქცა მთელი მისი არსება სინაზისა და სიყვარულის საყვირად.

“რა ტურფად გალობს, ტკბილადა”, ამბობდნენ მისი სიმღერით დამტკბარი მსმენელები.

“ბალადის დამწერი თითქოს მართლაც გრძნობდა, რომ საქართველოს ოდესმე უთუოდ მოევლინებოდა ასეთი სული” – წერდა გურამ ასათიანი (4,133).

გალობა, ლოცვა – მართლაც ეს სიტყვები შეეფერება ანა კალანდაძის ამაღლებულ პოეზიას, რომელსაც გამოარჩევს “სულისმიერი სიმალლე, უანგარობის იდეალი” (გურამ ასათიანი).

ანა კალანდაძის მოღვაწეობის დიდი პერიოდი (50-იანი წლებიდან 80-90-იან წლებამდე) ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობით, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის გაფეტიშებით, ჰუმანიზმის, ეროვნულობის, რწმენის იგნორირებით, ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე უარის თქმით, თავისუფალი აზრის არტახებში მოქცევით უხასიათდებოდა.

როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი – მწერალი ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით – აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო” (5,41).

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მიმდევარი მწერალი მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინის ერთგული იყო. აკაკი ბაქრაძეს მოაქვს მეტად დამახასიათებელი მაგალითი პროლეტარული ლიტერატურის წარმომადგენლის – კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებიდან: “მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმაჩნია ადამიანად” (6, 41).

მარქსიზმ-ლენინიზმი ახალი დროის რელიგიად იყო გამოცხადებული, მაგრამ იგი “სოციალ-ეკონომიკური მოძღვრებაა, მას ეთიკურ-ზნეობრივი ნაწილი არ გააჩნია” (5, 97).

“კომუნისტური “ახალი ადამიანი” კოლექტივის მოჯამაგირეა. ამ კოლექტივის სასარგებლოდ იგი დაუფიქრებლად მზად უნდა იყოს მკვლევლობისა და მმართველობისთვის, დაკარგული უნდა ჰქონდეს სინდინის ქენჯნის უნარი” (5,167).

მარქსიზმ-ლენინიზმმა ვერც მატერიალური უზრუნველყოფა მოუტანა საბჭოთა ადამიანს და ვერც სულიერი სიმშვიდე, რაც მისი საბოლოო “იდეოლოგიური მარცხით” დასრულდა.

ამიტომაც იმედგაცრულებული, “დამშეული სამშვივნველის” ადამიანი და მწერლობა ქრისტიანობაში იწყებს “ზნეობრივი იდეალის” ძიებას.

პროლეტარული მწერლობა უგულებელყოფდა სიყვარულს.

გრიგოლ რობაქიძის “ჩაკლულ სულში” პარტიული ფუნქციონერები შეყვარებულს მთვარეულს უწოდებდნენ და სოციალიზმის მშენებელთა რიგებში ეჭვით უყურებდნენ: “მარადიული სიყვარული და მსგავსი რომანტიული სისულელები მთვარეულთათვის დაგვილოცნია. პროლეტარიატს არ სჭირდება მთვარეულები” (7, 13).

მოყვასის სიყვარული უნიათობად ითვლებოდა, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანი გულგრილი იყო ერის ბედისადმი, უარყოფდა ღმერთს: “ახალი ადამიანი იბადება, უღმერთო. მისთვის არ არსებობს საიდუმლო. არავითარი რიდი, არავითარი მოწიწება, არავითარი მისტიკა, შიშველი ყოფიერება, ნივთიერი, არსად მეტაფიზიკური, ფესვებშიც კი არა. ეს არის ჩვენი ახალი თაობა... ღმერთის ამოძირკვა ყოფიერებიდან – ეს არის კულტურის ახალი მიჯნა” (7, 76).

სამაგიეროდ არსად იყო ნახსენები სული, ზნეობა, მორალი, რწმენა.

როგორც ცნობილია, იმ დროს პოეტური კრებულები უეჭველად უნდა გახსნილიყო პოლიტიკურ თემაზე დაწერილი ლექსით თუ ლექსებით, რომელსაც “პარავოზებს” ეძახდნენ (8, 618).

მწერლის, პოეტის მართალი სათქმელი მხოლოდ შეფარვით, იგავებით, სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით შეიძლებოდა გაცხადებულიყო.

სოციალიზმის ეპოქაში მხოლოდ კომპარტიის წევრებს ანდობდნენ საპასუხისმგებლო საქმეს, ხოლო, როცა საბჭოთა კავშირში სამოცდაათწლიანი გამრუდებული გზების გასწორება დაიწყო, ტოტალური ლაშქრობის ობიექტებად იქნენ პარტიის წევრები.

ანა კალანდაძე აქაც საგულისხმო გაკვეთილს იძლევა: “არასოდეს არ ვყოფილვარ არანაირი პარტიის წევრი, მაგრამ ამის განცხადებისას არც სიამაყე მიპყრობს და არც რაღაც განსაკუთრებულობის გრძნობა მეუფლება, რადგანაც საქართველოს კომპარტიის რიგებში იყო ბევრი საამაყო და ერის სასიქადულო ადამიანი”.

“ნეტავი მათნაირი ...ერთი-ორი დღესაც მისცა საქართველოს”.

“ბევრი ეროვნული იდეა პარტიული ფუნქციონერებისგან მოდიოდა”, თქვა ერთმა სამართლიანად.

“დღეს პარტიულობის ნიშნის მიხედვით ადამიანთა დაყოფა-დახარისხება... უდავოდ აღრმავებს ერის გათიშულობას, როდესაც, როგორც იტყვიან, ისედაც არეულია მონასტერი”.

“უბრალოდ, იყო, არის და ყოველთვის იქნება: ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი, სატანა და ანგელოსი, კაცი და არაკაცი, პიროვნება და არარაობა!”

“პიროვნება ყოველგვარ სიტუაციაში ადამიანად რჩება” (8, 618).

ანა კალანდაძის გამორჩეულობის მიზეზი, უპირველესად მის ნიჭში, რელიგიურობაში, ათეისტური მარქსიზმ-ლენინიზმის საპირისპირო მოძღვრებების გათავისებაში უნდა ვეძიოთ. პოეტის გზამკვლეელია არა სოციალისტური რეალიზმის ყალბი დოქტრინები, არამედ ბიბლია, სასულიერო პოეზია, ღვთისმეტყველთა, მორწმუნე კლასიკოსთა სიბრძნე.

ანა კალანდაძე ქართული მრავალსაუკუნოვანი მწერლობის ტრადის – “ენა, მამული, სარწმუნოება” – ერთგულია.

პოეტი უპირველესად სიწმინდით, ღრმა სულიერებით, რელიგიურობით დაუპირისპირდა სოციალისტური რეალიზმის სტეროტიპებს, ყალბი ორიენტირებით დაპროგრამებულ სამოქალაქო ლირიკას, რევოლუციური წარსულის მქონეთა, სამამულო ომის მონაწილეების მიწერებით, მოჩვენებით სოციალისტური შრომის გმირებად გაიდეალებას, უსულგულო პანეგირიკებს, სოციალიზმის უპირატესობის იდეით გაჯერებულ დითირამებს, დოგმებს, “აქტიური პოზიციის”, “სწრაფი რეაგირების” მქონე მედროვეებს, რომლებიც განადიდებდნენ ამა ქვეყნის ძლიერთ, არყოფილ წარმატებებს, გამოგონილ ბელადებს, ტაშს უკრავდნენ სიმართლის ტოტალურ გაყალბებას, დიქტატურას, ტირანიას.

პოლიტიკურ დეზერტირობად სალდებოდა ფილოსოფიური პრობლემებისადმი ინტერესი, შოვინიზმად ინათლებოდა ეროვნულის სიყვარული: “წმინდა ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა!” (“ცხრაას თვრამეტი”) გულისტკივილით წერდა გალაკტიონი (9, 173).

სამაგიეროდ მძლავრობდა კოსმოპოლიტიზმის, ყალბი ინტერნაციონალიზმის იდეები, “დიდი რუსი ხალხის”, “უფროსი ძმის” სინდრომი, მოსკოვიდან

მოწოდებული დოგმები, სახელმძღვანელო იდეები, მარქსიზმ-ლენინიზმის “მარადიული”, “შეუმცდარი ჭეშმარიტებები”.

ზეიმობდა შაბლონი, სტანდარტი, იქმნებოდა პოეტური არტელები, იფურჩქნებოდა კოლექტიური სული, სამაგიეროდ, ადგილი არ რჩებოდა შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და სულიერი თავისუფლებისთვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ნამდვილი ხელოვნება, ლიტერატურა.

ანა კალანდაძე იგონებს, რომ “50-იან წლებში მუხის მსახურთათვის სავალდებულო იყო საქ. კპ თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს ორწლიანი უნივერსიტეტის დამთავრება. უნდა ჩათვლილიყო და ჩაბარებულიყო შემდეგი საგნები: საბჭოთა კავშირის კპ ისტორია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია, სსრკ ისტორია და სხვა (8, 115).

ეროვნული ტკივილების გამოხატვა კი საშინელი იარაღების მიკერებით მთავრდებოდა: “ახლო წარსულში ეროვნული ტკივილების გამჟღავნება დიდ ცოდვად და ნაკლად ეთვლებოდა მწერალს. “აპოლიტიკურად, უიდეოდ, დეკადენტურად” ნათლავდნენ მის შემოქმედებას” (8, 105).

1951 წ. პოეტს გამოუგზავნეს “საორიენტაციო თემატიკის” სია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტისგან, რომლის მიხედვითაც უნდა ეწერა სამგორზე, რუსთავზე, მარცვლეულის აღებაზე, მეცხვარეობაზე, საკოლმეურნეო მუშაობაზე, ხვნა-თესვაზე, მადაროელებზე, სამშობლოზე, ახალგაზრდობაზე, პიონერებზე, ხალხთა მეგობრობაზე, გმრობა-ვაჟკაცობაზე, მთამსვლელებზე, ფიზკულტურელებზე, რთველზე, ბაღებზე, ხილზე, ახალ მშენებლობაზე, კომუნიზმის დიად მშენებლობაზე (8, 122).

ნიჭილიზმით, ურწმუნოებით, მატერიის გაფეტიშებით ცნობილ ათეისტურ ეპოქას ახასიათებდა ინტელექტისა და მორალის გათიშვა, ნიჭიერთა და უნიჭოთა შორის ზღვარის წაშლა, უსახოს, დილექტანტურის წინ წამოწევა.

გრიგოლ რობაქიძე ჩიოდა: “ღვთაებრივი ცეცხლი ყველგან კლებულობს, დაუცხრომელი დემონი მთელ სამყაროს დაუფლებით ემუქრება” (10, 229).

დემონების, მედუზების მოჭარბება გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში რწმენის, სულიერების კრიზისს მოასწავებდა.

მერაბ კოსტავა ხსნის გზად ცნობილ მარადიულ ფენომენებთან ზიარებას მიიჩნევდა: “ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ” (“ეტიუდი”) (11, 81).

ანა კალანდაძე იმთავითვე ამ ფასეულობებს აიდებალბდა.

ამიტომაც უწოდებს აკაკი ბაქრაძე ანა კალანდაძის პოეზიას “სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ სერიოზულ ამბოხებას... ყველაზე დიდ ბრძოლას, თანაც უსისხლოს, რომელიც ადამიანის სულში იწვევს “აღორძინებას” და ამ “აღორძინების” შედეგად ადამიანი თავისუფლდება იმ გარემოსგან, რომელიც აკნინებს და ამცირებს ადამიანს... და ანას პოეზიამ სწორედ ისეთი გარდატეხა მოახდინა ჩვენს სულში” (12. 132).

საბჭოთა ლიტერატურაში ფიგურირებდნენ უღმერთო, უსულო, სიკეთესმოკლებული, უსამშობლო კოსმოპოლიტები, მამისმკვლელი სატანისტები, რომელთაც ახალი საზოგადოების მშენებლის ეპითეტებით ამკობდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ პარტიული დიქტატით სულჩაკლული კრიტიკოსები.

ანა კალანდაძის პოეზიის ლირიკური პერსონაჟი სულ სხვა თვისებებითაა გამორჩეული. იგი ისწრაფვის ღვთიური ნათლისკენ, სრულყოფისკენ, “სულთ დასამკვიდრებ წყნარ სადგურს” ეძებს და სულიწმიდის მაღლი ატყვია, ჭეშმარიტებას და სიკეთეს სახავს უმაღლეს იდეალად.

მის შემოქმედებაში ბოროტებას სიკეთე უპირისპირდება, ურწმუნობას _ რწმენა, ღვთისმგმობელი ყოველთვის მარცხდება, ადამიანის უცდომელი მსაჯული უფალია.

“ურელიგიოდ ცხოვრება ძნელია” _ ანა კალანდაძეს მოსწონდა ქეთევან მაღალაშვილის ეს ფრაზა (8, 57).

ანა კალანდაძის ერთ უმთავრეს თავისებურებად უნდა ჩაითვალოს საოცარ ლოკალურობასთან მისადაგებული გლობალურობა, კონკრეტულის აბსტრაგირება, წმინდა გზით უზენაესი ჭეშმარიტების მიკვლევა; განსაკუთრებული ინტერესი არა ყოფითის, ნივთიერის, მატერიალურისადმი, არამედ სულისთვის თვალის გადევნება, მისი ორიენტირების ჭვრეტა-განსაზღვრა, ტაძრისკენ სავალი გზის მოძიება.

ანა კალანდაძემ “თავიდან აღმოაჩინა მის დროს მივიწყებული სულიერი ფასეულობები, რელიგიური გრძნობები”.

პოეტის ლექსებს “ლოცვისა და საეკლესიო საგალობლების სიღრმისეული ელვარება და ექსტაზი ახლავს თან” (13, 516).

ორ ნაკადს გამოყოფენ მის პოეზიაში _ ციურს და მიწიურს. “ციური ნაკადისთვის დამახასიათებელია სულისმიერი სიღრმეები და სიმალეები _ მიმართვა უზენაესისადმი, იდუმალებისადმი... მითიურისადმი, ღვთიურისადმი რწმენა”.

“ხოლო მიწიურ ნაკადში მთავარია ფიზიკურ-საგნობრივის ჩვენება, მაგრამ ისინიც იმდენად იდუმალი ინტონაციების შემცველია, რომ მათ მაინც ცაში ავყავართ”.

“ციური ნაკადის ლეიტმოტივა არა მიწიური კავშირის, არა მიწიური გვირგვინის ძიება, არამედ ცისა” (14, 474).

“ანა კალანდაძის ლექსი ამქვეყნად “სიყვარულისა და სათნოების მოციქულია”. ამ გრძელუმი ფენომენის გარეშე ბევრს დაკარგავდა მეოცე საუკუნის ქართული ლექსი” (15. 42).

ანა კალანდაძის ინტერესების სფეროში უმეტესად შემოდის არა ქვეყნის ინდუსტრიალური, ტექნიკური თუ სოფლის მეურნეობის შრომითი წარმატებები, არამედ სულიერი ცხოვრების ჭვრეტა.

ხორხე ლუის ბორხესი წერდა: “ჩვენ გვმართებს შიგნით მივმართოთ მზერა და ურთულესი ასტრონომიული გათვლები მოვახდინოთ გულის თვალუწვდენელ სიღრმეებში” (16, 48).

ანა კალანდაძის ინტროსპექტული ჭვრეტა სულის ახალ კარდიოგრამას იღებს, მის საოცარ სიღრმეებს გვაზიარებს. ცრუ პათეტიკის, პანეგირიკების უარყოფელი, მედიტაციებს, ინტიმურ ლირიკას ანიჭებს უპირატესობას და მისი მხატვრული სიტყვა სამუდამოდ ასამარებს შაბლონს, სტანდარტს. ეპოქის ყველაზე დიდ სათქმელს აგნებს და ლოცვით, ფსალმუნებით არწყულებს ურწმუნოებით დამდაბლებული, მაგრამ რწმენასდანატრებული ადამიანების სულს.

ორიგინალურია ანა კალანდაძის იდეები, ხმა, განუმეორებელია მისი ხილვები, სიმბოლო-მეტაფორები. მისი პოეზია კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი მხატვრული ისტორიაა, ამასთან, ადამიანის სულის, მისი განცდების, ოცნებების, სურვილების, სწრაფვების ამომწურავი ისტორია, გადმოცემული ამაღლებული, დარბაისლური სტილით.

ანა კალანდაძის პოეზია ემსახურება ადამიანის სულის ზრდას, მისი შეგნების, მორალის სრულყოფა-გაკეთილშობილებას. იგი უზარმაზარ დადებით იმპულსებს გამოსცემს და რწმენის გზით მიჰყავს ღმერთსმოწყურებული ადამიანი.

ანა კალანდაძე გამუდმებით იყო და არის მკითხველთა სიყვარულით გარემოსილი.

მისი შემოქმედებით ინტერესდებოდნენ კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, გერონტი ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ლავროსი კალანდაძე, სერგი ჭილაია, იპოლიტე კართაგავა, პეტრე შარია, აკაკი ბაქრაძე.

ვრცელი გამოკვლევები უძღვნეს ანას პოეზიას გრიგოლ კიკნაძემ, ზაზა აბზიანიძემ, ნოდარ ჩხეიძემ, გურამ ბენაშვილმა, გურამ კანკავამ, რამაზ პატარიძემ, თამაზ ჩხენკელმა, ჯანსუღ ღვინჯილიამ, ვლადიმერ ჯიბუტმა, შალვა ამისულაშვილმა, მამია ჩორგოლაშვილმა, თამაზ ჭილაძემ, შალვა აფხაიძემ, ვიქტორ გაბესკირიამ, მანანა გვეტაძემ, ქსენია სიხარულიძემ, გურამ ასათიანმა, გრიგოლ ხერხეულიძემ, რევაზ თვარაძემ, იზა ორჯონიკიძემ, თემურ ქორიძემ, სოსო სიგუამ, შუქია აფრიდონიძემ, მაკა ჯოხაძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ, მაია ჯალიაშვილმა, ვახტანგ ლეზანიძემ, შოთა ზოიძემ.

ანას ლირიკას ეხმაურებოდნენ მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლეზანიძე, ედიშერ ყიფიანი, ნაზი კილასონია, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ ჯაფარიძე, რევაზ ინანიშვილი, კობა იმედაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიციანიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ჯუმბერ თითბერია.

უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოში მიუჩინეს ადგილი ქართული პოეზიის დედოფალს რევაზ მიშველაძემ, ტარიელ კვანჭილაშვილმა, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა.

ამჯერად, ჩვენი მიზანია, თვალი გავადევნოთ ანა კალანდაძის ესთეტიკურ მრწამსს, რომელიც ისეთივე გამორჩეული და ღრმააზროვანია, როგორც პოეტის მრავალმხრივ საგულისხმო შემოქმედების პრობლემები.

ანას პოეზია სრულიად ახლებულია და, ამავე დროს, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების ორიგინალური ათვისება-გათავისების ნიმუშია. მისი მსოფლმხედველობის წყაროები მოიცავს როგორც მსოფლიო კლასიკური პოეზიის ფართო სივრცეს, ისე ცნობილ ფილოსოფოსთა, ღვთისმეტყველთა ნააზრევს, რაც სულიერი ინდივიდუალობის პრიზმაში გადატეხილი ესთეტიკური ფენომენია, წარუვალობის ნიშნით გამორჩეული.

შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი – სახელებით ცნობილ ამ კლასიკოსებს მეოცე საუკუნეში კიდევ ერთი საინტერესო სახელი შეემატა – ანა, რაც მისი პოეზიის გახალხურებაზე მეტყველებს.

ლიტერატურა

1. ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. I, თბ., 1995.
2. ნაზი კილასონია, “სიტყვა ანა კალანდაძეზე”, ცისკარი, 1974, N12.
3. გაზ. “კომუნისტი”, 1981, 25 სექტემბერი.
4. გურამ ასათიანი, “ანა”, “თანამდევნი სულები”, თბ., 1983.
5. აკაკი ბაქრაძე, “მწერლობის მოთვინიერება”, თბ., 1990.
6. კონსტანტინე ლორთქიფანიძე, “პირველის შემდეგ”, ლექსები, თბ., 1927.
7. გრიგოლ რობაქიძე, “ჩაკლული სული”, თბ., 1991.
8. ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. II, თბ., 1995.
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1988.
10. ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან, “შერისხულნი”, ტ. 2, თბ., 1994.
11. მერაბ კოსტავა, “ლექსები”, თბ., 1990.
12. აკაკი ბაქრაძე, “სამი მწერალი”, “მნათობი”, 2000, N3-4.
13. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, “XX საუკუნის ქართული მწერლობა”, ქუთაისი, 2002.
14. ტარიელ კვანჭილაშვილი, “ანა კალანდაძე”, “უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია”, თბ., 1994.
15. რევაზ მიშველაძე, “ანა კალანდაძე”, “უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია”, თბ., 1994.
16. ხორხე ლუის ბორხესი, “ენიგმათა სარკე”, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ., 1996.

თავი I.

ცათა მაღალთა მაღლი

იმთავითვე უაღრესად საყურადღებო იყო ანა კალანდაძის სათქმელი, რასაც განუმეორებელ ელფერს ანიჭებდა პოეტის მხატვრული სახეები და მრავალსაუკუნოვანი ქართული ენისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

იმ დროს, როცა მოზღვავენ ხელისუფლებისგან დაპროგრამებულ კალმოსანთა ასეულები, ხუთწლეულების გამოგონილ წარმატებათა მეხოტბეები, რომელთა ფუქსიტყვაობას პრემიებსა და ორდენ-მედელებს აგებებდა ოფიცოზი, ანა კალანდაძე ერთხელ არჩეულ, მხოლოდ რჩეულთა გასაგნებ გზას ერთგულებდა.

უკიდევანო თვალსაწიერის შემოქმედი უზენაეს ჭემმარიტებებს, ეროვნულ და საკაცობრიო სატკივართა განკურნების წამალს ეძებდა, რაც პიროვნულის, მიწიერ-პრაგმატული ინტერესების იგნორირების, უწმინდესი იდეალებისათვის მსხვერპლშეწირვის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ამიტომაც ვერ იგუებდა მედროვე-მეხოტბეთა მანტიას და ნიადაგ გამორჩეული ნათლის სამოსი ემოსა.

ანა კალანდაძე გულგრილი იყო იმ წარმავალი მოვლენებისადმი, რასაც ხოტბას ადავლენდნენ, ტაშისცემით ეგებებოდნენ უნიჭო, საეჭვო რეპუტაციის მქონე პრიმიტივები.

პოეტის უპირველესი თავისებურება იმაში გამოვლინდა, რომ იგი უზენაესის, მარადიულის, სულიერი ცხოვრების საიდუმლოებების ძიებას ჩაუღრმავდა.

ერთეულ რჩეულთა დარად, ანა კალანდაძე სულს ხედავდა, წარსულის ხატს უკვდავყოფდა, მართალ სიტყვას დანატრებულ ადამიანებს იმ დიდ წყურვილს უკლავდა, პანეგირიკული მწერლობის მიერ შექმნილი ვაკუუმით რომ იყო გამძაფრებული.

ბედის რჩეული პოეტის მისწრაფებები ეპოქისას დაემთხვა და ხალხმა იწამა მისი ზეგარდმო მაღლით ცხებული სიტყვა.

უნიჭოთა ყავლგასული, გაცვეთილი, ბანალური ლექსის აპოლოგეტები პარტიულობის პრინციპს აფეტიშებდნენ, დიქტატურას აიდეალებდნენ, ფონს სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის ხოტბით გადიოდნენ, რწმენისა და ეროვნულობის უარყოფელნი, პოეზიის მისიას მხოლოდ სოციალური პრობლემებით შემოფარგლავდნენ, ოდენ ამქვეყნიურ, მატერიალურ ღირებულებებზე დაჰყავდათ უკიდევანო სამყარო.

“იმ დროს მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია”.

“ლენინიადა, სტალინიადა, ბრეჟნევიადა, კოლხოზიადა... ერთი მთლიანი ციკლია ერზაცლიტერატურისა” (1, 43).

ანა კალანდაძე განსხვავებული მისიით მოვიდა ქართულ პოეზიაში.

მისი პირველივე ლექსები იყო “სერიოზული სულიერი ამბოხება იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა... გარდატეხა როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის სულიერ ცხოვრებაში” (2,132).

ანა კალანდაძეს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, შეკვეთებით, არასოდეს გაურევია ღვინოში წყალი, არ აუმღვრევია წმინდა ზედაშე.

როგორც “სიტყვით ნათლისმცემელი”, არასოდეს ქცეულა “პოეტად კარის”, არც “ამა სოფლის თავადს” დამონებია, “საღვთო ცეცხლი და ჭემმარიტება” უძლოდა ნათლის სახლში, როგორც აღნიშნავს მერაბ კოსტავა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში (3, 4-5).

ნიკოლოზ ბარათაშვილი “სულის წადილს” (4,110) ანიჭებდა უპირატესობას, გალაკტიონ ტაბიძე “მეგლთა სიმაღლით, სივრცეებში” აგებდა “სულის წუხილს” (5, 99), ანა კალანდაძე “სულით დასამკვიდრებ... წყნარ სადგურს”, “სულის ვანს” ეძებდა (6, 110).

შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი პოეტური ნიჭის ღვთაებრიობას აღიარებდნენ.

მაგალითისთვის მივმართოთ აკაკი წერეთელს: “უცხო ძალი ვიგრძნე რა, გულმა დამიწყო ძგერა, მაშინ აგილე ხელში და ვიწყე საღმრთო მღერა” (“ჩანგურის ძალა”) (7, 68).

ანა კალანდაძისთვის ცის მადლია პოეზია, რომელიც მიწაზე შურის, უკეთურების დასამარცხებლად, იმედის, რწმენის, სიყვარულის განსამტკიცებლად გვევლინება: “ცათა მაღალთა მადლი, შუქმოწვრიალე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს. ითინათინებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყვარული იხმოს” (“ცათა მაღალთა მადლი”).

წმინდა წერილის მიხედვით, სიბრძნე, შემოქმედებითი ნიჭი, რწმენა, წინასწარმეტყველების, სასწაულმოქმედების უნარი, საერთოდ, ცოდნა სულიწმინდის მადლია.

“თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ”.

“ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს განკურნებათა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს სასწაულმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 7, 8, 9, 10) (8, 374).

მაგრამ, ამასთანავე, ახალი აღთქმა შეგვაგონებს, რომ ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია.

პავლე მოციქულმა გამოარჩია “რწმენა, იმედი, სიყვარული” და სიყვარულის უპირატესობას გაუსვა ხაზი: “მათგან სიყვარულია უმეტესი” (I კორინთელთა, 14, 13) (8, 376).

სულიწმინდის ქნარად აღიარებული პავლე მოციქული მოძღვრავს მოციქულებს: “არავითარი უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან, არამედ მხოლოდ კეთილი აღსაშენებლად, რათა მადლი მიანიჭოს მსმენელებს” (ეფესელთა, 5, 29) (8, 419).

“ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში” (ეფესელთა, 5, 19) (8, 420).

მადლიერი სიტყვის აპოლოგიაა მიმართვა კოლასელთადმი: “თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლიანი იყოს, მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ, ვის რა პასუხი გასცეთ” (პავლე მოციქული, კოლასელთა, 4, 6) (8, 435).

ხორხე ლუის ბორხესი წერდა: “კაბალისტები ვარაუდობდნენ, რომ სულიწმიდის მიერ შთაგონებული წიგნი სრულყოფილ ტექსტს წარმოადგენს, ანუ ისეთნაირ ტექსტს, სადაც შემთხვევითობის ელემენტები ნულამდეა დაყვანილი” (9, 51).

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანელთა შორის ანა კალანდაძე ის განსაკუთრებული გამონაკლისთაგანია, რომელმაც პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად ათეისტური ეპოქის რწმენადაკარგულ ადამიანთა ისევ უფლისკენ მიბრუნება, მაღალი იდეალების სამსახური და ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება დაისახა მიზნად.

“ზეცაზე სწერია ჩემი გზა”, აცხადებდა გალაკტიონი “ეფემერაში” (10, 197).

მარადიული პოეზია, ანა კალანდაძის მიხედვით, ყოველთვის შორეული ცის, შეუცნობლის მადლია, რათა ამ ნიჭით ხელდასხმული უზენაესის უცდომელ ჭეშმარიტებებს ეზიაროს: “შენს მშფოთვარ სულში ცის შორეულის დარდი ისახვის და... რეკავს, რეკავს შეუცნობელი, გიხმობს მისაკენ! შენს მდიდარ სულში არეკლილია მათათა სილაღე... შეგაწრიალებს შეუცნობელი... ეს ხმა იცანი!” (“N-ს”).

შთაგონების მოვლინება ცის გახსნას ჰგავს, ხელთუქმნელი მარგალიტის მოხელთებას: “ბაჯაღლოსავით გაიწკრიალებს გული, სული აიკრეფს თვალ-მარგალიტის მძივებს, თუ გაიხსნება ცა _ სასწაულით სავსე, ააელვარებს მისთვის დანთებულ იმედს!” (“ბაჯაღლოსავით გაიწკრიალებს გული”).

ზეცით მომადლებული ნიჭი აცისკროვნებს პოეტის საუფლოს, ციური ძალით ჟღერს მისი ებანი, უღრმეს საიდუმლოებებს ეზიარება და იგი ძრწის შიშით, რომ არ დაუდგეს ამ უმაღლეს ნეტარებასთან გამოთხოვების ჟამი: “...და გაცისკრდება ჩემი საუფლო მადლით და ნიჭით მაღალი ცისა, თუ.. დამტოვებენ ციურნი ძალნი, ვისგან იკვირიან მხოლოდ ებანნი, დაგმანვენ ბჭეთა საიდუმლონი და განილტვიან

გრძნეულებანი? შიშით მოგელი, გრძნეულო ღამევ!” (“მოდინხარ ჩუმად, მაღალო ღამევ!”).

მხოლოდ ციური მადლით მონათლული სიტყვაა გულის ნუგეში, ეს უბრალო მოხევემაც კარგად იცის: “მოხევემ სავსე ასწია თასი, მზედაკრულს ქარი უჩეჩდა ქოჩორს: ციური მადლით დალოცვილ სიტყვას მოველით მხოლოდ, გული რომ მორჩეს” (“მოხევემ სავსე ასწია თასი”).

“ცის თვალი” (თვალი საღმრთო სახელია) პირდაპირ კავშირშია “გულის თვალთან”: “დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან და დაიხუჭა გულისა თვალიც” (“შენს ყვავილობას”).

დანტე ალიგიერი ბრძანებდა: “მადლი უფლისა, მოკლებული მოშურნეობას, გარს მიმოაბნევს ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკლებს, აჩენს ყოველგვარ მშვენიერ და უკვდავ ქმნილებას. რაც უშუალოდ წარმომდგარა ამ მადლისაგან, წარუვალია, – რადგან სახე მისი უკვდავი წარუხოცელად ზედ შერჩება ქმნილებას მისას” (11, 303).

ზეგარდმო ძალებთან კავშირით, წმინდა ლოცვა-კურთხევით იძენს ანა კალანდაძე ბოროტებასთან დაპირისპირების ძალას: “მხოლოდ ზეგარდმო ლოცვა-კურთხევით, მხოლოდ ზეგარდმო ძალთა ნებითა მიწირავს საღვთო წმინდა მსხვერპლითა, არა, კაენთა მე არ ვუფრთხები!” (“N-ს”).

მაღალი პოეტური მისიის აღსრულებას ცხოვრების ჭუჭყისგან შეუბღალავი სული სჭირდება, შორეული ცის ჭვრეტა კი მხოლოდ სუფთა თვალს ხელეწიფება: “გვეამაყება, რომ ჩვენს მაღალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევა... ცას სუფთა თვალით უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭვრეტდეთ ქართ მიმობერვას”... (“გვეამაყება”).

წარუვალის, მარადიულის მსახურება დაუკისრებია მისთვის განგებას და ამიტომაც ეხსნება სიხარულთა პალატის (უზენაესის) მაღალი კარი: “მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და... მარად ქარული... მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი, შენთა პალატთა, ო, სიხარულო!” (“მომიცავს იგი”).

წმინდა გზის ერთგულია, უზენაესი არსებების მსახურების ძალას შესთხოვს უფალს, რადგან, ჭეშმარიტი პოეზიის უპირველესი მისია ღვთის სიტყვის გავრცელება, რწმენის პრიმატის აღიარებაა: “მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა, სამეუფოთა ცისათა სახლის, მომეცეს ძალი, ძალი მომეცეს, ვიყო მარადის მე მათდა მსახურ!” (“მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა”).

უზენაეს მადლსა და ძალაზე დაიმედებული, ღმერთის სამართლიანობის მიწაზე დამკვიდრებას ნატრობს: “კვლავ სასოებით მივენდო შენთა, _ მწედ მესახვიან ძალნი ცათანი... ქმენ სამართალი, რომელსაც ხედავ, ო, შენეული ქმენ სამართალი” (“კვლავ სასოებით მივენდო შენთა”).

უზენაესთან უმაღლესი და უმტკიცესი კავშირის გაცხადებაა სტრიქონები: “მწედ მესახვიან ძალნი ცათანი”...

აქ რუსთველისებური ინტონაციის გაჟღერებაა თითქოს, ავთანდილი ხომ ციურ ძალთა დასის მფარველობით ამარცხებდა მარტოობას: “მარტოობა ვერას მიზამს, მცავს რა ციურ ძალთა დასი”...

ზეციდან მოვლენილი, სიბრძნით, სიწმინდით, სიმართლის ერთგულებით ამადლებული პოეტი მხოლოდ უზენაესის საკადრისი ჰანგებით გალობს: “ზეცისთვის _ მაღალ-საშვენი, მხოლოდ ფიქრები საზეო”...

ანა კალანდაძის მხატვრული სიტყვა არის მორწმუნე პოეტის მადლით, კრძალვით, მოწიწებით სავსე, განრიდებული რიტორიკას, ყალბ პათეტიკას. ამ ლირიკოსის ხიბლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რელიგიურობაა, რის გარეშეც მხოლოდ ეფემერული პოპულარობა მიიღწევა.

ანას პოეზია სავსეა ბიბლიური, მარადიული ჭეშმარიტებით, ზეციური მადლით, ხელდასხმულია სულიწმინდის სიბრძნით, გაბრძნობილია უზენაესის შთაგონებით.

ანა კალანდაძეს ევლინება ღვთის სიტყვის მაცნე, ავსებს ღვთაებრივი ცეცხლი, ციური მადლი: “მოიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი, გადამაფარა ციური მადლი”...

ჭეშმარიტ პოეზიას ყოველთვის გამოარჩევს “ღვთივსულიერება, ღვთივშთაგონებულობა, იდუმალეზა”...

არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა. კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია – არალერიგიურია, ინტერნაციონალური” (12, 116).

დაიწყო ახალი გზების ძიება და გაჩნდა მოწოდება: “უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ” (სემიონ ფრანკი, “ნიჰილიზმის ესთეტიკა”) (13,66).

დიდი და მარადიული პოეზიისთვის აუცილებელი მონაცემები უხვად მიუბოძებია განგებას პოეტი ქალისთვის, რადგან მისი სმენა მიპყრობილია სიბრძნის დედისკენ, ხედვა კი მარადიულისკენ აქვს მიმართული.

გვახსენდება დიდი წინასწარმეტყველი: “უფალმა ღმერთმა მომცა სწავლულთა ენა, რომ შემემლოს დამაშვრალის სიტყვით გამხნეება. ის აღვიძებს, ყოველ დილით აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მესმოდეს, როგორც სწავლულებს ესმით.

“უფალმა ღმერთმა გამიხსნა სასმენელი” (ესაია წინასწარმეტყველი, 50, 4, 5) (14, 111).

პლატონის აზრით, პოეტი ღმერთის “მთარგმნელი” და განმმარტებელია: “...თვით ღმერთი მეთყველებს მათი პირით... არცერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი და განმმარტებელი. თვითეული მათგანი მისი მპყრობელი ღვთაების ტყვეა და თავისი მეუფის ნებისყოფელი” (15, 30-31).

ლიტერატურა

1. აკაკი ბაქრაძე, “მწერლობის მოთვინიერება”, “სარანგი”, თბ., 1990.
2. აკაკი ბაქრაძე, “სამი მწერალი”, მნათობი, 2000 წ., N3-4.
3. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, მეფეთუბანი, 1966, N4(13).
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1968.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1988.

6. ანა კალანდაძე, ერთტომეული, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1987.
7. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 18 ტომად, ტ. I, თბ., 1991.
8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1992.
9. ხორხე ლუის ბორხესი, “ენიგმათა სარკე”, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ., 1996.
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1982.
11. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
12. აკაკი მინდიაშვილი, “ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ”, “ცისკარი”, 1999.
13. “რუსი ფილოსოფოსები დემოკრატისა და რევოლუციაზე”, თბ., 1994.
14. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
15. პლატონი, “იონი, დიდი ჰიპია, მენონი”, თბ., 1979.

იალალებით მობერილ ვარ სიყვარულისად

ანა კალანდაძე წმინდა გზას ერთგულებს, უზენაეს ძალთა მსახურების უნარს შესთხოვს უფალს, რადგან ჭეშმარიტი პოეტის მისია, უპირველესად, ღვთის სიტყვის გავრცელებაა: “მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა სამეუფოთა ცისათა სახლის, მომეცეს ძალი, ძალი მომეცეს, ვიყო მარადის მე მათდა მსახურ!” (“მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა”).

ანას პოეზიაში “წარუვალი და მარად ქარულის”, “ქართ მიმობერვის” ინტერესი ფიქსირდება.

ცისა და მიწის “მაღალ, ამაყ ქარიშხლებს” უძღვნის პოეტი სიცოცხლეს: “სიცოცხლე ჩემი _ მაღალ ქარიშხლებს”...

ამასთან, გარჩეულია სევდიანი, ქვიშიანი, ცხელი მიწის, უნაყოფო უდაბნოს ქარები და ქარები, “სულში ვარდებს” რომ ტოვებენ და “სიხარულის შადრევნებს” ღვრიან, რადგან “ვარდის მიწიდან” ქრიან (“ვიცნობ ამ ქარებს”).

ქვეყნად “სიყვარულისად მობერილი” პოეტის განაცხადში მის რელიგიურობას და სულიერებას ესმება ხაზი: “ეს სიხარულის ცრემლებია, როდი ვტირივარ? ქარი ჩამბერავს, ავმდერდები, მე ხომ სტვირი ვარ? ქარში გაზრდილი, უგუნურთა მოჭრილი მერე? ხმით საამურით, მპყრობი გულთა ვუმღერი ველებს... ატირებული მფლობელი ვარ შენი გულისაც... იალალებით მობერილ ვარ სიყვარულისად... მხოლოდ შენს გულში მიპოვნია ვანი სულისად... შთამბერე, ქარო, ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!” (“რა ვარ? სტვირი ვარ!”).

მისი სამეუფო ლუსკუმიდან სულიწმინდის ძლიერი ქარი უბერავს, დაუმრეტელი ცეცხლის (ღმერთის) ძალა იფარავს: “გავხსენ ლუსკუმა მე სამეუფო

ქართა ძლიერთა-გულისმიერი... მეუფლა ცეცხლი დაუშრეტელი” (“აჰა, გვირგვინი ვარდის რტოთაგან”).

ანა კალანდაძე სულში ვარდების მოფენად, სიხარულის შადრევნების აჩქეფებად აღიქვამდა სულიწმინდისგან ინსპირირებული შთაგონებით გაბედნიერებას.

ქარზე, ნიავეზე ასეთი დაჟინებული აქცენტი არ არის შემთხვევითი.

ეს არის იგივე სასულიერო პოეზიის საღვთო ნიავეს მობერვა შთაგონების ძალით, რადგან შუა საუკუნეებში შთაგონებას სულიწმინდის მოქმედებას, საღვთო მობერვას უწოდებდნენ.

“საღმრთო სულითაა განპირობებული “ღვთიური მობერვა, ზემთაგონება” (1, 363).

გრიგოლ ნოსელს გაიგივებული აქვს “სული _ მობერვა, შთაგონება” (1, 376).

“ორფიკულ არგონავტიკაში” უფალს “მომბერავი” ეწოდება, ხოლო “მობერვა” შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (2, 39).

ზვიად გამსახურდიას აზრით, “თამარიანში” “საუფლო სული” ანუ სულიწმინდა შედარებულია ნიავეთან: “უცნი ავითა, უც ნიავეთა საუფლო სული ჟამის ჟამისად”.

ზვიად გამსახურდია ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ახალ აღთქმაში ქრისტე არის “მომბერი” სულისა. იოანეს სახარებაში აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა მოწაფეებს “შეჰბერა და ჰრქუა: “მიიღეთ სული წმიდაი” (იოანე, 2, 10).

მკვლევარი აქცენტს უკეთებს დიონისე არეოპაგელის შრომების იგივე ტერმინებს: “საღმრთო მობერვა” და “მღვდელმთავრობითი მობერვა”: “მობერვა უკავშირდება სულიწმინდას” (3, 36).

“ექვგარეშეა, რომ “ბერვა” დაკავშირებულია ძველი აღთქმის შესაქმისას სულის შთაბერვასთან.

“ამასვე უკავშირდება ისიც, რომ “მოციქულთა საქმეში” სულიწმინდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან”, აღნიშნავს ზვიად გამსახურდია (4, 294).

ჩვენი ყურადღება მიიქცია არეოპაგელის შრომების “უჟამოდ მობერვამ” (5, 145).

ჰიმნოგრაფიაში გვხვდება საღმრთო ნიავი, მისი მობერვა: “ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განაბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალეებითა სულისა წმიდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიავითა საღმრთოითა მადლისაითა სწავლანი სულიერნი და... უმეცრებისა ბნელი განაქარვე” (ბასილი, “გალობანი ეგთუმე მთაწმინდელისანი” (6, 508).

სულიწმინდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფებს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს. სულიწმინდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სულიწმინდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს სულიწმინდის ნაკარნახევად აცხადებდა.

სულიწმინდის მადლით ჭკრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა და მადლთა გამნაწილებელი სულიწმინდაა.

სულიწმინდა ჰაერთან შეზავებულად წარმოიდგინება ვაჟა-ფშაველას “ბუნების მგოსნებში”.

ვაჟას “ქებათა ქებაში” ნიავია სულიწმინდის პერსონიფიკაცია: “ნიავიც მიდუდუნებდა ველებზე სულიწმინდადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასის წლის წინადა”.

გალაკტიონის “ეფემერაში” ლურჯა ცხენები “ფერადი ქარებით” ქრიან.

“დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა”, ნათქვამია გალაკტიონის ლექსში “ჰაერი”.

“ვერხვებში” ქარის “დაბერვას” მოსდევს ვერხვის ფოთოლთა ლაშქრის ახმიანება “უშორეს ზღაპრად”.

“არსებობის ხეს” (ღმერთს) უკავშირდება სულიწმინდის განცდა ნიავის თანხლებით: “ასე: მარადის არსებობის ხეს არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა”.

აშკარაა, რომ “მობერვა” და “დაბერვა” გალაკტიონის პოეზიაში რელიგიური გაგებით არის დამოწმებული და სულიწმინდას გულისხმობს (7, 86-91).

ტერენტი გრანელი “უხილავი ქარის” სახით განიცდიდა შთაგონების მოვლინებას (8, 34-41).

იმ დროს, როცა ტოტალური უღმერთობა იქცა ცხოვრების წესად და სასტიკად იდევნებოდნენ მორწმუნენი, ტერენტი გრანელი თავის შემოქმედებაში სულიწმინდის მაღლს ხედავდა, ამაყობდა რელიგიური თემებით, სახეებით, მისტიურობით და სულაც არ ენაღვლებოდა, რას ფიქრობდნენ მასზე მედროვე კრიტიკოსები: “...ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა,... ცხოველური აღტყინება, ბიოლოგიური პათოსი... ჩემს ლექსებში სულიწმინდის მაღლია განფენილი, სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განდმრთობის საფეხურები... არამცთუ მთარგმნელი, არამედ ქართველი წამკითხველიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს, უფრო მეტიც, განდობილი... ოდესღაც, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეული რიცხვის და სულიერება აღორძინდება, “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების”, უთქვამს პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკისთვის, რომელსაც ჩაფიქრებული ჰქონია ქართველი ლირიკოსის შემოქმედების თარგმნა (9, 412).

პოეტი ცხოვრობს “მაღალი ქარიშხლების” მოლოდინით, რადგან მათი მოვლინებისას გულში დამზრალი ყვავილები იშლებიან: “სიცოცხლე ჩემი მაღალ ქარიშხლებს, გადაკარგულებს, გადამსხვრეულებს, ცა-დედამიწად მიმოფანტულებს და უფსკრულებში მკვნესართ ეულად. კვლავ მოლოდინით მათით ვივსები: დამზრალ ყვავილებს გული გაიშლის... ჭკუაა მათი დევნა, ნისლებო? ო, გული ჩემი ამაყ ქარიშხლებს!” (“სიცოცხლე ჩემი მაღალ ქარიშხლებს”).

ქარიშხლები _ შთაგონება მოგონებებს, ფიქრებს აშლიან დაუოკებელი ძალით: “აშლიან ფიქრებს მოგონებები: სდევს შთაგონება ქალაქის ნაფლეთს... ო, არა, არა, ქარიშხლებს ველი, მაღალ ანძაზე რომ გლეჯენ აფრებს!”

გალაკტიონისთვის “პოეტი იყო გრიგალი _ შერყევა (“პოემა ვეფხვისა”) (10, 315), თვით პოეტების მეფე იყო ქარული: “ვიცი, რადა ვარ ასე ქარული, ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული” (“დადგა აგვისტო”) (10, 380).

ანა კალანდაძე იყო არა ეფემერულის, წარმავალის, არამედ მარადიულის _ “ქარულის” მსახური: “მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარად ქარული, მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი შენთა პალატთა, ო სიხარულო!” (“მომიცავს იგი”).

ანა კალანდაძის მიხედვით, “მადლით და ნიჭით მაღალი ცისა... იკვრიან ებანნი”, პოეტი სულიწმინდის მოვლინებას შუა საუკუნეების ესთეტიკოსთა და ღვთისმეტყველთა მსგავსად, “მობერვას, შთაბერვას”, სამეუფო ქარს, “მარადქარულს” უწოდებს.

ღრმააზროვანია და სულიწმინდას უკავშირდება ფრაზები: “იალღებით მობერილ ვარ სიყვარულისად, მომიცავს ისევ, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარად ქარული, და შორით ვჭვრეტდეთ ქართ მიმობერვას, შთამბერე ქარო, გავხსენ ლუსკუმა მე სამეუფო ქართა ძლიერთა გულისმიერი”...

უფლის ძლიერ ქარებთან წილნაყარი, დაუშრეტელი ცეცხლით ივსება: “გავხსენ ლუსკუმა მე სამეუფო ქართა ძლიერთა გულისმიერი. მეუფლა ცეცხლი დაუშრეტელი” (“აჰა, გვირგვინი ვარდის რტოთაგან”).

შემოქმედ სულს ზეციური ცეცხლი ახვევია: “მე მინდა ცეცხლი ზეცითგარდამო ზრახვათა ჩემთა მირქმად და შერთვად” (“მთავაზობთ ჯვარცმას”).

გალაკტიონს გამუდმებით ჩაესმოდა “ცეცხლის მფარველი გუგუნი” და ამბობდა: “გაბრძმედდეს ცეცხლში, რაც კი ძველი, ღრმა ტომებია” (“ორი ქვეყანა”). მისთვის ჭეშმარიტი პოეზია მარადიული ცეცხლის საგალობელია (“პოეტს”) (10, 90).

“დაფარული, უჩინარი ცეცხლია გალაკტიონის ლექსში “თითქო არა აქ”.

“საიდუმლო ალებია” ლექსში “Voiles”.

“ჟამთა ცეცხლია ლექსში “წუთი”. პოეტს ახვევია “ცეცხლი უზენაესი” (“მგლოვიარე სერაფიმები”).

“სიტყვა “ცეცხლს” ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობა აქვს, წერს ვ. ნოზაძე (11, 191).

ბიბლიის მიხედვით, ღმერთს ცეცხლის სახე აქვს: “ხოლო სახე უფლისაი ვითარცა ცეცხლი მოტყინარე”... (გამოსვლათა, 188, 124).

მოსეს ცეცხლწაკიდებული მაცვლოვანი რომ ეჩვენა, ამაში ღრმა სიმბოლური აზრია: “მაცვლოვანი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი” (12, 58).

ქრისტე არის “ვითარცა ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი (13, 107).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ახვევია “სული ღმრთისაი განმანათლებელი” (14, 597).

ე. რერიხი წერს: “ცეცხლი... ტრანსცენდენტურია... მიმართეთ დიად ცეცხლს, რომელიც ყველაფერს იძლევა, ყველაფერს წმენდს და არაფერს ითხოვს” (15, 89).

დანტეს “ღვთაებრივ კომედიაში” ღმერთის სახელია “დიადი ცეცხლი”, “მარადიული ცეცხლი”: “წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ მზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება” (16, 247).

ანა კალანდაძის “დაუშრეტელი ცეცხლი”, “ზეცითგარდამო ცეცხლი” (ისევე, როგორც გალაკტიონის “უჩინარი, საიდუმლო, უზენაესი, მფარველი” ცეცხლი) ღმერთია.

ამით იმის მინიშნება ხდება, რომ შემოქმედის შემწე, შთამაგონებელი უზენაესია.

ლიტერატურა

1. გრიგოლ ნოსელი, “პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის”, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, “საქართველოს ეკლესიის კალენდარი”, 1989.
2. “ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები” ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989.
3. ზვიად გამსახურდია, “თამარიანი და “ვეფხისტყაოსანი”, “მაცნე”, 1987წ., N4.
4. ზვიად გამსახურდია, “ვეფხისტყაოსანი” ინგლისურ ენაზე”, თბ., 1984.
5. დიონისე არეოპაგელი, შრომები, თბ., 1961.
6. ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960.
7. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ., 1996.
8. ლუარა სორდია, “უცნობი სფინქსი”, სოხუმი, 1993.
9. “ცისფერი სიშორე”, თბ., 1998.
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
11. ვიქტორ ნოზაძე, “ვეფხისტყაოსნის” მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1963.
12. აკაკი ბაქრაძე, “სასულიერო პოეზიის სახეები”, კრ. “პოეზია”, 1981.
13. პეტრე იბერი, ფსევდო დიონისე არეოპაგელი, “შრომები”, თბ., 1961.
14. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.
15. Мозаика Агни Йоги, в двух книгах, книга I, Тбилиси, 1990г.
16. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თბ., 1941.

საიდუმლო _ მხატვრული შემოქმედების ძირითადი კანონი

ანა კალანდაძე გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის შემდეგ მოვიდა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, მათ შორის და მათ გვერდით იღვაწა ათეული წლების მანძილზე, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი პოპულარობა არ განელებულა, პოეტი ქალი სხვისი შემოქმედების ჩრდილში არასოდეს მოქცეულა, რადგან მას გამორჩეული სული, საკუთარი სათქმელი მიჰმადლა არსთაგანმრიგემ.

ქართული პოეზიის დედოფლად აღიარებული ლირიკოსის შემოქმედება თითქმის გახალხურებულია, ერის სულის ნაწილად არის ქცეული. მეცნიერებისა და კრიტიკოსების პლეადა ავლენდა და დღესაც ავლენს ინტერესს მისი მხატვრული ფენომენისადმი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ, სრულყოფილად შესწავლილია. ეს სამყარო ბევრ თვალჩაუწვდენელ შრეს ინახავს, სათქმელი და სახე ხშირად საიდუმლოების ბურუსით იბურება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ენიგმების ამოხსნის სურნელს.

პოლ ვალერი ბრძანებდა: “ყველაზე უკეთესი ქმნილება ის არის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს” (1, 82).

გვახსენდება ფსევდო-ლონგინე: “ყველაზე უკეთესია ის ფიგურა, რომელიც ყველაზე უკეთ მალავს თავის ფიგურულ აზრს” (2, 186).

ანა კალანდაძის პოეზია, როგორც ჭეშმარიტი ოსტატის ნახელავი, იდუმებით, ენიგმებით, მრავალმნიშვნელოვნებით, “ორაზროვანი სიტკბოებით” (პოლ ვალერის ტერმინია) გამოირჩევა. მას არ უყვარს სათქმელის ბოლომდე მოწოდება, მინიშნება უფრო შთამბეჭდავად ესახება: “ფრჩხილების გახსნის, სულის გაშიშვლების სურვილი ავტორს ჩვეულებრივ არა აქვს და ვფიქრობ, რომ არცაა საჭირო: იდუმალეობა მხოლოდ მასთან უნდა დარჩეს”.

“ის საიდუმლო, რაც შემოქმედი ადამიანის სულის ნაწილია, მის შემომედეებაში აირეკლება და “საიდუმლოც” მხოლოდ ამ გზით გაცხადდება”.

“მგონი რიშელეს უნდა ეკუთვნოდეს ეს ფრიად საგულისხმო ნათქვამი: საიდუმლო საქმის არსი, საქმის სულიაო... საიდუმლო _ მხატვრული შემოქმედების შეუვალი, მისი “ძირითადი კანონია და არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედებისა” (3, 148, 150, 609, 634, 635).

ამაღლებულიც საიდუმლოს უკავშირდება, რომელიც მისი ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია: “ამაღლებული ხომ იმითაც არის ამაღლეული, რომ დაფარულიცაა ამავე დროს (ამ სიტყვის საუკეთესო, ამაღლებული გაგებით)” (3, 610).

პოეტს აინტერესებდა ალექსანდრე ფრანგიშვილის მოსაზრება არანობიერზე, რომელსაც მეცნიერი “გაუცნობიერებელ დისპეტჩერს” უწოდებდა (3, 586-587).

პოლ ვალერი წერდა: “რარიგ უბადრუკი ვიქნებოდით და რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი სული, მთელი ეს მითები, ეს არაკები, ეს ალეგორიები, ეს საკრალიზებული კალამბურები, ეს ჰიპოთეზები, ეს ხატოვანი სიტყვა-თქმები და მეტაფიზიკის ეს ფსევდო-პრობლემები რომ არ არსებობდნენ (1, 329).

თუ რამდენად მახლობელია და ორგანული ანა კალანდაძისთვის იგავურ-სიმბოლური აზროვნება, ეს ნათლად ჩანს მისი განაცხადიდან: “ყვავილებს ჩემს პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, ისინი ჩემთვის არ არიან მხოლოდ ბოტანიკური ერთეულები... ისინი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავენ, მათ ჩემს შემოქმედებაში მეტი დატვირთვა აქვთ (მათ უკან ხშირად “ვიღაც” დგას)”.

ასეთი დამაფიქრებელი სახე სხვაც ბევრია: “რამდენი უცვლელი სახე _ ქარი, მზე, კაშკაშა ვარსკვლავი, ეს “სიმბოლური ჯაჭვი” უმთავრესად პოეტური ქვეცნობიერების სიღრმეშია, მაგრამ მათ შეგნებულადაც მივმართავ, როგორც ამ დროს ჩემეულ განწყობილებათა უკეთეს “გამგებთ” და გამზიარებელთ” _ “მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო” (3, 83).

ვარსკვლავის სიმბოლოს გაგების საუკეთესო ნიმუშად ესახება პოეტს ვახტანგ ლებანიძის წერილი “ზრწყინავს ვარსკვლავი” (კრებული “პოეზია”, 1983 წ.).

ანა კალანდაძის შემოქმედებით კრედოსთან დაკავშირებული სახეებიც სიმბოლურია. ამ გაგებით საინტერესოა მარგალიტის, ოქროს, ზურმუხტის, ძოწის, ბივრილის, ლალის, საფირონის, საუნჯის, იაგუნდის, ამეთვისტოს, საერთოდ, განძის სახეები.

პოეტის შემოქმედების ეს ასპექტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის მკვლევარ-სპეციალისტებს.

“ანა კალანდაძე განსაკუთრებული პატივით ეკიდება იდუმალს, ბოლომდე ამოუხსნელს”, წერს ჯ. ღვინჯილია (4, 55).

იზა ორჯონიკიძე საუბრობს ანას “შეუმცდარ ინტუიციაზე, გამორჩეულ ინტონაციასა და იდუმალეზაზე, რომელიც მუდამ თან ახლავს მის სტრიქონებს” (5, 77).

“მრავლისმეტყველი, თითქოს შინაგანი იდუმალეზის შემცველი ტონალობა” დაინახა გურამ კანკავამ ანა კალანდაძის პოეზიაში (6, 33).

“ანას პოეზიაში გვხიზლავს იდუმალეზის მშვენიერება”, წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი (7, 54).

პოეტისათვის მთავარია არა მიწიერი, პრაგმატული, ხელშესახები, ნივთიერი სამყარო, არამედ სულიერება, რწმება, ზნეობა, წარუვალი ღირებულებები.

ანა კალანდაძისთვის ღმერთის გამოცხადების ტოლფასია შთაგონებული წამი, როცა ზეიმობს მისი სული “სიხარულის”, “სასოების შუქის”, “უმაღლესი საიდუმლოს” თანხლებით... ამ დროს ემცნობა ზენართა ნება, “გამოჩანს შუქი სასოების, გამოჩანს მკრთალად და მე უმაღლეს საიდუმლოს მივერთვი კვალად... წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა ნება და მაღალი მზის ამოხდომა კვლავ მეუწყება” (“ამ მაღალ ღამით”).

“იდუმალის” ერთგულია პოეტი, თუმცა მისი კანდელის ჩაქრობას ეშმაკი ცდილობს: “გულში ეშმანი მიქრობენ კანდელს, მომიახლებენ კვლავ შენსა ნათელს... და აღარ ძალმიძს უკუვაგდო ცდუნება ესე... მე ვერ უარგყოფ იდუმალის დიდებულ სხივსა, თუ მიწის რისხვაც და ცის რისხვაც გადმოვა ჩემზე” (“გულში ეშმანი მიქრობენ კანდელს”). “სხვა იდუმალების, “ცისკრის ვარსკვლავის” (ღმერთის) მოვლინება პოეტს კრძალვით, რიდით, შიშით ავსებს (“ნუ მიახლოვდები”).

შემოქმედი სულის საიდუმლოს წვდომა მხოლოდ უფლის პრეროგატივაა: “სულის ყივილის, გულის ძახილის (ო, დაილოცოს შენი სახელი!) დიდსაიდუმლო ყოველთა უწინ ამ ქვეყანაზე მხოლოდ შენ უწყი!” (“სულის ყივილის, გულის ძახილის”).

პოეტი სამყაროში მრავალი, სხვათათვის დაფარული საიდუმლოს ამოცნობის დიდოსტატია, ხოლო ყველაზე განუჭვრეტელი ზესაიდუმლო მაინც თავად ღმერთია: “ზესაიდუმლო რჩება მრავალი და ცნობისწადილს ვერ კვლავ აღუვსებს... მარად ეჭვების ტევრით მავალო, ქვეყნად კვლავ რამდენს ტოვებ აუხსნელს?!” (“ზესაიდუმლო რჩება მრავალი”).

აკი გალაკტიონიც ამაზე წუხდა: “...ამის იქით კაცის გრძნობა და გონება ვერა წვდება” (“ხელოვნება”) (8, 8).

ანა კალანდაძე აღიარებდა პოეტის ინტუიციის უტყუარობას და წინასწარმეტყველების უნარს: “რაოდენ უტყუარი აღმოჩნდება ხოლმე ადამიანის (და მით უფრო, პოეტის) ინტუიცია და რაოდენ წინასწარმეტყველურია ხშირად მისი გულისთქმა” (3, 609, 610).

“წინაგრძნობის ძლიერ განცდას” ხედავს ანას პოეზიაში გურამ ბენაშვილი (9, 38).

შეუმცდარი ინტუიცია შეუმჩნევია ანას პოეზიაში იზა ორჯონიკიძეს (10, 102).

პოეტის “საოცარ ინტუიციურ გრძნობაზე” საუბრობს შოთა ზოიძე (11, 123).

ამ ასპექტში მრავალ მაგალითს ვიპოვით დანტეს, გოეთეს, ე. რერიხის, ვანგას, ა. ფეტის, ვლ. სოლოვიოვის, ალ. ბლოკის, დ. გურამიშვილის, ი. ჭავჭავაძის, გალაკტიონის, ტ. გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

წინასწარმეტყველებით, “ბუმბერაზი წინაგრძნობის” უნარით გამოირჩეოდნენ გალაკტიონი და ტერენტი გრანელი (12, 215-226).

ანა კალანდაძე შემოქმედებით ტკივილებს ბიბლიური იობის უსაშინლეს ტანჯვას ადარებს: “ხელოვნება ტანჯვაა უცოდველის იობისა, არცა დავშვერი, არცა დავდუმენ და არცა განვისვენეო, რომ ამბობს” (3, 350).

პოეტისათვის გარდუვალია მარტოობა, მარტვილობა, რომელიც გულისხმობს ოცნებისმიერ არსებებთან “შეხმიანებას, როცა “საკუთარი აზრებითა და შენი ფანტაზიით შექმნილი არსებები გახვევიან ირგვლივ” (3, 586-587).

ნიჭის თვისებად მიაჩნია პოეტს სიმაღლეც და ოსტატობაც: “სიმაღლეც და ოსტატობაც, ვფიქრობ, შემოქმედის სულიერ წყობაშია უზენაესის მიერ ნიჭთან ერთად იმთავითვე კოდირებული” (3, 105).

მაგრამ სრულყოფისთვის აუცილებელია სწრაფვა, შრომა: “სრულყოფას (რა თქმა უნდა, შეუცნობლად...) შემოქმედიც სერაფიმივით მიესწრაფვის. იგი ისევ საკუთარ თავს თუ “გაეჯიბრება” და თავის სულიერ შესაძლებლობათა ფარგლებში თუ იპოვის მხოლოდ მისეულ სიმაღლეს” (3, 105).

ამავე დროს, “შემოქმედებითი წესი” ყოველთვის განსაზღვრულია “ვიღაც” უზენაესით, იდუმალით: “დროზე წერტილის დასმას”, სათქმელის დროზე დამთავრებასაც თითქოს “ვიღაც გკარნახობთ” (ისევე, როგორც თემატიკას, როგორც... ყველაფერს), ფიზიკურადაც კი გრძნობთ, რომ კიდევ ერთი სტრიქონის დამატებაც რომ გახდეს საჭირო, უკვე ვეღარ შესძლებ ფიქრს: სული გეხუთება და ჩქარა იშორებ სათქმელს, წერტილს ჩქარა სვამ საჭირო ადგილზე. ამას უფრო... ჩემი შემოქმედებითი წესი მკარნახობს და არა კლასიკური იაპონური პოეზიის გავლენა” (3, 124).

მწერლობა, პოეზია, სულიერი კათარსისია, სულის ზრდის საშუალება, როგორც პოლ ვალერი ბრძანებს: “მწერლობა მხოლოდ მაშინ მაინტერესებს, როცა ის ცდილობს და ხელს უწყობს სულის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სევდას მგვრის” (1, 301).

თუ როგორ ქმნის ანა კალანდაძე სულის მზრდელ ლექსებს, თუ რა განსაკუთრებული, ამაღლებული მისტერიაა მისთვის შემოქმედებითი პროცესი, კარგად ჩანს ერთი ჩანაწერიდან: “შუა საუკუნეების ერთი მოღვაწე წერს: “შებინდებისას შინ ვბრუნდები და ჩემი სამუშაო ოთახისკენ მივდივარ. ზღურბლზევე ვიხდი გატალახიანებულსა და მტვერში ამოგანგლულს ჩემს გლახურ სამოსს და სამეფო და სასალუქო ტანსაცმლით ვიმოსები. ასე მორთულ-მოკაზმული შევდივარ წარსული დროის ბრძენკაცთა საკრებულოში... თუ ეს შედარება მკრეხელობა არ იქნება ჩემი მხრიდან, მეც ასე ვცხოვრობ “ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის” (3, 126).

შემოქმედებით პროცესში სულიერ განწყობდასა, ნათელსა და უზენაეს ცეცხლთან ზიარებაზე გვესაუბრება პოეტი ლექსში “აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან”: “აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან და შენს კარებთან განვაგდე ფლასი: მეგულვის შიგან ცეცხლი დიადი და ცათა კრთომა იდუმალ დასთა... ბრწყინავს, ციმციმებს უცხო გვირგვინი, ადგას ნათელი სამეფო კარებს... ვგრძნობ უხილავთა მოახლოებას, რომელნი არსად არასდროს წავლენ... ნათელს დავბრუნდი მწუხარებიდან” (“აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან”).

ანა კალანდაძე ხედავდა “შუალამის კარიბჭეს”, “უხილავ სხივს”, “ელვარე ცის საიდუმლოს” (ღმერთს) და მისი სურვილი იყო მიწიერთა ამაღლება უხილავის შეცნობამდე: “ბრწყინავს კარიბჭე შუალამისა... ცა უხილავი სხივით აივსო... ჰა, საიდუმლო ელვარე ცისა... უწყის მიწამან ღირსება მისი?” (“ბრწყინავს კარიბჭე შუალამისა”).

ჭეშმარიტ პოეტებს სულის ხილვის იშვიათათათვის მიმადლებული უნარი გამოარჩევთ, რაც ორგანულია ანასთვის: “ეს არის ჩემი მეგობრის სული, თრთის და ციმციმებს, კრთება ნამივით” (“ის სურნელი საით მოგყვა?”).

ილია ჭავჭავაძემ დაინახა “საქართველოს თანამდევი უკვდავი სული” (“აჩრდილი”) (8, 157).

“მე დავინახე მცურავი სული” (“გრიგალი”), გვარწმუნებდა გალაკტიონი. იგი საუბრობდა “სულის შეხებაზე” (“სანთელი”) (8, 86).

“მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ შენს სულს, ტანჯვისგან გასპეტაკებულს”, გვიმხელდა ტერენტი გრანელი.

ანა კალანდაძე ხედავს ცის სულს, მიწის სულს, ვარსკვლავის სულს, ქვეყნის სულს, ქართველთა უძლეველ სულს, სულთა მარადიულ სამკვიდროს, სულთ დასამკვიდრებელ სადგურს, სულის ვანს, მაღალ სულს. იგი “ეამბორება ქვეყნის დაღლილ სულს”.

გვახსენდება ხორხე ლუის ბორხესი: “ისტორია დაუსრულებელი ლიტურგიკული ტექსტია, რომელშიც იოტები და წერტილები არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე სტრიქონები ან თუნდაც მთელი თავები, მაგრამ აზრი ერთისაც და მეორისაც ყველასთვის ღრმად დაფარული და შეუცნობელია” (13, 50-51).

“მსოფლიოს ისტორია, და მაშასადამე, მთელი ჩვენი ცხოვრებაც უმცირესი წვრილმანებით, ერთგვარი აბსოლუტური სიმბოლიკური აზრით არის გამსჭვალული” (13, 45).

ლიტერატურა

1. პოლ ვალერი, “რჩეული პროზა”, ფრანგულიდან თარგმნა ზაჩანა ბრეგვაძემ, “ნაკადული”, თბ., 1983.
2. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის”, თბ., 1975.
3. ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. 2, თბ., 1995.
4. ჯანსუღ ღვინჯილია, “უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან”, “დანიშნულება”, “მერანი”, თბ., 1987.
5. იზა ორჯონიკიძე, “რამდენიმე სტრიქონი ანა კალანდაძეზე”, “კრიტიკა”, 1985, N3.
6. გურამ კანკავა, “ლიტერატურული შენიშვნები”, თბ., 1972.
7. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, “ლიტერატურული ეტიუდები”, თბ., 1988.
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982.
9. გურამ ბენაშვილი, “ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი”, “მნათობი”, 1985, @N5.
10. იზა ორჯონიკიძე, “ანა კალანდაძე”, “ცისკარი”, 1974, N12.
11. შოთა ზოიძე, ანა კალანდაძის შემოქმედება, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2001.
12. ლუარა სორდია, “გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები)”, თბ., “მერიდიანი”, 2005.
13. ხორხე ლუის ბორხესი, “ენიგმათა სარკე”, თარგმნა თამაზ ჩხენკელმა, თბ., 1996.

მაღალი სიბრძნის სინათლე

ანა კალანდაძის დიდება დაფუძნებულია არა მხოლოდ სადღეისო, მიწის აქტუალური პრობლემებისადმი ინტერესზე, ხალხურობასა, მუსიკალობაზე თუ ქართული ენისადმი შემოქმედებით მიდგომაზე, არამედ, უპირველესად, სიბრძნის ერთგულებაზე.

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: “გამაგებინე სიბრძნე ფარული, უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი გამიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწმინდნე მე, განმზანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე” (ევედრებოდა უფალს დავით წინასწარმეტყველი) (ფს. 5, 51, 8,9) (1, 575).

ბიბლიაში სიბრძნის მომნიჭებლად უფალი ეგულებოდათ: “ღმერთია წინამძღვარი სიბრძნისა და ბრძენთა წამმართველი” (სიბრძნე სოლომონისა, 7, 15) (2, 23).

სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის სიხარულით სავსეა სოლომონის სტრიქონები: “ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა” (სიბრძნე სოლომონისა, 7, 21).

“ღვთის ძალის სუნთქვაა იგი” (7, 25).

“იგია საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სახე ღვთაებისა და ხატი მისი სიკეთისა” (7, 26).

“ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ” (სიბრძნე სოლომონისა, 5, 27).

“რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს” (5, 28) (2, 24).

სოლომონი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ღვთიურს, წმინდანს ხელეწიფება სიბრძნის მიღება: “ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ” (იგავნი სოლომონისა 14, 6).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: “მიწიერს” და “ზეციურს”.

შეზღუდულად მიიჩნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: “ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით” (1, იერემია, 51, 17) (2, 177).

“ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი,... მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს, რადგან დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი” (ბარუქ წინასწარმეტყველი 3, 20).

“ვერც აგარის შვილებმა, რომლებიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონის და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხრობელებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები” (ბარუქი, 3, 23).

“არვინაა შემძენებელი მისი გზისა და არც გულისხმისყოფელი მისი ხილვისა” (ბარუქი 3, 31).

“მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა” (ბარუქი, 3, 37) (2, 190).

ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: “ცოდნისგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას” (1, იერემია, 10, 14) (2, 135).

პავლე მოციქული ეძებდა არა ხორციელ სიბრძნეს, არამედ “ღვთის მადლს” (II წერილი კორინთელთა მიმართ, თ. 1, 12) (1, 385).

“არა წუთისოფლის სიბრძნე”,... არამედ “ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული”, აცხადებდა პავლე მოციქული (1, კორინთელთა, 2, 6, 7) (1, 358).

“სიბრძნის სიტყვა სულის მადლია” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 2, 6).

პავლე მოციქული შეგვაგონებს, “თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს” (1, კორინთელთა, თ. 3, 18).

“ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ, 3, 19) (1, 360).

“სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე? განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა ამ ქვეყნიერების სიბრძნე?” (პავლე მოციქული, I წერილი კორინთელთა მიმართ, თ. 1, 20) (1, 357).

მხოლოდ საღვთო სიბრძნეზე ორიენტირებულთა ნააზრევი გადაურჩა დავიწყების უფსკრულში ჩაძირვას.

ათეისტურ მეოცე საუკუნეში იყვნენ საღვთო სიბრძნის მაძიებელი, რომელთაგან უპირველესია გალაკტიონ ტაბიძე (მის შემოქმედებაში უპირველესი ადგილი უკავია საღვთო სიყვარულის იდეას) (3, 100-109).

გალაკტიონი არის “მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი” (“უმშვენიერეს კიბეზე”) (4, 471).

ზეციდან მოვლენილი სიბრძნით, სიწმინდით, სიმართლის მსახურებით ამალღებული ანა კალანდაძე მხოლოდ უზენაესის საკადრისი ჰანგებით იყო გამორჩეული: “ზეცითვის მაღალ-საშვენი მხოლოდ ფიქრები საზეო”.

“წარუვალი და მარად ქარულის” მსახურ პოეტს “სიხარულის პალატა” მაღალ-მაღალი ბჭენი ეხსნება (“მომიცავს იგი”).

ანა კალანდაძის პოეზიაში მიგნებულია “მაღალი სიბრძნის სინათლე”. პოეტი გიორგის, ექვთიმეს, ლაზარეს, ზოსიმეს სავანეში ეძებს სულიერების ბურჯებს, “მაღალი სიბრძნის” საწყას: “ოშკის მძლე ტაძარო, ათასი წელია, დგახარ და ღაღადებ... კვლავ ანთებ ჩირაღდანს, კვლავ მზემდე მალღდები, მრავალჭირნახადო! კვლავ შენი სარკმლებით მაღალი სიბრძნისა ინთება სინათლე” (“ოშკის მძლე ტაძარო”).

პოეტი მოგვიწოდებს, რათა სასულიერო ლიტერატურის წიაღში ვიპოვოთ მშვიდობის მარადიული ნათელი, ეჭვის დათრგუნვის ძალა: “მიხედეთ მათ მაღალ

შარავანდს _ მთაწმინდელთ, მოდრეკილთ, მერჩულთა” (“ესმოდათ აღსავლის კართან”).

“ღვთაებრივ კომედიაში” ნეტარი სული ეკითხება დანტეს: “წადილი შენი?” _ “სიყვარული და სიბრძნის ნიჭი” _ ასეთია იტალიელი გენიოსის თხოვნა (5, 584).

სიყვარული და სიბრძნე განუმორებელია ანა კალანდაძის პოეზიაში; “იალალეებით მობერილ ვარ სიყვარულისად”, ამბობს პოეტი, სიყვარული კი ღმერთია.

მხოლოდ მარადიულს, უხრწნელს, წარუვალს ადგას “მარადი სხივის” (ღმერთის) ათინათი და არა მიწიერ პორფირ-გვირგვინ-კვერთხებს: “შენს საკურთხეველს კდემით ემთხვია, გარდამოვიდა სხივი მარადი, დააგდო პორფირ-გვირგვინ-კვერთხები და მას, წარუვალს თავზე დაადგა” (“შენს საკურთხეველს”).

უზენაესის წმინდა, “უსპეტაკეს სახლში”, “ნათლის სახლში” მკვიდრდება ანა კალანდაძე, ზეციური “სასანთლე” უპყრია და უფლის სიტყვის მაცნეს მოელის: “მე უდიდესი სიხარულისთვის შენი სიტყვისას მოველი მაცნეს” (“მოგეახლები კვლავ სახლსა წმინდას”).

ღირებულებათა გადაფასების, სიყალბის ჭეშმარიტებად გასაღების მცდელობა ყოველთვის იყო.

მაშინ, როცა “ჯამბაზთა,... გაერთა ყალბი შუბები” “მინანქრად საღდებოდა”, გალაკტიონი ღმერთთან ხიდის გადებას ცდილობდა და ათეისტური ეპოქის ქარს, “ახალ ერესებს” უპირისპირდებოდა (“ქარის პირისპირ”) (4, 462).

ანა კალანდაძე მრავალგზის ყოფილა უღმერთო ეპოქის კატაკლიზმების, ჭეშმარიტების დაკნინებისა და სიცრუის მოწმე, რაც უზენაესის მცნებების დავიწყების შედეგი იყო: “როცა მებაღეს არვინ კითხულობს და გადიცვლება ოქრო მინაში, სხვისი სისხლითYდა სხვისი ცრემლებით, ჰა, ქორვაჭარი დგას შენს წინაშე” (“როცა მებაღეს არვინ კითხულობს”).

უფლის ხელდასხმული პოეტი უკეთურებას ამარცხებს, მისი მადლიანი სიტყვა ზეციურ სინათლეს ასხივებს: “გულს დამფენია მზეი ცხოველი, უკეთურებით კვალად

ხსნისათვის, სინათლის ჩემის გაძლიერებად, მიწყვი, უკუნით უკუნისამდე” (“გულს დამფენია მზეი ცხოველი”).

ანა კალანდაძე აპოკალიფსის თეთრად შემოსილ წმინდანთა დარად გალობს ისეთი ამაღლებული, მომნუსხველი ჰანგებით, რომლის გათავისება მხოლოდ ღმერთის ერთგულთ, რწმენისთვის მსხვერპლის გამღებთ მიჰმადლებიათ”.

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
3. ლუარა სორდია, “გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები”, თბ., 1996.
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
5. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თბ., 1941.

მისტიურის მიღმა ფერებით შემოსილი

სამოსლის სიმბოლური გაგების მაგალითები ჯერ კიდევ ბიბლიაში გვხვდება. ბიბლიის პირველ ადამიანებს – ადამს და ევას ნათლის სამოსი ეცვათ, როგორც სიწმინდის, უცოდველობის სიმბოლო, ხოლო ცოდვით დაცემის შემდეგ – ტყავის ტყაპუჭი დაიმსახურეს.

ფსალმუნში ნათლის სამოსელი სულიერი სიწმინდის ნიშანია: “გაკრავს სინათლე სამოსელივით” (103, 2) (1, 633).

როცა იესომ პეტრე, იაკობ და იოანე აიყვანა მთაზე სალოცავად, “იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვიდრე ნათელი” (მათე, 17, 2) (1, 37).

იოანეს გამოცხადებაში შვიდ ანგელოზს “ემოსა სამოსელი წმინდა და ბრწყინავი” (თ, 15, 687, 6).

თეთრი სამოსით იყვნენ წმინდანები (15, 6) (1, 506).

“არეოპაგიტულ კრებულში” დიონისე არეოპაგელი არის “ღმერთშემოსილი” (2, 187).

ქართული სასულიერო პროზისა და პოეზიის წმინდანები სასწაულებრივი ნათლით გვევლინებიან.

ჯავახეთის კრებაზე გამოცხადებულ გრიგოლ ხანძთელს “...ემოსა ...სამოსელი ნათლისა და ბრწყინვალისა განუცდელისაი” (3, 586).

გრიგოლს ეხვია არა ცეცხლი შემწველი, გარნა სული ღმრთისაი განმანათლებელი” (3, 597).

იოანე მტბევარი “ღმერთშემოსილს” უწოდებს წმინდა ბასილს. მიქაელ მოდრეკილთან აბო თბილელი არის “ნათლით შემოსილი”.

ბასილის თქმით, ექვთიმე არის “შემოსილი დიდებითა”, ძლევაშემოსილი.

ჰიმნოგრაფიაში “სიცრუის სამოსელს” უპირისპირდება “წმიდისა სულისა... ნათელი” (4, 599).

არსენ ბულმაისიმისძე წერს: “შეიმოსეს ქრისტეს ნათელი ნათლისღებათა” – “გალობაი წმიდისა მოციქულისა ნინოსი” (5, 543).

ვაჟა-ფშაველა “შემოსილია ნათლითა” (“გულზე წყლულები”).

“თეთრი სამოსით” გვევილებიან სიმბოლისტები ტერენტი გრანელის წერილში “ჩვენი მიზანი” (6, 2).

“თეთრი სიწმინდის, სინათლის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ფერისცვალების, ნათლისღების ფერია” (7, 11).

გრიგოლ ნოსელის რჩევა ასეთი იყო: “განიძარცვეთ კაცი იგი ძუელი და შეიმოსეთ კაცი იგი ახალი, განახლებული მსგავსებათა დამბადებელისა თვისითაითა” (8, 230).

“შერიგებაში” გალაკტიონი “თეთრ ტანსაცმელში” გვეცხადება (9, 53).

“მებრძოლ პოეტს” აცვია “სამოსელი ბრწყინვალეების და გამარჯვების” – “რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს” (10, 211).

ლექსში “დღეს შემისრულდა” სახალხო პოეტს მოსავს “სხვა მზე”: “მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჭფერის საქართველოს სახალხო მგოსანს”.

მზე, “სხვა მზე” გალაკტიონის პოეზიაში ღმერთის სიმბოლური სახელია.

“მშვიდობის წიგნში” მშვიდობის წიგნის პოვნის შემდეგ მიდამოც “მზის სამოსით” მოჩანს.

“ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა” ქმნის სულ სხვა ახალ “ვეფხისტყაოსანს” და გალაკტიონს მთელი საუკუნე ეზმანება “ბრწყინვალე ჩოხით” (“ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა”).

“სხვაგან პოეტების მეფეს სიხარულშემოსილს ვხედავთ: “მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება, ხიბლავდა გარემომოსა მინდვრების გადასოსნება (“ეს გრიგალია სიახლის”) (9, 151).

სიხარული საღმრთო სახელია, ქრისტე არის “სიხარული ყოვლისა ერისა” (ლუკა 2, 10) (1, 113).

როგორც ვხედავთ, ღმერთები, წმინდანები, სულიერი მოძღვრები, პოეტები მისტიური სამოსელით გვევლინებიან.

ანა კალანდაძის პოეზიაში შემოქმედებითად გრძელდება ეს ტრადიცია.

პოეზიის დედოფალს აინტერესებს “უსაზღვროება, დასაწყისი და დასასრული”, ზეციური მშვენიერების მოუცილებელი ატრიბუტი – “მისტიურის მიღმა ფერები”; “თუ არ ეშორვი დაუცხრომელ კაცთა გოდებას, ლურჯო ვარსკვლავო, მაშ სადღაა უსაზღვროება, დასაწყისი ან დასასრული? – ნუ მოხვალ ახლოს, ნუ მეძიებს მე შენი სული. დე, კვლავ შემოსონ მისტიურის მიღმა ფერებმა, თორემ დაკარგავ ცის და მიწის მშვენიერებას” (“თუ არ ეშორვი”).

ორგვარ ნათელს განასხვავებდნენ ნეტარი ავგუსტინე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი. ერთია ხილული ნათელი, ხოლო უხილავი ნათელი ღმერთის სასუფეველია და მოკვდავისთვის მიუწვდომელი.

მორწმუნე პოეტს აინტერესებს არა ხილული ნათელი, არამედ ზეციური ნათელი, “ნათელი ყოველთა ნათელ” და ლოცულობს, ეზიაროს მის ბრწყინვალეებას: “შენ ხარ საყდარი ჩემის დიდების, ძალი მაღალი ყოველთა ძალთა, მომმადლე შენი კვლავ ბრწყინვალეება, მომხვდეს ნათელი ყოველთა ნათელ! შენის დიდების... მე ვარ საყდარი!” (“შენ ხარ საყდარი ჩემის დიდების”).

ზეციურ ცეცხლთან თანაზიარობისთვის, მარადიული სინათლისთვის, ბოროტების დამარცხებისთვის ევედრება საბოთ ღმერთს: “ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი და ცეცხლით ვივსები იმათებრ... “ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბოთ, სინათლე, სინათლე, სინათლე!”... და მტერთა მძეველი მახვილი ბოროტი გულისკენ მიმართე... “ო, ღმერთო, ო, ღმერთო, საბოთ, სინათლე, სინათლე, სინათლე!” (“ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი”).

არა “მიწიური კავშირისთვის”, არა “მიწიური გვირგვინისთვის”, არამედ “ცის გვირგვინისთვის” მოიხილავს “წმინდა სავანეს” (“შუალამისას მოვიხლე წმინდა სავანე”).

ზეცის ნათელი ზეცის კარამდე ამაღლებს, უფლის გაბრწყინებულ სახეს ხედავს, მის მარადიულ სხივს ეზიარება გამოცხადების უზენაეს წუთებში: “გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე... ჰა, დგახარ ჩემს წინ გაბრწყინებული... ო, სხივი შენი მთოვე მარადის!” (“გარდამოვიდა ჩემზე ნათელი”).

მეუფის წყალობა ყვავილებით, ნათლის მოვლინებით ეუწყება: “გამომიწოდა მეუფემ ჩემმა ჩემი თმებისთვის ყვავილი მინდვრის” – ეყავნ ნათელი! გულში გაივლო და... დიდხანს ჩემში ნათელი იდგა!” (“გამომიწოდა მეუფემ ჩემმა”).

ზეცის ნათელს აღმართებით ავალი სულისთვის ფერისცვალება, განახლება და ლხინი მოაქვს: “მოღლილს ლოდინით და აღმართებით ნათელი შენი გულზე მეცემა. სულში მეღვრება შენი ნათელი და უსასრულო ლხინს მივეცემი” (“მოღლილს ლოდინით და აღმართებით”).

გამოცხადების ბედნიერება განუცდია და კვლავ ენატრება “სიხარულის ენა”, მისი “თვალთა ბრწყინვა, ხმა, მოსასხამი ცეცხლისმიერი”... და უფლის სასწაული ისევ არ აყოვნებს. საყდარში დამკვიდრებული, “ნათლის სვეტის” (უფლის სახელია), ამაღლების, “ზეთ თანაზიარობის” განცდით ივსება: “დამვიწყდა ენა სიხარულისა და სახე მისი და თვალთა ბრწყინვა, ხმა, მოსასხამი ცეცხლისმიერი... ნეტარ ვის მოხვდეს კვლავ მისი ხილვა! მრქვა, ჰა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი... აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ! მივუგე, ვინც შენ გიხილოს ნეტარ!” (“დამვიწყდა ენა სიხარულისა”).

“სიხარულის თეთრი მოსასხამია” ლექსში “უცხო **ტამკაზე** აჰა, პურნი შესაწირავი”.

“წმინდა ნათელს”, ამეთვისტოს და მარგალიტსხმულს ელოდება, თუ მეუფემ თავისთან მიახლების ღირსი გახადა: “შემომეხვევა წმინდა ნათელი, ამეთვისტო და

მარგალიტსხმული, მე თუ მომიხმობს ჩემი მეუფე”... (ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო”).

ანა კალანდაძის ბედნიერება და სიმდიდრეა გულის ანგელოზი და ზეციური სხივების არეალში ყოფნა: “გულს ჩასახული მყვა ანგელოზი და სხივთა თავით ვიყავ მდიდარი”...

პოეტს უახლოვდება “ცის ლურჯი სული”, “ლურჯი ნათელი”, ლურჯ სივრცეში ვარდისფერი თოვლი მოჩანს, “სხვა სხივი” და ცისკენ ამალლების განცდა ჩრდილავს მიწასთან კავშირს: “მიახლოვდება ცის ლურჯი სული, ლურჯი ნათელი მიახლოვდება და, აჰა, ლურჯი იხსნება სივრცე, სად ვარდისფერად გამითოვდება. და იკარგება ჩვენს ფეხქვეშ მიწა, თვალები ჩემი სხვა სხივთ იკრებენ და ჩვენ მივდივართ მაღლა, სულ მაღლა, აშოლტილ ხეებს ცისკენ მივყვებით. მიახლოვდება ცის ლურჯი სული” (“მიახლოვდება ცის ლურჯი სული”).

სხვაგან არის “ვარდისფერ ღრუბელთან” და “ვარდისფერ წვიმებთან” თანაზიარობის განცდა: ...“ცრის ვარდისფერი შენი ღრუბელი მხოლოდ ვარდისფერ, ვარდისფერ წვიმებს”...

ცის ქერუბიონის მომწვანო ელვა ადგას ანას პოეზიის ლირიკულ გმირს ტაძარში: “გადგას შორეული მომწვანო ელვა ქერუბიონის, ცათა მყოფისა” (“გაბრწყინებული იყო ტაძარი”).

მარადიული ბრწყინვალეების განმცდელს, გულში თვალ-მარგალიტის ელვარე სხივები უნთია: “თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა დაუნჯებულად გულში ანთებდი” (“თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა”).

ანა კალანდაძე არის შემოსილი “რწმენისა და სიყვარულის აბჯრით, ხსნის იმედის მუზარადით”, პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ (პავლე მოციქულის I წერილი, თესალონიკელთა მიმართ, 5, 8) (1, 442).

გვახსენდება წინასწარმეტყველის სიტყვები: “აჰა, წყვდიადი დაფარავს ქვეყანას და ბნელი ხალხებს. შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება გამოგეცხადება” (ესაია, 60, 2) (11, 118).

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
2. “არეოპაგიტული კრებული”, თბ., 1981.
3. გიორგი მერჩულე, “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”, ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. 1, თბ., 1987.
4. “ნევმირებული ძლისპირნი”, 1982.
5. “ჩვენი საუნჯე”, ტ. 2, თბ. 1960.
6. გაზეთი “ია”, თბ., 1919.
7. ვიქტორ ნოზაძე, “ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება”, ბუენოს აირესი, 1954.
8. გრიგოლ ნოსელი, “კაცისა აგებულებისათვის”, თბ., 1964.
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1982.
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977.
11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

სხივები შენი მოილე ჩემკენ

ბიბლია, სასულიერო პოეზია, ქართული თუ უცხოური კლასიკური ლიტერატურა სავსეა ლოცვა-ვედრების მოტივებით. მორწმუნე თვალთახედვას, სმენას ყოველთვის მიაპყრობს უზენაესს, რომელიც ყველაზე საიმედოა სამყაროში.

იერემია წინასწარმეტყველი გვამცნობს: “ასე ამბობს უფალი: დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს”.

“კურთხეულია კაცი, რომელიც ესავს უფალს და უფალია მისი საესავი” (იერემია, 17, 5, 7) (1, 141).

მხოლოდ რწმენა მისცემს პოეტს ერის გაძლოლის ძალას, ხალხის სატკივრების გაგების, მომავალში გაღწევის უნარს.

“ერის, ხალხის წინამძღოლობას მხოლოდ ის პოეტი, ის მწერალი შეძლებს, ვისაც ღრმა, უშუალო კავშირი ექნება ღმერთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ღვთის ხმა დახშული იქნება მისი სმენისთვის და “ზეციდან” შთაგონებით ვერ მიიღებს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაფარულ, ან მათ მიერ უკვე დავიწყებულ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, რითაც არა მარტო აწმყოს დანახვას, არამედ მომავლის განჭვრეტასაც შეძლებს, მისი შემოქმედება “ყოველდღიური” და “მიწიერი” იქნება” (2, 117).

ანა კალანდაძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უფლისადმი აღვენილი ლოცვა-ვედრების ინტონაციებს.

პოეტისთვის უზენაესი ბედნიერებაა “მიუღწეველის, უცნაურის, საცნაურის, სასწაულის” – ღმერთის გამოცხადება: “გამომიბრწყინდი, მიუღწეველო, აწ უცნაური მექმენ საცნაურ... უმაღლესია ხატება შენი და ძალა მისი მარად სასწაულ” (“გამომიბრწყინდი, მიუღწეველო!”).

“წარუვალის და მარად ქარულის” მოთაყვანე “სიხარულს” (ღმერთს) ევედრება მისი პალატების ხილვის ღირსი გახადოს: “მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი შენთა პალატთა, ო, სიხარულო!” (“მომიცავს იგი”).

ანა დავით წინასწარმეტყველივით შესთხოვს მფარველობას უზენაესს, რადგან მისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე წმინდა ზეცის სხივის ხილვაა: “გულს ჩასახული მყვა ანგელოსი და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი... ფრთა დამაფარე შენი მაღალი: მთოვოს ადგილმან შემნან წმინდამან, კვლავ სასოებავ!” (“გულს ჩასახული მყვა ანგელოსი”).

გალაკტიონი თავისი დიდი სიყვარულის ფრთების ქვეშ შეფარებას სთხოვდა უფლის სულს: “იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე, ამას გვედრები” (“შეო თიბათვისა”) (3, 94).

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მთავარი იყო “სულის წადილი”, გალაკტიონისთვის “სულის სახლი”, ანასთვის – “სულთ დასამკვიდრები სადგური”, “სულის ვანი”, რწმენის მსახურება: “შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს, სულთ დასამკვიდრებს და მშვიდთა ცათა ამოენთება ვარსკვლავი კიდეთ, დაუბრუნდებათ თავისი ფერი დიდებულ ნამკვებს და კვლავ სიჩუმე მოიცავს ყოველს, ვითარცა ტაძრებს... განმად გპოვებდი: მექმნები შიშად და არა ლხენად... თუ ჩაქრე, მეცა მივდრკები ქრობად, ფოთოლთა ცვენად... თუ არა – მუდამ დამიბრუნდება ჩემივე რწმენა, მზე დიდებული – ვით ლამაზ მინდვრებს” (“შენ ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს, სულთ დასამკვიდრებს”).

პოეტის არსება შინაგანად მზად არის უზენაესის მარადიული სხივების შესახვედრად: “აჰა, სადგური შენთა სხივთათვის, დიდო მნათობო, აჰა, სადგური! დახდი ამ ქვაბსა, მარადიულო, და დაიფარე ჩემი სანთური” (“აჰა, სადგური შენთა სხივთათვის”).

სიცარიელეს პოეტი რწმენით ებრძვის, რათა უფლის სახლად აქციოს სული: “კარს ვაღებ, მხვდება... სიცარიელე... მოვედ, უფალო, ჰა, შენი სახლი!” (“ვერ დაგივიწყე”).

ცის სახლი, სენაკი, სადგური, საყდარი, ტაძარი, პალატი რწმენის ტახტია პოეტისთვის, სულის მოსათქმელი ადგილი: “ო, მოგიზგიზე სიხარულო, მე ვანთებ შენთვის წმინდა კელაპტარს, ო, უწმინდეს წმინდათა შორის... ჰა, გული ჩემი შენს პალატად და შენდა ტახტად... მყო უსასოო, თუ ოდესმე შენ ჩემთვის დახდე... ო, მოგიზგიზე სიხარულო, ჰა, ღამე შენი” (“ო, მოგიზგიზე სიხარულო”).

მამაღმერთს, ძე ღმერთს და ღვთისმშობელს თანადგომას შესთხოვს: “დამიდგი კარავი სიხარულისა!” სიხარული ძე ღმერთია (ლუკა, 3, 10), (4, 112), კარავი მარიამის სიმბოლოა (5, 124).

უკეთურები საკურთხევლებს ამხობენ, მზეს კი არა, ღამეს ეთაყვანებიან, სპეკალს ქვას ამჯობინებენ. პოეტს ღმერთის სამართლიანობის იმედი ასულთგმულებს: “სხივები შენი მოილე ჩემკენ, თორემ... დიდების თვისას რეკენ მტერთა კარვები... დაამხეს ჩემი საკურთხევლები: მზისა წილ ღამეს აღიარებენ: ქვა სჯობსო სპეკალს! სხივები შენი მოილე ჩემკენ, მოილე ჩემკენ!” (“სხივები შენი მოილე ჩემკენ”).

დიდი იმედია მზის (მამაღმერთის) სიტყვა: “კესავ შენს სიტყვას, ცაო მაღალო, რომ ციმციმებს და სხივოსნობს მზეში!” (“ამ წმინდა კანდელს”).

პოეტს უპირველეს მისიად რწმენის, სამეუფეო სახლის მკვიდრთა, მაღალთა, სულიერების მსახურება ესახება: “მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა სამეუფოთა ცისათა სახლის, მომეცეს ძალი, ძალი მომეცეს, ვიყო მარადის მე მათდა მსახურ!” (“მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა”).

არა მიწიერი, წარმავალი ბედნიერების მოპოვება, ნივთიერი საუნჯის პოვნა, არამედ ციური მაღლის მიღება, უზენაესის სიახლოვე, სულიერი სალაროების, საღვთო საუნჯეების ხილვა სწადია: “გულს დამდე ხელი შენი, ძლიერო, ხელი გულს დამდე, რომ შენი მარად შემეწეოდეს ციური მაღლი. რაც უნდა სავსე სალაროები

არბიონ ჩემი, აჰა, მეუფევ, მხოლოდ თივა-ბზე და ქატო რჩებათ... რომ შენეული საუნჯეების ვიხილო მადლი” (“გულს დამდე ხელი შენი, ძლიერო”).

დავით წინასწარმეტყველივით ევედრება უფალს აპოკალიფსური ურჩხულის დამარცხებას, სიკეთე-ბოროტების შემცნობს, უკეთურების მხილება, მოვლენე-ბისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა სწადია და ღმერთზე დაიმედებული, თავის კითარას მხოლოდ სიმართლის სამსახურს აკისრებს: “ისევ განკვეთე შენ ურჩხული გაუმაძღარი და დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ... გააღე ჩემთვის, ო, კარები შენი ტაძრისა, კვლავ სასოებით შემოვიდე, ხელუწიფარო! მფარველო ჩემო! ბოროტების ყოველი ვცანი: არ დაცხრეს მათგან, არ დადუმდეს ჩემი კითარა!” (“ისევ გახსენი გული ჩემი”).

ზეციური სამართლიანობის იმედი ქცეულა სტიმულად: “კვლავ სასოებით მივენდო შენთა, _ მწედ მესახვიან ძალნი ცათანი... ქმენ სამართალი, რომელსაც ხედავ, ო, შენეული ქმენ სამართალი” (“კვლავ სასოებით მივენდო შენთა”).

ათეისტურ ეპოქაში რწმების დავიწყებას მიუსაფრობა, მწუხარება მოაქვს, პოეტი კი ელის “იდუმალ ნათელს”, “უზენაესს ზენათა შორის” (“მიუსაფრობის, მარტოობის”).

მაცდურთა თარეშის ჟამს მისი სასოა მეუფის ლამპარი, პოეტის არჩევანი ერთადერთია და ეშმაკთან მებრძოლი, ღმერთს ავედრებს სულს: “უცოდველს ცოდვა არრაი მაქვს და მაინც ღმერთსა ვავედრებ ჩემს სულს” (“რა მიაგოს, მან უწყის თუ ვის”): “შენდა აღმოსვლა, მეუფეო, სურს სულსა ჩემსა, ო, მწამს, შეისმენ გულის სიღრმით აღმომხდარ სურვილს”...

ლოცულობს საქართველოს ეროვნული ხის მარადიულობისთვის, ზეციური მადლისთვის (“ო, მადლსა შენსა”).

ელის ღვთის “სიტყვის მაცნეს” (“მოგეახლები კვლავ სახლსა წმინდას”), “იდუმალის მოსვლას” (“მე მიხმობს იგი თვის წმინდა ჭერქვეშ”), “მომავლის დღეს” მოელის “მიწყვი” (“მხმობს ვარსკვლავების თეთრი ღვთაება”).

იხმობს იდუმალი, ეძახის, აკი “მასთან თანშერწყმა” იყო პოეტის “წმიდათაწმიდა ლოცვის” საგანი (“მე მიხმობს იგი”).

“...რეკავს შეუცნობელი, მიხმობს მისკენ” (“N-ს”).

იხმობს მეუფე (“ჩამოჰკრეს მწუხრის”), უახლოვდება “ცის ლურჯი სული”.

“კომუნიკაცია” ორმხრივია: ვუხმობ _ მიხმობს, ვპოვე – მიპოვა, იცან – ვცანი, მეუწყება – ვაუწყებ, ვიხილე _ მიხილა, მომეგო – მიაგო, მიახლოვდება _ მივეახლე.

ძიება წარმატებით სრულდება, “მაცოცხლებელი დიდი სული”, “დიდებული ყოველთა ძალი” პოულობს წმინდა, ამაღლების მოსურნეს: “აქა მეუფებს სული მისი, ამ მწვერვალებზე, ო, აქ ბინადრობს, ამ ნისლებში ცხადად თუ სიზმარ... აქა მომეგო დიდებული ყოველთა ძალი, მაცოცხლებელმა დიდმა სულმა მიპოვა ცისმან ამ ხეობაში” (“აქა მეუფებს”).

ნათლის გარდამოსვლის, გამოცხადების წუთი უზენაესი ბედნიერებით ავსებს (“გარდამოვიდა ჩემზე ნათელი”).

ეს ზეციური სხივი და ჭემმარიტების მაუწყებელი სულია პოეტისთვის უდიდესი სიმდიდრე: “გულს ჩასახული მყვა ანგელოსი და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი! ფრთა დამაფარე შენი მაღალი, კვლავ სასოებავ!”

“ცის ლურჯი სულის”, “ლურჯი ნათელის” მოახლოება, ლურჯი სივრცეების, ვარდისფერი თოვლის ხიბლი ცისკენ ეწევა, ამაღლებს და ასპეტაკებს პოეტის არსებას (“მიახლოვდება ცის ლურჯი სული”).

ასულდგმულებს სულის მარადიულობის, სულთ დასამკვიდრები სადგურის, სულთა მარადიული და დიდებული კავშირის არსებობის რწმენა. ამ რწმენის პირობაა “წრფელი”, “მზით დახუნძლული”, მარადიულად ფხიზელი სული, იერიქონის საყვირის მოსმენისა და გაგების უნარი: “...იფხიზლე, სულო, გულო, იფხიზლე, იერიქონის გამცნებს საყვირი!” (“ჯვარს აცვით ეგე!”).

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
2. აკაკი მინდიაშვილი, “ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ”, “ცისკარი”, 1999, N3.
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1982.
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
5. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.

და მე ვმალდები ზეცის კარამდე

ანა კალანდაძეს პოეზია განსაკუთრებული ესთეტიკური ფენომენია, რომელსაც გამოარჩევს ამაღლებულის ძიება, ეს კი რჩეულთა ხვედრია.

ჯერ კიდევ ფსევდო-ლონგინე წუხდა, რომ უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა ამაღლებულით მომადლებულთა პოვნა: “რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიდბუნებოვანსა და სულიერ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცხებულ ნატურებს, ხოლო მაღლა მხედთა გარდა (?) მათთან ერთად, ამაღლებულის თითქმის უკვალოდ გაქრობა ჩვენი ბერწი ეპოქის წყევლად და საყოველთაო უბედურებად იქცა” (1, 200).

ამის მიზეზად ფსევდო-ლონგინე მიიჩნევს თავისუფალი სულის უქონლობას: “ვინც ერთხელაც არ დასწაფებია სულიერი სიმაღლისა და სიდიადის უწმინდესსა და უცხოველმყოფელეს წყაროს, შეიძლება იყოს არა დიდი შემოქმედი, არამედ მხოლოდ დიდი ქვემეორევი, დიდი პირმოთნე (1, 201).

მონას შეიძლება ჰქონდეს თავისი ინტერესები, მაგრამ იგი “ვერასოდეს ვერ გახდება ორატორი ანდა მწერალი. თავისუფალი სიტყვის შიში, როგორც დილეგის მარად ფხიზელი მცველი, თავის უმწეო ტყვეს ხელად შეიპყრობს, ხელ-ფეხს შეუკრავს და ფრთებს შეაჭრის მას, მონობის მძიმე კირთების ქვეშ გამუდმებულ გვემასა და გოდებას ნაჩვევს, ჰომეროსის თქმისა არ იყოს”.

მონებს, ჯუჯებს, პიგმეებს არ ძალუბთ სულის ზრდა: “...თვით ყველაზე მსუბუქი მონობაც კი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ იმ კუბოსავით ვიწრო კიდობნებს, რომლებშიც სიყრმითგან წვანან ისინი, რათა მეტად აღარ იზარდონ. მსუბუქი არტახები ბოჭავენ და ჭყლეტენ ამ ჯუჯების სხეულს, ამახინჯებენ და ასახიჩრებენ მათ... ზუსტად ასევე, ნებისმიერი მონობაც კი კაცისთვის ის კიდობანია, რომელშიც როგორც დილეგში, გამომწყვდეულია მისი სული, ხოლო დილეგში ყოფნა ამახინჯებს, ამდაბლებს და ასაპყრებს სულს” (1, 202).

ფსევდო-ლონგინეს მიხედვით, ამაღლებულის გრძნობა ბუნებითგან თანდაყოლილია და არა განსწავლით შეძენილი, ხოლო გარკვეული მეთოდი გვასწავლის ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამაღლებულის თავის დროსა და თავის ადგილას ხმარებას, რათა შემოქმედებით პროცესში თავიდან იქნეს აცდენილი შეცდომები” (1, 99).

ამაღლებულის ხუთი ნიშნიდან უპირველესად მიიჩნევა “სულის სიმაღლე და სითამამე”, მეორე ნიშანია “მძაფრი და ზეადმტაცი ვნება”. ორივე ეს ნიშანი თვითმზადია.

ამაღლებულის მესამე ნიშნად დასახელებულია “აზრობრივი და სიტყვიერი ფიგურების მწყობრი ერთობლიობა”, მეოთხედ – სიტყვაკაზმულობა (სიტყვების მკაცრი შერჩევა, ტროპებითა და ხატოვანი გამოთქმებით მდიდარი მეტყველება), ხოლო მეხუთე ყოველი მათგანის “ორგანული მთლიანობა და ამაღლებულის ხარისხში აყვანილი ერთიანობაა” (1, 111).

“ამაღლებული სულიერი სიმაღლის გამოძახილია”..

“ჭეშმარიტი შემოქმედის სულში უკეთური და უღირსი აზრი არ აღიმგრის, ხოლო დიადს ვერაფერს შექმნის ის, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მდაბალი აზრებით სულდგმულობს, ვინც ბილწ სურვილებს და უღირს ზრახვებს არის დამონებული.

“ამაღლებული – მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემქმნელი თავადაც მაღალია და მაღლად მხედი” (1, 112, 115).

ტრაქტატის ავტორის ყურადღება მიუქცევია პლატონის “სახელმწიფოს” ერთ ადგილს: “...სიბრძნესთან და სიქველესთან წილუყრელნი, რომელნიც დროსტარებასა და განცხრომაში ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, ბრმად მოარულებივით დაეხეტებიან ამქვეყნად, ქვედადრეკილნი და ქვენა გრძნობებს დამონებულნი. მათ არასოდეს აღუპყრიათ თვალნი ჭეშმარიტების მიმართ, არასოდეს ამაღლებულან მის შემეცნებამდე, არასოდეს დამტკბარან წმინდა და შეუმღვრეველი სიხარულით. პირუტყვებივით თავდახრილნი და მიწყვი მიწის მიმართ მზირალნი, ისინი ხარბად ეწაფებიან ხორციელ ვნებებს, ძოვენ, ძღებიან და თანაყოფის სიბილწით ტკბებიან,

გაუმადღრობით აღძრულნი. ტლინკებს ყრიან, რკინის რქებით რქენენ და ფლოქვებით თქერენ ერთიმეორეს” (“სახელმწიფო”, IX, 586^a).

საუბრობს რა ამაღლებულის წყურვილზე, ფსევდო-ლონგინე ამ გრძნობას დედაბუნებისგან ჩანერგილად მიიჩნევს ადამიანში. “უსაზღვროების ბუნებრივი წყურვილია მიზეზი იმისა, რომ ჩვენ პატარა ნაკადულებით კი არ ვიხიბლებით, არამედ ნილოსით, ისტორიით, რენოსით და ყველაზე მეტად კი დიდი ოკეანით ” (1,18).

აღტაცებას იწვევს არა ადამიანთა მიერ მიწაზე დაგზნებული ცეცხლი, არამედ “ციურ მნათობთა მარად უქრობი შუქი, მარად უქრობი სხივცისკროვნება”.

ტრაქტატის ავტორის დასკვნით, ამაღლებულის მაძიებელნი გულგრილნი არიან ყოველივე ჩვეულებრივის, ყოველდღიურის, თვით მათთვის აუცილებელის მიმართ, მაგრამ, ისინი ყოველთვის განცვიფრებულნი რჩებიან “უჩვეულოთი და მოულოდნელით”.

ამ ორი საწყისის დაპირისპირებისას ფსევდო-ლონგინე ყოველთვის ამაღლებულის აპოლოგიას იძლევა: “მხოლოდ ამაღლებული ამაღლებს ჩვენს სულს და ღვთაებრივი გონების ჭვრეტად მიაქცევს მას, ყოველივე დანარჩენი კი კაცთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება (1, 182).

ჩვენ ვცადეთ ამ ტრაქტატის დებულებების შუქზე მივეახლოთ ანა კალანდაძის ესთეტიკურ იდეალს, რომელიც არის ძიება და პოვნა უმაღლესის, უწმინდესის, მიუწვდომლის, მშვენიერების.

ანა კალანდაძე გამუდმებით მშობლიური ცის, ღრუბლების, მწვერვალების, სიმაღლეების მჭვრეტელ პოეტად გვევლინება, ამასთან, ამ სახე-ცნებებს მის შემოქმედებაში დაფარული ქვეტექსტები აქვს და ასეთი ენიგმებით იგი ღვთაების ძიების, ღვთაებრივთან ზიარების უიშვიათეს განცდებს გადმოსცემს.

პოეტის ლირიკული პერსონაჟები გამუდმებით სიმაღლისკენ ისწრაფვიან და მათი აღსარებების აღვლენა ხდება ტაძრებში, მონოლოგები ყოველთვის მიმართულია ზეცისკენ, უზენაესისკენ.

ანას ლექსებში ყურადღებას იქცევს იდუმალეზა, ცისკრის ვარსკვლავი, ზეციერი მეუფე, ზეციერი გვირგვინი, მაღალი ცა.

სიწმინდის ძიებად დაქრიან სერაფიმები, ქერუბიმები, ანგელოზები. ყურადღებას იქცევს ცის, მიწის სულები, უხორცო არსებები.

“მიღმა ქვეყნიერი სინათლე”, ზეცის ფარული სხივი, “ცათა მყოფი ქერუბიონის შორეული, მომწვანო ელვა” ადგას ანა კალანდაძის ლირიკურ გმირს, რომელსაც ვერც კი წარმოუდგენია გაძლება “უამვარსკვლავოდ, უამსხვიოდ”...

“უცხო შარავანდედის მეფური ბრწყინვა” ყინულსაც ადნობს და პოეტი შეჰღაღადებს მას: “ნუ მომეშალოს მე შენი თავი და მზისა ხილვა” (“უცხოდ დგას შენი შარავანდედის მეფური ბრწყინვა”).

“ცისკრის ვარსკვლავის” მოახლების, “სხვა იდუმალეზით აღვსების” ჟამს პოეტი შიშისგან კრთის და ეს არის უზენაესის შიში, როგორც სათავე ზნეობრივი განწმენდა-ამაღლების: “ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო, ნუ მიახლოვდები: ხომ ხედავ, შიშისგან მიწაზე გართხმულან კვლავ ჩემი ტოტები... ო, ნულა შემიქცევ კვლავ ბედნიერების ყოველი წამით ... _ რას ამბობ, ეს არის... სხვა იდუმალეზით აღვსებისაჟამი! _ ნუ მიახლოვდები შენ, იდუმალეზავ, ნუ მიახლოვდები!” (“ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო”).

ჯრუჭულას ღვთაებრივ მთაზე ჯრუჭის ოთხთავი გადაუშლიათ ტაძრის მსახურთ, წმინდა სავანეში ანგელოზები ისადგურებენ მათ გვერდით და აქვე ანათებს “სხივშარავანდი მათი უსწორო, ნათელი სული წინაპართ ჩვენთა”.

და პოეტს ეიმედება მაღალი სულიერება, “ყოველთა დიდი სიყვარული”, ზეციური ვარსკვლავი, როგორც წმინდა მამებისადმი გამოცხადების მაცნე: “ყოველთა დიდი არს სიყვარული და... არაფერი არ არის მეტი! ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ, თუ... წმინდა მამებს უნთია ზეთი?” (“ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ”).

ღამეებში ლურჯ სერაფიმის ფრთათა შრიალი დევნის სიბნელეს, რათა “მზის საყუდარის”, “პირველი სხივის” მშვენიერებას აზიაროს სამუდამოდ უზენაესისკენ მიმსწრაფი წმინდა სული: “აკრთობს ღამეებს ფრთათა შრიალი ლურჯ სერაფიმის: _ განვედი ჩემგან, მხოლოდ მზისაა ეს საყუდარი... და რომ ამ ტაძარს არ მიეკაროს ღამის

სუდარა, ფრთათა შრიალი ექვს ძლიერ ფრთათა დგას სამუდამო, ვიდრე აღსავლით არ მოფრინდება პირველი სხივი... აკრობს ღამეებს ფრთათა შრიალი ლურჯ სერაფიმის...”

ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილის ინტონაციების ასოციაცია ჩნდება: “განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო სულო ბოროტო! (“სულო ბოროტო”) (2, 128).

ტერენტი გრანელის ანგელოზიც გვახსენდება: “დგას ანგელოზი ახლოს ჩემს სულთან” (3, 11).

მფარველი სულები, ანგელოზები და სერაფიმები მიაცილებდნენ გალაკტიონს: “მე მომყვებოდნენ და სტიროდნენ სერაფიმები” (“მგლოვიარე სერაფიმები”) (4, 74).

გალაკტიონ ტაბიძეს ქერუბიმები, სერაფიმები, განიმედები და ანგელოზები “წარმართ გზას” უჩვენებდნენ.

ეს ერთგვარი სახეები სულის თვალის განსაკუთრებული ძალით იქმნება, უხორცოთა ხილვის უნართ მომადლებული რჩეული პოეტები ერთნაირად ხედავდნენ სულიერ არსებებს და მათი ფრთების შრიალიც ჩაესმოდათ...

ანა კალანდაძის “მაღალი”, “წრფელი”, “სუფთა” სული ცისკენ არის მიპყრობილი, განრიდებულია ცხოვრების ჭუჭყს, მიწიერ სიმდაბლეს, რაც შორეულის, სხვისთვის უხილავის ჭვრეტის უნარს მიჰმადლებს:

“გვეამაყება, რომ ჩვენს მაღალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევს... ციმციმებს ტალღა უცხო ფერებით, ლიქნას... არ იცნობს ჩვენი კუნძული! სული... წრფელი გვაქვს, მზით დახუნძლული, ცას სუფთა თვალით უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭვრეტდეთ ქართ მიმოხერვას”... (“გვეამაყება”).

პოეტი უსმენს უზენაესის “ცათამფრენ ხმას”, მსხვერპლს სწირავს მას, იდუმალეებით მოხიბლული ლოცულობს ამაღლებაზე და მარგალიტივით ინახავს გულში საღვთო სიყვარულს (“მე მისდევ შენს ხმას”).

წმიდათაწმიდა ლოცვა მიემართება ზეცის საუფლოს, იდუმალის გამოცხადებას, მაღალ ღრუბლებს, მაღალ ქარებს და გამუდმებით ჩაესმის უზენაესის ამაღლებისკენ მომწოდებელი ხმა: “მე მიხმობს იგი თავის წმინდა ჭერქვეშ, მაღალ ღრუბლებთან, მაღალ ქარებთან, რომ კვლავ აღსავლის დავდგე კარებთან და იდუმალის ველოდო

მოსვლას. მეძახის იგი: მასთან თანშერწყმა წმიდათაწმიდა არს ჩემი ლოცვა” (“მე მიხმობს იგი”).

მიუსაფრობის, მარტოობის სავანეში ნუგეშისმცემელია “იდუმალი ნათელი”, “უზენაესი ზენათა შორის” (“მიუსაფრობის, მარტოობის დარეკვს ზარი”).

მთელი არსება მოუცავს წარუვალს, მარადიულს, ღვთის მაღალ პალატა გახსნის მოლოდინს: “მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და მარად ქარული... მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი, შენთა პალატა, ო, სიხარულო! (“მომიცავს იგი”).

ნეტარების მომნიჭებელია მაღალ ღამეში: “სასოების შუქის”, “მაღალი მზის” (ღმერთის) გამოცხადება, “უმაღლეს საიდუმლოსთან”, “ზენართა ნებასთან” ზიარება: “ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი: გამოჩანს შუქი სასოების, გამოჩანს მკრთალად და მე უმაღლეს საიდუმლოს მივერთვი კვალად, წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა ნება და მაღალი მზის ამოხდომა კვლავ მეუწყება... ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი” (ამ მაღალ ღამით”).

“სიხარულის” (ღმერთის) შემწეობით მალდება პოეტის საუფლო (“მიქრიან წელნი”), რადგან “ქრისტე არის სიხარული ყოვლისა ერისა” (ლუკა, 2, 10).

“უმწვანეს კარავში” ეგულება ნაზი იმედები, უმხურვალესი მზე და “უმაღლესი მარადისობა”: “ნაზთა იმედთა უმწვანეს კარავს, უმხურვალესი მზით რომ იცნობა, წმიდათაწმიდა აქვს სახელი და უმაღლესი მარადისობა” (“აბასთუმნის გზას”).

კარავი მარიამის სიმბოლური სახელია (5, 124)

იმედი საღვთო სახელია: “შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო, ...ჩემი სასო” (ფს. 71, 5) (6, 595).

ღმერთი არის “მარადისობის მამა” (ესაია, 9, 5) (7, 80).

მაღალ საყდარში დამკვიდრებულს, ნათლის სვეტისკენ, უზენაესთა საუფლოში მოუწოდებს იდუმალი ხმა: “მრქვა, ჰა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი, აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ! მივუგე, ვინც შენ გიხილოს, ნეტარ!

პოეტის იდეალია არა მიწიური გვირგვინი, არამედ ცისა, არა მიწიერთა პაემანი, არამედ “მაღალი, საუფლო შეყრა”, სამარადისო კავშირი ეოცნებება უზენაეს ძალებთან დაკავშირებულს: “უცხოოდ მოჩითულ ბაღჩა-ბაღებზე კვლავაც და კვლავაც შენი

თოვება! შეყრა-მაღალი, მხოლოდ საუფლო და... არასოდეს გამოთხოვება! (“უცხოდ მოჩითულ ბაღა-ბაღებზე”).

“ამაყ, მაღალ ქარიშხლებს”, ლაჟვარდთა მზეს, უსაზღვროების თაღებს გასცქერის ანა კალანდაძის გამორჩეული სული: “ჰა, ლაჟვარდი მცხუნვარე მზეთა... კვლავ შენს თაღებში ავარდნა მინდა, უსაზღვროებავ”.

უსაზღვროება, უბოლოო ლურჯი ცა ხიბლავს მარადისობასთან წილნაყარ სულს: “გულს ეუფლება უსაზღვროება, როგორც ამ ლურჯ ცას არა აქვს ბოლო” (“ჩამოვფრინდები, იასამანო”).

მთების წვერზე, სამარადისო მზის საუფლოში დამკვიდრება სწადია მიწიერთაგან განშორებულ არსებას (“ქარო, მიუვალ კლდეზე დადგი ჩემი მიწური”).

“უფალი... ამდღებელი ძველთუძველეს ცათა ცაში” (ფს, 68, 34) (6, 592).

შორეული ცა (გონიერი ცა, ანუ “ცანი ცათანი”) იზიდავს უმწიკვლო ყოფას მოწყურებულს, შეუცნობლის (ღმერთის) ხმა ესმის და უზენაეს მიზანს სწვდება: “შენს მშფოთვარ სულში ცის შორეულის დარდი ისახვის და... რეკავს, რეკავს შეუცნობელი, – გიხმობს მისაკენ! სულში უჩინრად ჩაფენილია მათათა სიმწვანე, შეგაწრიალებს შეუცნობელი! ეს ხმა... იცანი” (“შენს მშფოთვარ სულში”).

უკეთურების მძლეველი ძალა, დიდი მნათობის მოახლებისა და გასხივოსნების მიმნიჭებელი “ცხოველი მზე” (ღმერთი), მორწმუნის გულში დამკვიდრებულა: “გულს დამფენია მზეი ცხოველი უკეთურებით კვალად ხსნისათვის, სინათლის ჩუმის გაძლიერებად, მიწყვი, უკუნით უკუნისამდე! დიდის მნათობის კვლავ მოახლებად, კვლავ დაუცხრომელ სწრაფვად მისადმი... სინათლის მისის გაძლიერებად მიწყვი, უკუნით უკუნისამდე!” (“გულს დამფენია მზეი ცხოველი”).

ქებათა ქება ეძღვნება “სინათლის მეფეს”, ღვთის სამყოფელს, გაბრწყინებულ ცას (“შენ, სინათლის მეფე”).

მაღალ საყდარში დამკვიდრებული “ნათლის სვეტს” ჭვრეტს, “ზეთ თანაზიარი” გამოუთქმელი ნეტარებით ივსება: “დამვიწყდა ენა სიხარულისა და სახე მისი და თვალთა ბრწყინვა, ხმა, მოსასხამი ცეცხლისმიერი... ნეტარ, ვის მოხვდეს კვლავ მისი ხილვა! მრქვა, ჰა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი...,”

აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ! მივუგე, ვინც შენ გიხილოს, ნეტარ! დამვიწყდა ხატი სიხარულისა!” (“დამვიწყდა ენა სიხარულისა!”).

ბიბლიაში ნათლის, ღრუბლისა და ცეცხლის სვეტის სახით ეცხადება მოსეს უზენაესი.

ნათლის სვეტად მოიხსენება წმინდა ნინო უცნობი ჰიმნიგრაფის მიერ: “შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი” (8, 484).

ვფიქრობთ, ანა კალანდაძის ლექსის “სიხარული” ქრისტეა, “ნათლის სვეტი” – მამადმერთი.

ვიქტორ ნოზაძის აზრით, ძველი ქართული მწერლობის ნათლის სვეტს კავშირი აქვს ასირიულ-ეგვიპტურ და ბერძნულ სვეტთან, რომელიც მნათობისადმი იყო მიძღვნილი (9, 37).

ღვთიური ცეცხლით შემოსილს, ციური მადლი ენიჭება, მაღალ ტახტზე მკვიდრდება უჩვეულო წყალობის ღირსი: “ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური, არცა წუხილის ცრემლები ვკადრე. მიიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი, გადამაფარა ციური მადლი... მომართვა თვისი მაღალი ტახტი, დამარქვა თული თვისი მეფური... განმამლიერა მე შიშსა ზედა. ო, მარსს არ ვკადრე, მე საყვედური, ძალუმი იყო წყალობა მისი” (“ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური”).

ცათუმალღესი ტაძრის მკვიდრს, უბიწო ხატის, უსხეულოს განსხეულების ხილვა დაჰხედებია: “აჰა, ტაძარი ცათუმალღესი სულთა თანხმობის და გრძნეულებათ... აჰა ვიხილე ხატი უბიწო, მის უსხეულოს, განსხეულება... აჰა, ტაძარი ცათუმალღესი” (“აჰა, ტაძარი ცათუმალღესი”).

შუალამის მბრწყინავ კარიბჭეს, ცის უხილავი სხივების ხილვას, ელვარე ცის საიდუმლოს დასტრიალებს შეუცნობის შეცნობას დანატრებული სული (“ბრწყინავს კარიბჭე შუალამისა”).

“უბიწო წყაროს” (უზენაესს) საიდუმლოებებს ეწაფება, “მაყვალთა ჩეროს” (ღვთისმშობელს) ეფარება, ზენაარის მაცნეს უსმენს, “განცხადებულ საუნჯეს” (ქრისტეს) ეზიარება რელიგიური წყურვილით შემრული სული (“აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო”).

“დიადი ცეცხლი”, ცის იდუმალ დასთა კრთომა, სამეფო გვირგვინი, სამეფო კარების ნათელი ამარცხებს მწუხარებას (“აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან”).

პოეტისთვის ბრწყინავს მარადიული, მაგრამ გულის ბრმათათვის უჩინო ცისკარი. “ზემადლთა ძალას” მიმოფენს, გზის სიხარულად, სამუდამო სასოებად ვლინდება (“ჰა, სასო ჩემი მარადიული”).

ზენაარის სახლში დაბრუნებული ეძებს უზენაესს, ვინც გვირგვინი უბოძა, კრონოსის ახლოს დაამკვიდრა, თვის ბრწყინვალეობას და გულის ძახილს აზიარა (“დავბრუნდი სახლსა ზენაარისა”).

ზეცის კარამდე ამაღლებული, უზენაეს ნათელთან ზიარებული, ჭეშმარიტი არსებობის აზრს წვდება და წმინდა სხივების ხილვას შესთხოვს ყოვლისშემძლეს: “გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე... ჰა, დგახარ ჩემს წინ გაბრწყინებული... ო, სხივი შენი მთოვე მარადის!” (“გარდამოვიდა ჩემზე ნათელი”).

პოეტის საუფლოს სიხარულით ამაღლებს “ვარსკვლავი – ვარსკვლავთა შორის მარადი მრწემი” (“მიჰქრიან წელნი, მიმაფრენენ ცივი გონებით”).

“სიხარულის ვარკვლავის ციალი მარადიულია და იგი ბნელზე ბნელ ღამეშიც “უფრორე ელავს და ბრწყინავს” (“ვარკვლავი იგი სიხარულისა”). ვარკვლავი საღმრთო სახელია (10, 122).

აღზევებული ცისკარია სულის საუნჯე (“ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი”), “დიდი მნათობის” სხივების სადგურია მისი გული (“აჰა, სადგური შენთა სხივთათვის”), აღმოუცნობი, იდუმალი ხმა აუწყებს უზენაეს სიხარულს (“თავს დამეღვარა მე სიხარული”).

მწვერვალებზე ევლინება პოეტს “დიდებული ყოველთა ძალი”, “ცის მაცოცხლებელი დიდი სული” (“აქა მეუფებს სული მისი”), მისი საუფლო კი გაცისკრებულია “მადლით და ნიჭით მაღალი ცისა” (“აქა მეუფებს სული მისი”).

ზეცად უხმობს სიხარულის ღამაზი ტოტი, ქერუბიმთა ფრთების შრიალში მრავალმნიშვნელოვანი ჩურჩული ესმის: “აყვავდა ჩემი სიხარულის ღამაზი ტოტი – ზეცად მხმობელი... მესმის ჩურჩული ქერუბიმთა ფრთების შრიალში...” (“აყვავდა ჩემი სიხარულის ღამაზი ტოტი”).

უმაღლეს ღირებულებებს ერთგულებს და მსახურებს ღვთისგან გაბრძნობილი: “მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა სამეუფოთა ცისათა სახლის, მომეცეს ძალი, ძალი მომეცეს, ვიყო მარადის მე მათდა მსახურ!” (“მაღალთ მარტოდენ შარავანდედთა”).

“ცის წმინდა, უსპეტაკეს სახლს, უწმინდეს კაცთა სავანეს” მიეახლება სასანთლით, წმინდა ზეთისთვის, “უდიდესი სიხარულისთვის”, უფლის სიტყვის მაცნეს მოელის გაუმჟღავნებელის გასამხელად (“მივეახლები კვლავ სახლსა წმინდას”).

სულს ახალისებს “მაღალი ბზისა წითელი ტოტი” (“მომაგონდება ყვირილის პირას”).

პოეტის “გულის სიმნი... მაღლისთვის კვნესენ”, მაგრამ უკეთურნი “უმწიფარ სიტყვას გამიზნულად” მაინც ესვრიან (“უმწიფარ სიტყვას”).

მაღალს, წმინდას, რასაც ერთგულად მსახურებს ლექსის ღირიკული გმირი, მაღალი სიტყვაც სჭირდება, მაგრამ ღვთიურ ტაძარში მნათედ მაღალი სულიერება კი არა, არარაობა გვევლინება, რაც სინანულს აღძრავს (“არარა გვესმის”).

საზენაო ფიქრი წყდება, მსხვერპლშეწირვა სრულყოფილად ვერ ხორციელდება ათეისტურ ეპოქაში, რადგან ავსული ცივი ხელით კანდელს აქრობს, წმინდა აზრებს აწყვეტინებს მორწმუნეს (“საკმარისია მსხვერპლშეწირვად მე განვემზადო”).

პოეტი მიჰყვება “დიდებულ, ბნელთა მთრგუნველ” ნათელს, რომელიც კელაპტარივით უძღვის წინ, მაგრამ მშვენიერი მისი ხატება წვიმას, ქარს, ღვარცოფს წაუშლია, ურწმუნო ეპოქას თავისი მსახვრალი ხელი დაუმჩნევია უმაღლესისთვის (“შენ მომყვებოდი, ო, დიდებულო”).

“ყოველ გზასა და გზაჯვარედინზე” იეზუიტი ჩასაფრებულა და სულს წამლავს მისი დემაგოგია.

“შენდა აღმოსვლა, შენდა აღმოსვლა, მეუფეო, სურს სულსა ჩემსა, ლამპარი შენი მარტოდენ მას სასოდ უვის!” (“უცოდველს ცოდვა არრაი მაქვს”), ასეა გამოხატული ღმერთთან მიმსგავსების იდეა.

აღმართებთან შერკინებულს, ზეციური, მარადიული ნათელი უსხივოსნებს სულს: “მოღლილს ლოდინით და აღმართებით ნათელი შენი გულზე მეცემა... სულში

მეღვრება შენი ნათელი და... უსასრულო ღვინის მივეცემი” (“მოღლილს ლოდინით და აღმართებით”).

“შორს... ცათა შინა” აკაციის ყვავილს ხედავს, ხოლო მისი “სულის წვეულია მზე და ნაძვი” – (“ჩუ... ვინ ჩურჩულებს”). მზე და ნაძვი საღვთო სახელია.

ზეცის კარი იღება, უცხო სუნთქვას შეიგრძნობს, აკაცია და ნარგიზების წვიმა ესაღბუნება (“გაიღება ზეცის კარი”).

“ზენას” მოელის ლაჟვარდებისკენ გზამკვლევადა, ვარსკვლავების სამეფოში, მზის ბაღებში, ვარდებისა და ნუშის თოვლში სიცოცხლე თავიდან იწყება (“მხმობს ვარსკვლავების თეთრი ღვთაება”).

ვარსკვლავებთან მხოლოდ მაღალი სულები აღწევენ და ედემის ნეტარებას განიცდიან: “ვარსკვლავთა თალი კდემით ციმციმებს, სულთა მაღალთა მიმოერთებით... გული თუ ხვალის მოიმედეა, აცისკროვნდება სულში ედემი” (“დე, წვიმდეს დღესა”).

პოეტის იდეალია “მაღალი სიბრძნე, მაღალი მადლი, მაღალი შარავანდედი, მაღალი აზრი, უმაღლესი ცა, ამაღლებული ჟამი, უმაღლესი ძალა, “ცათუმაღლესი ტაძარი”.

ამაღლება, გაბრწყინება, ანთება და დაშრეტა იდეალისთვის, აი, უმაღლესი მიზანი: “...მე ავმაღლდები შენს ლურჯ ცაზე, შენთვის ვიბრწყინებ, აღვინთები და დავშრეტები შენდა!” (“მე შენ დაგხურავ ლამაზ გვირგვინს”).

მიუხედავად იმისა, რომ ეშმანი კანდელის ჩაქრობას არ იშლიან, “იდუმალის დიდებულ სხივს” ელტვის მაინც ანა კალანდაძის სულიერებით გამორჩეული პერსონაჟი (“გულში ეშმანი მიქრობენ კანდელს”)

სიყალბეს ჭეშმარიტება, “უუნატიფეს მეშჩანთ” დაუმარცხებელი ნათელი უპირისპირდება: “...სადაც სიყალბე ჭეშმარიტს წონის, უუნატიფეს მეშჩანთა შორის, ნათელი ჩემი... არს მოციმციმე!” (“N-ს”).

ბიბლიურ ხილვაზე დაყრდნობით, უფლის ხატი სანთელთა ბრწყინვას... ესადაგება, ტანი – ცად ატყორცნილ სვეტთა სიმაღლეს, სერამიფთა და ქერუბიმთა ფრთანაკრავს: “სანთელთა ბრწყინვას... ხატი მისი მივუსადაგე და ტანი მისი –

ცადატყორცნილ სვეტთა სიმაღლეს, სერაფიმთა და ქერუბიმთა ფრთა რომ შეახეს... ღვინო ახალი თხიერსა ძველს მივუსადაგე”... (“სანთელთა ბრწყინვას”).

პოეტს ენატრება არა მიწიერი გზები, არამედ “გზა საუფლოსკენ ვარსკვლავებისა”, სადაც გზამკვლევი მხოლოდ უფალია: “აჰა, დასრულდა შენი ციმციმი და მწუხარების ბურუსსა შევალ: გზა საუფლოსკენ ვარსკვლავებისა მეუფებამან მაუწყა შენმა!” (“აჰა, დასრულდა შენი ციმციმი”).

“ნათელთნათელის” განრიდებას “ზნელთაზნელის” მეუფება და მწუხარე გზები მოსდევს (“მე განვირიდე ნათელთნათელი”).

ღვთის მაღალი კარიბჭე მხოლოდ მორწმუნეთ ეხსნებათ (“აჰა, დამეხშო მე კარიბჭე შენი მაღალი”).

ღვთის უმაღლეს ხატებას ევედრება, სიხარულის მაღალ პალატთა გახსნისთვის ლოცულობს პოეტი: “მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ წარუვალი და... მარად ქარული... მაღალ-მაღალნი განახვენ ბჭენი, შენთა პალატთა, ო, სიხარულო!” (“მომიცავს იგი, შემიპყრობს ისევ”).

ანტონ კათალიკოსის “წყობილსიტყვაობის” მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის “სოლომონის მშვენიერი პალატა” (11, 152).

ფსევდო-ლონგინეს თქმისა არ იყოს, ანა კალანდაძის პოეზიის ლირიკურ პერსონაჟს იზიდავს არა მიწიერი გზები, არამედ “გრძნეულების გაუგებარი გზა”, “გზა საუფლოსკენ ვარსკვლავებისა”, არა მიწიერთა მიერ დანთებული ცეცხლი, არამედ “წმიდათაწმიდა ცეცხლი”, “სასწაული სასწაულთ შორის”... ცეცხლი საღვთო სახელია (9, 124).

სასწაული უფალი ღმერთია (ფს., 105, 2, 105, 5). (6, 635).

პოეტის “მეუფე” და რჩეულთა რჩეულია “წმინდა ნათელი”, “სიხარულის გვირგვინის”, “უცხო საუნჯის” მომმადლებელი (“ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო”).

“სიხარულის მაღალი ტახტი” იდგა იდუმალ საყდარში, სადაც სინათლეს ჰვენდა მზე, მის დამდაბლებას, მზისგან განშორებას სიხარულის დაკარგვა, მწუხარების გაბატონება მოჰყვა, ასეთია რწმენას განშორებულის ხვედრი: “მე სიხარულის მაღალ ტახტიდან გადმოვხედავდი თქვენს მწუხარ სენაკს... ახლდა მთოვარე იდუმალი

საყდარს, მზე მოჰყვებოდა სინათლის მფენად. აწ, ჰა, დამდაბლდა ჩემი საყდარი, დაემხო იგი, განშორდა მზესა... გარდახდა მისგან აწ სიხარული და მწუხარება... უმაღლეს ჩემსა... აჰა, დამდაბლდა ჩემი საყდარი!” (“აჰა, დამდაბლდა ჩემი საყდარი”).

ჭეშმარიტი არსებობა სიმაღლისკენ სწრაფვა და ნათელში დამკვიდრებაა, ამადლება კი მხოლოდ ღვთის შეწევნით, რწმენით მიიღწევა: “გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმალდები ზეცის კარამდე...”

“ზენამდე ამადლება”, “ცათუმალღეს ტამარში” დამკვიდრება იყო ანა კალანდაძის მიზანი და სულიწმიდის მაღლით სავსე, რწმენით და პოეზიით აღწევდა, რომ მისი ზედაშე მუდამ წმინდა და სპეტაკი ყოფილიყო: “მხოლოდ ზეგარდმო ლოცვა-კურთხევით, მხოლოდ ზეგარდმო ძალთა ნებითა მიწირავს საღვთო წმინდა მსხვერპლითა...” (“N-ს”).

ანა კალანდაძეს აცისკროვნებს უფლის ამადლების სიხარული (“და ცისკარი, ო, ცისკარი ფრთებს რომ შლიდა”) და მთელ ძალისხმევას იქითკენ მიმართავს, რომ გახდეს “ზეთ თანაზიარი”...

პოეტის განსაკუთრებულობის დასტურია სულიერებასთან, სიწმინდესთან მოაზრებული ეპითეტი “მაღალი”, “უმაღლესი”: მაღალი მზე, მაღალი ღამე, მაღალი ფრთა, მაღალი პალატი, მაღალი ბჭე, მაღალი საყდარი, მაღალი შარავანდედი, მაღალსაუფლო ტახტი, ჭეშმარიტების მაღალი სამსხვერპლო, უმაღლესი საიდუმლო,... მაღალი ღრუბლები, მაღალი ქარები, მაღალი გონება, მაღალი ტახტი, მაღალი ბზა, მაღალი სული, მაღალი ფრთა, მაღალი სიბრძნე, მაღალი კარიბჭე, მაღალი შეყრა, უმაღლესი მარადისობა, უმაღლესი ბედნიერება, ცათუმალღესი ტამარი, უმაღლესი ხატება, უმაღლესი სათნოება, უმაღლესის ძალი, უმაღლესი წამი, ამადლებული ჟამი, ამადლებული ქვეყანა... მაღალი უზენაესის ეპითეტია: “მაღალი უფალი”... (ფს. 139, 1) (6, 672).

პოეტის “რჩეული” მიწიერი კავალერი კი არ არის, არამედ ზეციური მეუფეა, მისი პაემანიც ცაშია, რადგან, “გულის სიმნი მაღლისთვის კვნესენ” (“უმწიფარ სიტყვას”).

პაემანი, “შეყრა” მაღალია, რადგან “ცათავე ნებით” ხდება “ზეთ თანაზიარობა”, “უსასრულო ლხინის” განცდა. ანა კალანდაძის პოეზიაში “ლხინი” უმეტესად

რელიგიურ სავსებას უკავშირდება. და ამ მრავალ ჭრილში მოაზრებულ “მაღალს” და “ამაღლებას” აგვირგვინებს ქრისტეს აღდგომა და ცაში ამაღლება (“ო, ცისკარი, ო, ცისკარი ფრთებს რომ შლიდა”).

ანა კალანდაძის განსაკუთრებულობაზე ფიქრისას, ჩვენის აზრით, მართებულია ბიბლიური წინასწარმეტყველის უებრო სტრიქონების გახსენება: L“როგორც ცა არის მაღალი მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები თქვენს ზრახვებზე” (ესაია, 55, 9).

ლიტერატურა

1. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის”, თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები ბაჩანა ბრეგვაძის, “ხელოვნება”, თბ., 1975.
2. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1968.
3. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1991.
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982.
5. ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1996.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
8. ქართული მწერლობა, 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.
9. ვიქტორ ნოზაძე, “ვეფხისტყაოსნის” ვარსკვლავთმეტყველება”, სანტიაგო დე ჩილე, 1956.
10. ტიტე მოსია, “საღვთო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1995.
11. ანტონ ბაგრატიონი, “წყობილსიტყვაობა”, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1980.

ჰა, იგი მაცნე ზენაარისა

ჭეშმარიტი პოეტები შთაგონებას განიცდიან, როგორც ცასთან “კომუნიკაციას”.

ვაჟა-ფშაველა გვიმხელდა: “ციდან ხმა მესმის ანგელოზების, ცამ თვისი აზრი გამიზიარა: “ბოლო კარგია” და ჟრუანტელმა თავით ბოლომდე ჩამომიარა” (1, 150).

აკაკი წერეთელი აცხადებდა: “გული სარკედ მაქვს ქცეული, ენა საყვირად ზეცისა, შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა” (“მესტვირული”) (2, 137).

პოეტის ზეციური დანიშნულების, მისი საღვთო მისიის იდეას ავითარებდა ილია ჭავჭავაძე: “...არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა. მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა” (“პოეტი”) (3, 200).

“ზეცაზე სწერია ჩემი გზა” – ამტკიცებდა გალაკტიონი “ეფემერაში” (4, 139), მას “ციდან მახილი ესმოდა წყნარი” (4, 489).

დანტეს ესმოდა “ნათლის ხმა”, “სინათლისგან ხმაი მეტყველი” (5, 429).

ვლ. სოლოვიოვს ესმოდა “წმინდა ხმა”, “უხილავის უხმო მახილი” (6, 102).

ათანას ფეტმა გაიგონა “ხმები ღვთიური, ხმა ზეციური” (6, 27, 49).

ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (6, 169).

ე. რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაიწერა მისი სიტყვები.

ანა კალანდაძის მიხედვით, ჭეშმარიტი პოეტის უზენაესი მისიაა, ზეცისგან ნამცნობის, მინიშნებულის, ნაუწყების გაცხადება განუმეორებელი მხატვრული სიტყვით.

ამ უძნელესი მიზნის აღსრულებას განსაკუთრებული ნიჭით მომადლებული რჩეული სჭირდება, რომელსაც სულის და გულის გამუდმებული სიფხიზლე, დაფარული სიგნალების მოსმენა-შეცნობის, უჩვეულო ხილვების გახსნის უნარი მისცემს საშუალებას, გაარჩიოს მღვრიე და წმინდა, საზოგადო და სათავისო: “_ ჯვარს აცვით

ეგე! და... მღვრიე წყალში... ყველა თავისას ეძებს საკბილოს... იფხიზლე, სულო, გულო, იფხიზლე _ იერიქონის გამცნებს საყვირი..." (" _ ჯვარს აცვით ეგე!").

პოეტი უსმენს და მისდევს უფლის იდუმალის მიმოხრობ, "ცათ აფრენად" მხმოზ ხმას, მზადაა ამ უმაღლესი ბედნიერებისთვის საჭირო მსხვერპლიც გაიღოს" ("მე მისდევ შენს ხმას").

მიწიური გნიასის, პრიმიტივთა მიეთ-მოეთის უარყოფელი, "ნათლის სახლში" მკვიდრდება დანტესივით და ღვთის სიტყვის მაცნეს ელოდება: "მე უდიდესი სიხარულისთვის შენის სიტყვისას მოველი მაცნეს" ("მოგეახლები კვლავ სახლსა წმინდას").

უბიწო წყაროს, "კარდია მტილისა" და "მაყვალთა ჩეროს" გულწრფელ მოთაყვანეს "ზენაარის მაცნე" ევლინება: "აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო, მტილი კარდია, მაყვალთა ჩერო... ჰა, იგი მაცნე ზენაარისა, განცხადებული საუნჯე ჩემი!" ("აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო").

წყარო ძე ღმერთის სიმბოლოა (7, 122).

მტილი, მაყვალთა ჩერო _ მარიამისა (8, 124).

ნათელმსმენის და ნათელმხილველის მუდმივი "კეთილმხლებელია" "ზე-მადლთა ძალის" მომნიჭებელი მარადიულის მაცნე, "ცისკარი", რომელიც "გულით ბრმათვის" "უჩინოა"; "ჰა, სასო ჩემი მარადიული, კეთილმხლებელი ძილთა, ღვიძილთა, აჰა, ცისკარი ჩემი (უჩინო გულით ბრმათათვის) აღმომიბრწყინდა და მამცნო კვალად მე მეუფება, ძალი ზემადლთა მიმოფენისა... მეც განკურნება დარდთა ჩემთაგან და სიხარული გზისა ჩემისა!" ("ჰა, სასო ჩემი მარადიული").

"ზენაარის სახლში" დაბრუნებულს უზენაესის ბრწყინვალეობა ახვევია და მისი "გულის ძახილი" ესმის: "დავბრუნდი სახლსა ზენაარისა და გაკვირვებით წარვთქვი დიდითა _ სად არის იგი, სად არის იგი, ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა, მომცა ყვავილი ჩემი თმებისთვის და დამამკვიდრა კრონოსის ახლოს? ვინ ბრწყინვალეობა თავისი მამცნო და მაზიარა თვის გულის ძახილს?" ("დავბრუნდი სახლსა ზენაარისა").

წმინდა ჭერქვეშ, მაღალ ღრუბლებთან, მაღალ ქარებთან დამკვიდრებული, აღსავლის კარებთან მდგარი ელის “იდუმალის მოსვლას, ლოცულობს მასთან “თანშერწყმისათვის” და ესმის მისი ხმა: “...მეძახის იგი: მასთან თანშერწყმა წმიდა-თაწმიდა არს ჩემი ლოცვა!” (“მე მიხმობს იგი თვის წმინდა ჭერქვეშ”).

უფერული დღეების ტანჯვას ენაცვლება ცის იმედი და სასოების იდუმალი ხმა: “მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული და უფერული დღე ესე ყოველ, ვიდრე არ მოსცა ცამან იმედი და მრქვა სასომან: – აჰა, მე მოველ!” (“მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული”).

ცა მარიამზე მიგვანიშნებს (7, 124), იმედი – ქრისტეზე (ფს., 68, 18) (9, 619).

უზენაეს მშვენიერებას ეზიარება იდუმალის ხილვით, მისგან ზეციური საიდუმლოებების გაცხადებით, სულიერი გასხივოსნებით: “თავს დამელვარა მე სიხარული და დამანახა მთიების ბრწყინვა... ცისა და მიწის მშვენიერებას აღმოუცნობი უძლოდა წინა... ერქვა გვირგვინი მას სხივოსანი – ხელშეუხები, წმიდათაწმიდა... იდუმალი ხმით მაუწყა ისევ: – კვლავ გავხსნი ციერს, თუ შენ ეს გინდა!” (“თავს დამელვარა მე სიხარული”).

ქრისტე არის “სიხარული ყოვლისა ერისა” (ლუკა, 2, 10) (9, 119).

პოეტი კავშირს ამყარებს “მაღალ ღამესთან”, “სიხარულთან, სასოების შუქთან, უმაღლეს საიდუმლოსთან”, მისთვის მთავარია ზენართა ნების უწყება: “ამ მაღალ ღამით... სიხარული ზეიმობს ჩემი. გამოჩანს შუქი სასოების, გამოჩანს მკრთალად და მე უმაღლეს საიდუმლოს მივერთვი კვალად – წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა ნება და მაღალი მზის ამოხდომა კვლავ მეუწყება” (“ამ მაღალ ღამით”).

მზე საღვთო სახელია, “მზე და ფარია უფალი ღმერთი” (ფს. 84, 112) (9, 614).

პოეტი სამადლობელს აღავლენს, სანთელს ანთებს, რომ გახდა ზეციური ხმის მოსმენის ღირსი: “ვიდრე დავშრტები ყელამდე სავსე (დავიშრიტები უალოდ მყისვე!) ხმასა ზეციურს მაღლობით ვისმენ, შენთვის ჩამოქნილს ვანთებ კელაპტარს!” (“ვიდრე დავშრტები”).

“ამაოების ფარად” ქცეულა “გრძნეული სხივები”, რომელსაც პოეტი იებს უფენს (“ვიპოვე ჩემი წმინდა სავსება”).

“დიდებული და ციაგი ვარსკვლავის სხივი” ამშვიდებს, რადგან “აუწყებს”, რომ “არსებობს სულთა კავშირი მარადიული და დიდებული”... (“ამ დიდებული და ციაგი ვარსკვლავის სხივი”).

უკეთურების დამარცხება, სინათლის გაძლიერება “ცხოველი მზის” (ღმერთის) პროგრესივია და ანას პოეზიის ლირიკული გმირი გამუდმებით მისი მოთაყვანეა: “გულს დამფენია მზეი ცხოველი, უკეთურებით კვალად ხსნისათვის, წყნისათლის ჩემი წყნადლიერებად, მიწყვი, უკუნით უკუნისამდე!” (“გულს დამფენია მზეი ცხოველი”).

“უხილავი” არის ყველაზე დიდი მშვენიერება, რომელიც წყვილადს ამარცხებს, ღირსეულს “საუნჯეს” მიაგებს, თავისი მარადიული ბრწყინვალეობით ასპეტაკებს ადამიანს, ხოლო პოეტი საპასუხოდ თავისი სულის საუნჯით (შედეგებით) პასუხობს მას: “აჰა, მომაგო ესე საუნჯე მე უხილავმან საუნჯეთ მატა... ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდებულ ხატად... წამოდგა ჩემს წინ წყვილადთა გვემად, უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან... ო, მან მომაგო ესე საუნჯე _ იგივ მიაგო მას... სულმან ჩემმან” (“აჰა, მომაგო ესე საუნჯე”).

“და რეკავს, რეკავს შეუცნობელი, მიხმობს მისაკენ!” (“N-ს”), წერს პოეტი.

უფლის ღვთაებრივ ცეცხლს ნაზიარები, რწმენის მაღალ ტახტზე დამკვიდრებული, ამარცხებს შიშს და ძლიერდება: “მოილო ცეცხლი მან ღვთაებრივი, გადამაფარა ციური მადლი... მომართვა თვისი მაღალი ტახტი, დამარქვა თული თვისი მეფური... განმადლიერა მე შიშსა ზედა” (“ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური”).

დაუვიწყარი სიხარულისა და აღმაფრენის მომნიჭებელ ხმას გამუდმებით იხსენებს პოეტი: “...მრქვა, ჰა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი... აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ! მივუგე, ვინც შენ გიხილოს, ნეტარ!” (“დამვიწყდა ენა სიხარულისა”).

“ზენაარი სახლში დაბრუნებული, კრონოსის ახლოს დამკვიდრებული ეზიარება გამოუთქმელ ბრწყინვალეებას, უზენაესის გულის ძახილს: “დავბრუნდი სახლსა ზენაარისა და გაკვირვებით წარვთქვი დიდითა _ სად არის იგი, სად არის იგი, ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა, მომცა ყვავილი ჩემი თმებისთვის და დამამკვიდრა კრონოსის ახლოს? ვინ ბრწყინვალეება თავისი მამცნო და მაზიარა თვის გულის ძახილს?” (“დავბრუნდი სახლსა ზენაარისა”).

გამოუთქმელი ბრწყინვალეება მოსავს, “ახალ საუნჯეს”, შრომანს (მარიამის სახელია), ცისკარს, სიხარულს (სადვთო სახელებია) ეზიარება: “ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შრომანი შენი უბრალო, ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი” (“ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი”).

ეს “კომუნიკაცია”, უზენაესის უწყება, ცის იმედი აბსოლუტურად ცვლის უფერულ დღეებს (“მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული”).

უფლის სასწაულმოქმედი სხივი აქარწყლებს მწუხარებას და სიხარულს აბატონებს: “...და ჩამჩურჩულებს სვე დაფარული: მოდის, ისწრაფვის სხივი მისი შენს სახილველად, მწუხარე წამი მოგექცევა სასიხარულოდ” (“ვეძებ სასანთლეს”).

სხივი ძე ღმერთის სახელია: “ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე” (ესაია 60, 3) (10, 171).

უზენაესთან თანაზიარობა ავსებს მის სიცოცხლეს, შემოქმედებას: “გამიხსნა გული უგრძნეულესმა, _ ჰა, სიხარულო, ციმციმი შენი!”

“სიხარულის ვარსკვლავი” მარადიულად ციმციმებს ბნელის დასათრგუნავად (“ვარსკვლავი იგი სიხარულისა”).

“სასოების შუქი” უმაღლეს საიდუმლოს ამცნობს, “ზენართა ნება”, “მაღალი მზის ამოხდომა” ეუწყება (“ამ მაღალ ღამით სიხარული ზეიმობს ჩემი”).

უწყებას, მინიშნებას თვით სიხარულის გამოცხადება მოსდევს: “უცხო ტაბლაზე, აჰა, პურნი შესაწირავნი და, აჰა, ზეთი... დგანან ირგვლივ ჩემი ლანდები... და... უცებ...”

ვარდის კრეტსაბმელის ჩუმი შრიალი და... ჩემს წინაშე... სიხარულის გამოცხადება” (“უცხო ტაბლაზე”).

უცხო ტაბლა მარიამის სიმბოლოა (8, 124), პური, მაცხოვარი, სიხარული ქრისტეზე მიგვანიშნებს (7, 122).

ეს განუმეორებელი წუთები მრავალგზის მეორდება და თავის ცხოველ კვალს ტოვებს სულში: “გამომეცხადა რჩეული ჩემი ციურის ძალით, ცათავე ნებით, გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით” (“გამომეცხადა რჩეული ჩემი”).

ანგელოზის ფრთების შრიალი ესმოდა ტ. გრანელს: “მე შენ გელოდი, ვგრძნობდი კაემანს, როს ანგელოსის ფრთები დაემვა”.

ანა კალანდაძის ლექსში უფლის ნებით მარცხდება ბნელი, ზეიმობს მარადიული მზე და სულში საუნჯე ბრწყინავს (“აჰა, მიმაგო ესე საუნჯე”).

ცის კარის გახსნისკჳამს თვით დიდებული სახე ცხადდება, “სიხარულის ფრთების შრიალი ისმის”: “უხილავისა გაიღო კარი _ მუნით დიდებულს ვხედავდი სახეს, ვგრძნობდი სულ ახლოს მე ფრთათა შრიალს, თვით... სიხარული იდგა ჩემს ახლოს!” (თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა”).

“ცის უხილავი სხივები” (ღმერთი) ავსებს არსებობას (“ბრწყინავს კარიბჭე შუადამისა”).

“ცათუმალლეს ტაძარში” ხედავს უსხეულოს განსხეულებას: “აჰა, ტაძარი ცათუმალლესი სულთა თანხმობის და გრძნეულებათ... აქა ვიხილე ხატი უბიწო, მის უსხეულოს _ განსხეულება... აჰა, ტაძარი ცათუმალლესი” (“აჰა, ტაძარი ცათუმალლესი”).

ამ გამოცხადებით იზრდება პოეტის სული, მწიფდება მარადიული სათქმელი და მდიდრდება ცნობიერება: “და რეკავს, რეკავს შეუცნობელი, ეს ხმა იცანი!” _ ამბობს პოეტი და ეშმაკის ხმას, მაცდურის გრძნეულებას ყოველთვის არჩევს უზენაესის სასწაულმოქმედი ძალისგან.

შემოქმედების ბუნებასთან გვაახლოებს განაცხადი: “დროზე წერტილის დასმას, სათქმელის დროზე დამთავრებასაც თითქოს “ვიღაცა” გკარნახობთ (ისევე, როგორც თემატიკას, როგორც... ყველაფერს!) (ანა კალანდაძე, ტ. 2, გვ. 24).

მდაბიურისა და ამაღლებულის თანაფარდობასაც “ჩინებულად აწესრიგებს ის, რაც შთაგონებით გვწყალობს... სათქმელი ხშირად... თვითონ “გიკარნახებთ” რა ფორმით “სურს” განსხეულება”, წერს პოეტი (11, 63).

“ვიცანი, ღმერთო, სამყარო” – აღმოხდა ვაჟას.

“ვიცან მოწისა მე გრძნეულება, “ბოროტების ყოველი ვცანი” – ასე ეხმიანება თავის დიდ წინაპარს პოეზიის დედოფალი.

ანას ლირიკაში აქცენტირებულია უზენაესთან ორმხრივი მიმართების გამომხატველი ლექსიკა: დამიფარე, მომმადლე, მამცნო, მრქვა, მაუწყა, მიხმობს, მეძახის, აღვედ, იყავი, მოგელი, მომიცავს, შემიპყრობს, განახვენ, მიახლოვდება, მოდიხარ, გავხსნი, გამოჩანს, უხილავთა მოახლოება, ძალი ზემადლთა მიმოფენისა, მოილო, განმადლიერა, მომართვა, ზეიმობს, მოველ, მხმობს, მეუფებს, შემმოსონ, მამშვიდებს, მაუწყებს, რეკავს, იკრებენ სხივებს, მოდის, ისწრაფვის, მიახლოვდება, ვმალდები, ვივსები, მეღვრება, გადგას, ციმციმებს, მომიცავს, შემიპყრობს, ვარ, ვივსები, ციმციმებს, მრქვა, დამანახა, მივერთვი (საიდუმლოს), შემომეხვევა, ვცანი, გამოჩანს (შუქი), მოილო, განმადლიერა, მომართვა, შეგიცნო, მოვიხილე, ფრთა დამაფარე, გარდამოვიდა, ზეიმობს, მომეგო, ვივსები (ცეცხლით), მოვიხილე, მეღვრება (ნათელი), მივეცემი (ლხინს), მომეგო (ძალი), მომაგო (საუნჯე).

ლიტერატურა

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა ხუთტომეული, ტ. I, თბ., 1961.
2. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, 15 ტომად, ტ. I, თბ., 1950.
3. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1982.
5. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თბ., 1941.
6. მარადი დღე, თბ., 1984.
7. ტიტე მოსია, “საღვთო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1995.
8. ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1996.
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
10. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
11. ანა კალანდაძე, ტ. 2, თბ., 1995.

მუსიკა ცისა და მიწის

ანა კალანდაძის პოეზიის მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ მისი ლექსების მუსიკალურობასა და ქართულ კლასიკურ საგალობლებთან ნათესაობაზე.

“პოეტის ლექსებს ლოცვისა და საეკლესიო საგალობლების ექსტაზი ახლავს თან”, წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი (1, 516).

შუქია აფრიდონიძის აზრით, “ანას მიზიდულობის მთავარი საიდუმლო ბუნებრიობასა და არაჩვეულებრივად მსუბუქ, მოცარტისებურად გამჭვირვალე მუსიკასთან ერთად, მშობლიურის განცდაა, რომელიც თავიდანვე შინაგანი წონასწარობის, ჰარმონიულობისა და სულიერი კომფორტის განწყობილებას ქმნის” (2, 143).

მართლაც, საოცარია ანას ფრაზა, მეტრი და რიტმი.

პოეტი წერს: “ალბათ, პლანეტის იდუმალი მოძრაობაც კი... მართლაც და ფარული მუსიკის ჰანგებზეა გაანგარიშებული”.

“ახლა საგალობლები? რამდენჯერ ვმდგარვარ საათობით ჩვენს ტაძრებში მათ მოსასმენად, იმათ მსმენელს ხომ ნამდვილად “მავიწყდების საწუთროება?!”

“მაგონდება ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ქართველოლოგის გულდაწყვეტით ნათქვამი: როგორი დასანანია, რომ ასეთი ჰიმნებისა და საგალობლების შემქმნელი ერი ასე ცოტანი ხართ, თითქმის ჩიკაგოს მოსახლეობის ნახევარიო”.

“მართლაც და, რა ეშველება დედამიწას, ქართულმა მუსიკამაც რომ მიატოვოს იგი?!” – კითხულობს პოეტი, რომელსაც ეამაყება ქართული მუსიკის საერთაშორისო რეზონანსი და, ამავე დროს, ეტკივილება ამ გენიალური ნიჭის მქონე ერის მცირერიცხოვნება.

პოეტს ერთდროულად ესმის ცის და მიწის ძლიერი მუსიკა: “რამდენი ხმებია, რამდენი მუსიკა, რა უცნაური, გავჩუმდეთ, გავჩუმდეთ და ფეხქვეშ შეწყდება ფოთლების ხმაური და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქვეყანას რომ თავზე ევლება” (“ზედაზნის ტყეებზე”).

პოლ ვალერი წერდა: “ჩემი შთაგონება არ არის სიტყვები. ის სიტყვებით კი არ ყალიბდება, არამედ მუსიკალური ფორმებით”.

“საგნები თავისთავად გველაპარაკებიან, ხანდახან მღერიან კიდეც” (3, 382).

ანა კალანდაძე მთელი სამყაროს მორევთა ბრუნვას ხედავს, მთელი პლანეტის ხმებს უსმენს: “წაიღებს ქარი ჭმუნვას და ურვას, მიწას ჩქერები გადასდის გულზე... ვუმზერ ქაფიან მორევთა ბრუნვას, აგუგუნებულ სამყაროს ვუსმენ” (“წაიღებს ქარი ჭმუნვას და ურვას”).

პოეტი მაღლს მიაგებს უზენაესს, რომ ზეციური ხმის მოსმენის უნარი უბოძა: “ვიდრე დავშრტები სავსე ყელამდე (დავიშრიტები უალოდ მყისვე!) ხმასა ზეციურს მაღლობით ვისმენ, შენთვის ჩამოქნილს ვანთებ კელაპტარს” (“ვიდრე დავშრტები”).

პოეტის “საოცარ მუსიკალურობაზე” მიუთითებს გ. ბენაშვილი (“ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრებელი”) (4, 137).

“ანას ლექსები მცირე ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებებს გვაგონებს. მის პოეზიაში ხან ნოქტიურნის ელეგიური ხმები გვესმის, ხან მაზურკისა და სკერცოს მფეთქავი რიტმები, ხან შუასაუკუნოვან საგალობელთა მომნუსხველი ხმა”, წერს შუქია აფრიდონიძე (2, 145).

ანას ამაღლებულ პოეზიაში ვერ მოვისმენთ “სოფლის მიეთ-მოეთისა და ჟივილ-ხივილის ხმებს” (4, 146).

პოეტი თამამად გრძნობს თავს ერთიანი, მრავალსაუკუნოვანი ქართულის წიაღში და მუსიკად აქცევს მშობლიურ ფენომენს: “ანასთან, იქნება ეს არქაული, თანამედროვე თუ ნეოლოგისტური სიტყვები, გვაქვს სიტყვის მუსიკალური აზრის წინ წამოწევა” (5, 68).

გვახსენდება ესაია წინასწარმეტყველი: “უფალმა ღმერთმა მომცა სწავლულთა ენა, რომ შემემძლოს დამაშვრალის სიტყვით გამხნეება. ის აღვიძებს, ყოველ დილით აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მესმოდეს, როგორც სწავლულებს ესმით”.

“უფალმა ღმერთმა გამიხსნა სასმენელი”... (ესაია, 50, 4, 5) (6, 111).

ლიტერატურა

1. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002.
2. შუქია აფრიდონიძე, “ცათა მაღალთა მადლი”, “მნათობი”, 1985, N5.
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983.
4. გურამ ბენაშვილი, “ო, არის”, “მნათობი”, 1985, N5.
5. ნოდარ ჩხეიძე, “კრიტიკული წერილები”, თბ., 1977.
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

“ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი”

ძვირფასი ქვებისა და თვლების სიმბოლიკის მაგალითებს მრავლად ვპოულობთ ძველ და ახალ აღთქმაში.

წმინდა წერილში ყოველთვის სიბრძნეს ენიჭება უპირატესობა ოქრო-ვერცხლთან შედარებით: “ყოველი ოქრო მის თვალში ქვიშის ნამცეცია, ვერცხლი კი ტალახად შეირაცხება მის წინაშე” (სიბრძნე სოლომონისა, 1, 7,9) (1, 22).

ნეტარი ავგუსტინე მარგალიტად სახავდა რწმენას: “მე კი ნაპოვნი მქონდა უკვე მარგალიტი კეთილი... მრავალსასყიდლისა, რომლის შესაძენადაც კაცმა ყოველივე უნდა განყიდოს და მოიყიდოს იგი” (2, 190).

ქართულ სასულიერო პოეზიაში ოქრო, მარგალიტი, ძვირფასი ქვები სულიერი თვისებების, სიკეთის, რწმენის სიმბოლოებია (3, 176).

განძს, ძვირფას თვლებს სიტყვას უკავშირებს ვაჟა-ფშაველა: “...სიტყვამ _ წვერს მარგალიტი მოისხა, ტანი ზურმუხტით იფარა” (“სიტყვა ეული”) (4, 288).

აკაკი წერეთელი ვაჟა-ფშაველას “მარგალიტების მთესველს” უწოდებდა, პოეტის გულში კი მარგალიტი (“პოეტის გული”) (5, 84), “მარგალიტების სალარო” ეგულებოდა (“ზღვაო, აღელდი, აღელდი”) (4, 243).

გალაკტიონისთვის “ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ჰფარავს შეუცვლელი, რას იშვიათ თუ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი” (“ხელოვნება”) (6, 12).

სიმბოლისტები განძის მფლობელად თვლიდნენ თავს.

“ჩემი სულია განძების ყუთი” _ ამბობდა ვალერიან გაფრინდაშვილი (7, 190).

ანა კალანდაძე ხშირად საუბრობს განძზე, ძვირფას ქვებზე, ყალბ თვლებზე.

პოეტისათვის ყველაზე დიდი განძია რწმენა, სულთ დასამკვიდრები სადგური: “...განძად გპოვებდი: მექმნები შიშად და არა ლხენად... თუ ჩაქრე, მეცა მივდრკები

ქრობად, ფოთოლთა ცვენად... თუ არა – მუდამ დამიბრუნდება ჩემივე რწმენა, მზე დიდებული – ვით ლამაზ მინდვრებს...” (“შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს”).

პოეტი ღმერთს ევედრება ციური მადლისთვის, ნატრობს უზენაესი საუნჯეების მადლის ხილვას და დარწმუნებულია, რომ მისი სალაროების რბევისთვის განწყობილთ მხოლოდ თივა-ბზე და ქატო შერჩებათ ხელში: “გულს დამდე ხელი შენი, ძლიერო, ხელი გულს დამდე, რომ შენი მარად შემეწეოდეს ციური მადლი. რაც უნდა სავსე სალაროები არბიონ ჩემი, აჰა, მეუფევ, მხოლოდ თივა-ბზე და ქატო რჩებათ... რომ შენეული საუნჯეების ვიხილო მადლი: გულს დამდე ხელი შენი, ძლიერო, ხელი გულს დამდე!” (“გულს დამდე ხელი შენი, ძლიერო”).

ბიბლიის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი, სიბრძნე, სულიწმიდის მადლია, ვერავითარი განძი ვერ შეედრება სიბრძნეს: “შუქმფენი და უჭკნობია სიბრძნე... წინასწარ ეცხადება მისი შეცნობის მოწადინეთ”.

“სიბრძნის წყურვილი მეფობამდე გვამალლებს”.

“ამიტომ, ტახტითა და სკიპტრით რომ ხარობთ,... პატივი მიაგეთ სიბრძნეს. რათა საუკუნოდ იმეფოთ”.

“შურიანი ვერ ეზიარება სიბრძნეს” (სიბრძნე სოლომონისა, 6, 12, 13, 20, 21) (1, 23).

ბიბლიის მიხედვით, სიბრძნე ორგვარია: მიწიერი და ზეცის წმინდა, სამართლიანი, უთვალთმაქცო სიბრძნე (პავლე მოციქული).

ცა წმინდა, ოქროს გულის შემოქმედთ ეხსნებათ და მაშინ ხდება ხელთუქმნელი მარგალიტის მოხელთება: “ბაჯაღლოსავით გაიწვრიალებს გული, სული აიკრეფს თვალ-მარგალიტის მძივებს, თუ გაიხსნება ცა – სასწაულით სავსე, ააელვარებს მისთვის დანთებულ იმედს!” (“ბაჯაღლოსავით გაიწვრიალებს გული”).

ამ კონტექსტში განძი პოეზიაა, ზღვასავით ბოზოქარი სულის მარგალიტი: “ჩუმი ვარ, როცა ჩემს ლურჯ წყალზე თვლემს მთვარის სხივი: მაშინ ჩემს სულში მარგალიტი ციმციმებს ცივი... როცა მძვინვარე ქარიშხალი ბორგავს ჩემს მკერდში და

როცა ხშირად ხომალდების გზაკვალსაც შევშლი, ესეც იმიტომ, რომ... ურიცხვი განძია ჩემში” (“ზღვის საიდუმლო”).

სულის მარგალიტის ღირსების ვერ შემცნობთა ირონიას, რომელთაც ქვიშა და მარგალიტი ვერ გაურჩევიათ, “სხივთა რონინი” და პოეტის სიდიადის რწმენა ამარცხებს: “...ზღვას მიძინებულს აკრთობს მთოვარე, მისთ მარგალიტთა აღმომთოვარი, ქვიშა უბრალო... თქვენ რომ გგონიათ! ჩემს გულსა შიგან... სხივთა რონინი, თქვენს მლიქვნელობას და ირონიას!” (“მხოლოდ იმედი სხივთა რონინი”).

ლალიც და საფირონიც, რომლისკენაც ისწრაფვის სული, სხვა არაფერია, თუ არა პოეტური შედეგრი: “ო, ისევ ისე, ძველებურად, განუზომელად დიდია სწრაფვა და ფიცხია გული, რომელიც მოწადინეა, კვლავ შეერთოს ლალს და საფირონს (“ო, ისევ ისე”).

უხილავი, უზენაესი უხვად სწყალობს პოეტს და მარადიული ბრწყინვალეების, მშვენიერების დიდებულ საუნჯეს მიაგებს, რითაც მარცხდება წყვილიაღი, ჩაუქრობელი მზე ანათებს... ღვთისგან ხელდასხმულიც თავისი შემოქმედებითი შედეგებით – საუნჯით მიაგებს მარადიულს სამაგიეროს, უფლის მაღლი მიწაზე როდი ცუდდება, უკვდავ ნაყოფად ვლინდება: “აჰა, მომაგო ესე საუნჯე მე უხილავმან – საუნჯეთ მატა... ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით მშვენიერების დიდებულ ხატად... წამოდგა ჩემს წინ – წყვილიაღთა გვემად: უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან... ო, მან მომაგო ესე საუნჯე – იგივ მიაგო მას... სულმან ჩემმან!” (“აჰა, მომაგო ესე საუნჯე”).

პოეტისთვის უმაღლესი საუნჯეა რწმენა და მას განადიდებს თავისი სიტყვის საუნჯით.

საუნჯე რელიგიური შინაარსის სიმბოლოა. “ნევმირებული ძლისპირნის” მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის “მეუფის საუნჯე” (8, 41).

“უძველესი იადგარი” მარიამ ღვთისმშობელს მოიხსენიებს როგორც “საუნჯე დაბეჭდილს” (10, 45).

ანა კალანდაძის ლექსის “უხილავი”, “მზე” არის ღმერთი, “საუნჯე” – მარიამი.

საუნჯის, ზურმუხტის, ძოწის, ბივრილის ადრესატია პოეზია, რომელიც ხელმოცარულთ აღიზიანებთ და პოეტი მთვარიან ღამით ტკბება მათი სიდიადით: “ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი ხელყოფისაკენ წააქეზებს ზოგიერთ გვამებს... ამიტომ მე მათ მოვიხილავ მთვარიან ღამით, რომ... მათის ბრწყინვით დავიამო გულისტკივილი!” (“ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი”).

ურწმუნოთათვის, შურიანებისთვის არაფერია თუნდაც საკურთხევლების სიწმინდე, მათ ხელეწიფებათ მზეს ღამე ამჯობინონ, სპეკალს – ქვა.

დავით წინასწარმეტყველივით ევედრება ღმერთს პოეტი, დაუმარცხოს მტრები: “სხივები შენი მოილე ჩემკენ, თორემ... დიდებას თვისას რეკენ მტერთა კარვები... დაამხეს ჩემი საკურთხევლები! მზისა წილ ღამეს აღიარებენ: ქვა სჯობსო სპეკალს! სხივები შენი მოილე ჩემკენ, მოილე ჩემკენ!” (“სხივები შენი მოილე ჩემკენ”).

უკეთურნი მოსალოც წერილშიც “ბალღამ-ეკალს” ურევდნენ, გვირგვინში გოროზ სპეკალს ეძებდნენ, ცდილობდნენ, დაემცირებინათ სიტყვის მთიები: “მოსალოც წერილს... გიწერს მავანი შიგ გამორეულ ბალღამ-ეკალით: თუმც შუქმფენობსო მისი გვირგვინი, – გოროზიაო მისი სპეკალი. მწარეთი ნაზავს, გარეულს შხამით, შეჰკადრებს “ხოტბას” შენთა მთიებთა!” აჰა, დაუდგა იუდას ჟამი, ვინაც რომ ამა ჟამს ეძიებდა!” (“მოსალოც წერილს”).

პოეტის საუნჯეა “წყარო უბიწო” (ქრისტეს სიმბოლური სახელია) (11, 122), “მაყვალთა ჩერო” (მარიამი) (11, 124).

მარიამი არის მაცნე ზენაარისა: “აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო, მტილი კარღია, მაყვალთა ჩერო... ჰა, იგი მაცნე ზენაარისა, განცხადებული საუნჯე ჩემი!” (“აჰა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო”).

ახალი საუნჯეა “ცისკარი”, “სიხარულთა უფალი”, საღვთო ბრწყინვალეობა იფრქვევა ირგვლივ: “ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შრომანი შენი უბრალო, ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი... აჰა, საუნჯე ჩემი ახალი...” (“ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი”).

“მეუფის საუნჯე” (“ნევმირებული ძლისპირნი”, გვ. 7), “საუნჯე დაბეჭდილი” (“უძველესი იადგარი”, გვ. 418), მარიამის სიმბოლოა, ასევე ცისკარიც. მარიამი არის “საიდუმლო დღის ცისკარი” (“აკათისტო”). დემეტრე მარიამს ადარებს შრომანს: “ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა ქალწული, მშვენიერი შრომანი”. მთელი ლექსი მარიამის სიყვარულითა და თაყვანისცემით არის სავსე.

როცა “უგრძნეულისი” გულს უხსნის პოეტს, მაშინ ძოწის სხივები იფრქვევა და სიხარული ზეიმობს, მარცხდება მწუხარება, ბისონით იმოსება და ძოწის გრძნეულებას შეიცნობს: “ავიღე ძოწი სიხარულისთვის: მომსურდა მისი მე სხივთა ფენა... გამიხსნა გული უგრძნეულებმა _ ჰა, სიხარულო, ციმციმი შენი!... ვიცან ძოწისა მე გრძნეულება!” (“ავიღე ძოწი სიხარულისთვის”).

მტერი ისევ იასპის, ძოწის, ლალის ბრწყინვალეებას უმიზნებს, მაგრამ კაენი მაინც მხილებული და დამარცხებულია: “იასპი ჩემი მიმტაცა მტერმა და ძოწი ჩემი და ლალი თლილი... ო, კაენ, კაენ, არს ცეცხლი შენი კვლავ... დავსებული და დაშრეტილი!” (“იასპი ჩემი მიმტაცა მტერმა”).

უფლის წყალობით მოდის ბედნიერება, წმინდა ნათელი, ამეთვისტოს და მარგალიტსხმულის პოვნის სიხარული: “...მე თუ მომიხმობს მეუფე ჩემი, დავირქმევ გვირგვინს სიხარულისას_ ჩემი სავსება მომეგოს სრული, შემომეხვევა წმინდა ნათელი, ამეთვისტო და მარგალიტსხმული, მე თუ მომიხმობს ჩემი მეუფე!...” (“ჩამოჰკრეს მწუხრის”).

ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდან მარგალიტი პოეზიის სიმბოლოა, მაგრამ ამ სახეს ანა კალანდაძის პოეზიაში აქვს განსხვავებული რელიგიური შინაარსი.

“ნევმირებული ძლისპირნი” მარიამს წარმოგვიდგენს, როგორც “სამეუფო მარგალიტის მტვირთველს”, “წმინდა მარგალიტს” (8, 313, 7).

“სასულიერო მწერლობაში მარგალიტი მაცხოვრის და ღვთისმშობლის სიმბოლურ-ალეგორიული სახელია” (11, 95).

“უძველეს იადგარში” მარიამი არის “პატიოსანი მარგალიტი” (გვ. 379).

დავით გურამიშვილის “დავითიანში” “უსასყიდლო მარგალიტად” არის მოხსენებული უფლის დედა (11, 95).

ანა კალანდაძის ლექსში ქრისტე არის “მეუფე”, “წმინდა ნათელი”, “მარგალიტსხმული” კი მარიამს უნდა გულისხმობდეს. აქვე საყურადღებოა სახე “გვირგვინი სიხარულისა”. ვფიქრობთ, ეს სახეც მარიამის სიმბოლო უნდა იყოს.

პროფ. ტიტე მოსია მიუთითებს, რომ “დაუჯდომლის” ავტორი მარიამ დედოფალს “კრძალულების გვირგვინს” უწოდებს (11, 79).

ურწმუნოება “უგუნურებაა” და მას მოსდევს უნაყოფობა, ლარის დაკარგვა და სინანული: “დუმს ძალი შენი სასწაულებრი – გაზაფხულისა დამექცნენ ბჭენი... დამატყდა თავსა უგუნურება, – გარდამოვიდა სასჯელიც შენი: დავკარგე ლარი მე უთვალავი და სინანულთა ვიქეცი ვანად”... (“დუმს ძალი შენი სასწაულებრი”).

ზაფხული საღმრთო სახელია: “გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე” (ფს. 65, 12) (13, 588).

ლექსში ღვთის გზისგან გადახვევა ხდება საუნჯის – “ლარის” დაკარგვის მიზეზი (“ლარი” “დაუჯდომელში” წმინდა მარიამის სახელი – ტ. მოსია “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, გვ. 94).

“განძის” (რწმენის) გარეშე ყოფნა არყოფნის ტოლფარდია და ამიტომაც აღევლინება უზენაესს ვედრება სიმბოლური იაგუნდისა და ლალისთვის: “ხელთ ბროწეული იაგუნდისა მომეც, ლალისა, – გადანაშუქი მზის და მთვარისა”... (“ხელთ ბროწეული იაგუნდისა”).

თვალ-მარგალიტის ელვარე სხივი მორწმუნე პოეტის გულში იმკვიდრებს და მარადიულ შარავანდედად ბრწყინდება: “თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა დაუნჯებულად გულში ანთებდი... ბრწყინავდა ირგვლივ, ელავდა ირგვლივ მარადიული შარავანდედი”... (“თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა”).

ლექსი რელიგიურია, “თვალ-მარგალიტი” მარიამზე მიმნიშნებელია, “სხივი” – ქრისტეზე.

“შარავანდედიც” მარიამის სიმბოლური სახელია (11, 116).

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მეფურ განძს მრავალი მტერი და მოშურნე ჰყავს: “...განძთმიტაცების მწარე აჩრდილი თანამდეგია ყოვლთა მეფობად” (“ვარდო, განძარცვას როგორღა ჩივი?”).

გალაკტიონ ტაბიძე წუხდა, რომ “ყალბი შუშები” მინანქრად სალდებოდა: “მაშინ ჯამბაზთა, მაშინ გაერთა ყალბი შუშები ჩნდა მინანქარად” (“ქარის პირისპირ”) (11, 762).

ანა კალანდაძე აფიქსირებს, რომ ოქროზე მეტად მინა ფასდება, სხვისი სისხლით და სხვისი ცრემლებით ხდება ფონს გასვლა, ჭეშმარიტება იჩქმალება, ხდება ქორვაჭრის აღზევება, და ეს ყოველივე იმის შედეგია, რომ დავიწყებულია ღმერთი – მებაღე: “რადგან მებაღეს არვინ კითხულობს (და იფარება ოქრო... მინათი), სხვისი სისხლით და სხვისი ცრემლებით, ...ჰა ქორვაჭარი დგას თქვენს წინაშე!” (“რადგან მებაღეს არვინ კითხულობს”).

ანა კალანდაძეს ყოველთვის ახსოვდა უზენაესი, მისი სული იყო “წრფელი, მზით დახუნძლული”, თვალი – “სუფთა”, ცისკენ მიპყრობილი, იგი მკვიდრობდა “ნათლის სახლში”, “წარუვალს” მსახურებდა და უფლის პალატა “მაღალ-მაღალი ბჭენი” ეხსნებოდა...

ქართული პოეზიის დედოფლის ოქროს, საუნჯეს, განძს, მარგალიტს, ლალს, იასპს, სპეკალს, ამეთვისტოს, საფირონს, ზურმუხტს, ძოწს, ბივრილს, ლალს, იაგუნდს მარადიული შარავანდედი ახვევია.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
2. აღსარება ნეტარ ავგუსტინეს, ჰიპონის ეპისკოპოსისა, წიგნი I, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თარგმანი შესრულებულია ვ. ბურკაძის მიერ რუსული გამოცემიდან, თბ., 1985.
3. გაიოზ იმედაშვილი, “ქართული კლასიკური საგალობლების პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი”, საიუბილეო კრებული კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1959.
4. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
5. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, 18 ტომად, ტ. I, თბ., 1991.
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი, 5 ტომად, ტ. I, თბ., 1993.
7. ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები, მწერლის არქივიდან, თბ., 1990.
8. “ნევმირებული ძლისპირნი”, თბ., 1980.
9. “უძველესი იადგარი”, თბ., 1980.
10. ტიტე მოსია, “საღვთო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1995.
11. ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1996.
12. “ქართული პოეზია, ტ. I, თბ., 1980.
13. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
14. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.

ენა, მამული, სარწმუნოება

ანა კალანდაძის შემოქმედებაში უმთავრესია ერთგულება ეროვნული ტრადისა: “ენა, მამული, სარწმუნოება – ჩვენი ხსნა მათ დაცვასა და შენარჩუნებაშია”, წერს პოეტი (1, 105).

ბოლშევიკური იდეოლოგია ეროვნულის იგნორირებით გამოირჩეოდა: “ახლო წარსულში ეროვნული ტკივილების გამჟღავნება დიდ ცოდვად და ნაკლად ეთვლებოდა მწერალს: “აპოლიტიკურად, უიდეოდ”, “დეკადენტურად” ნათლავდნენ მას და მის შემოქმედებას, ცხოვრებამ კი სხვა რამ გვიჩვენა” (იქვე).

საქვეყნო ტკივილებით გულშემძრული პოეტი ასე გვესიტყვება: “შემოქმედი, რომელიც მცირერიცხოვანი ერის წიაღიდანაა გამოსული, მისი ღვიძლი შვილია, ვერც დღეს (და ალბათ ვერასოდეს) ვერ გამოეთიშება საქვეყნო საქმეს, ვერ გაუყუჩდება საქვეყნო ტკივილს, როდესაც... ზეცას გართმევენ ძალით! როცა მის ტანჯვაგამოვლილ ქვეყანას იმავე უცხო და უხეში ძალისაგან კვლავ ფიზიკურად გაქრობის შიში ემუქრება (“რას შემამთხვევს, ვინ იცის, აზრი შენი ცივი წყლის... ჰოი, გვედრებ, მდინარევ, იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!”). შეძლებს კი იგი განზე დგომას? შეძლებს, რომ გულთან არ მიიტანოს შეჭირვება ერისა, რომელიც აბორგებული “დიდი ზღვის” წინაშე მარტოდმარტო აღმოჩნდა?” (იქვე).

აი, “წყევლა-კრულვიანი საკითხავი ქართველი ხალხისა”, რაც არ ასვენებს ანა კალანდაძეს ჩვენთა დიდთა წინაპართა დარად.

აი, როგორ გრძელდება რეალიზმის დიდ წარმომადგენელთა ტრადიცია ანას შემოქმედებაში: “როგორი ბრალიც არ უნდა დასდონ შემოქმედს (“სად არიან მწერლები?!”), რომლის უღელზე ძნელი არა არის რა ცისქვეშეთში, იგი მაინც ქვეყნის

ჭირის შეძლებისდაგვარად პირველი გამზიარებელია და ამდენად მაინც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს” (იქვე).

აქ შემთხვევით არ ხდება ილიას სტრიქონების გახსენება: “თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი?!”

თუ აკაკი წერეთელი “გარემოების საყვირი” იყო (“პოეტი”) (2, 236), ანა კალანდაძეს “იერიქონის საყვირი” აფრთხილებს: “იფხიზლე სულო, გულო იფხიზლე, იერიქონის გამცნებს საყვირი”.

სადისკუსიო პრობლემათა რიგს განეკუთვნება ანა კალანდაძის ენა. პოეტს ამ საკითხზე მართებული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული პრონციპი აქვს და მის შემოქმედებაში მოიპოვება როგორც სასაუბრო მეტყველების პოეტიზირების, ისე ამაღლებული, ძველქართული ინტონაციის გათავისების ნიმუშები: “ყველაფერს მდაბიური ენით გადმოსცემ და არც ყველაფერი ითქმის “ამაღლებულით” – ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს “ის”, რაც შთაგონებით გვწყალობს. დიახ, სათქმელი ხშირად მოძებნის თავისი გამოხატვის ფორმას, თვითონ გიკარნახებთ, რა ფორმით “სურს” განსხეულება და ამიტომ კატეგორიული წინააღმდეგი ვერ იქნები ვერც თეთრი ლექსისა და ვერც ვერლიბრისა, მთავარია, მათაც ისე, როგორც ტრადიციულ ლექსს, ნიჭიერების მაღლი ეცხოს” (1, 124).

“პირადად მე მაინც კანონიკური ლექსის ერთგული ვრჩები (“თეთრის, ვერლიბრის დროშით, აფსუს, გწუნობენ შაირო”) – ასკვნის ანა კალანდაძე მურმან ლებანიძის სტრიქონებით (1, 63).

სათქმელი განსაზღვრავს ყოველთვის გამოხატვის ფორმას და რამდენადაც მრავალგვარია სათქმელი, იმდენნაირი განსხვავებული ფორმის სამოსი სჭირდება მას.

პოეტი არასოდეს არ აწვალებს სიტყვას და მისი ხალხურთან წილნაყარი, ფშაურით გამრავალფეროვნებული თუ ამაღლებული ინტონაციით გამორჩეული სათქმელი თითქოს ზეციდან ეძლევა, როგორც ღვთის რჩეულს.

ლირიკოსი ცხოვრობს ქართული სიტყვით, ძველქართული ძეგლების სურნელს ეზიარება და ამით განსაკუთრებული ელფერი ენიჭება მის პოეტურ მეტყველებას: “ჩემმა პროფესიულმა ენმათმეცნიერულმა ცოდნამ და ძველი ქართული ხელნაწერების განუმეორებელმა პოეტურმა გარემომ დიდი სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება” (1, 177).

პოეტისთვის ერთი ორგანული მთლიანობაა ძველი და ახალი ქართული, მთის ხალხთა მეტყველება: “ძველი ქართულისა და უმამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდა” (1, 74).

მშობლიურ ენასთან დამოკიდებულებაში პოეტი ცნობილ მეცნიერ-დიდაქტიკოსთა ნააზრევს იზიარებს და ხატოვნად შეგვაგრძნობინებს მის ძალას: “მშობელი ენა ის ცხოველმყოფელი წყაროა, რომელიც კვებავს ერს, ზრდის და აცოცხლებს მას. მშობიურ ენას მოწყვეტილი როგორც ცალკეული პირი, ისე ერი, ჰაერში მოშობილი ანთეოსივით იღუპება” (1, 95).

თითქოს პოეტის არსებაში გარდასხეულებულან ჩვენი წინაპრები თავიანთი ხმითა და ხატებით, ახალს ძველი ქართული ენის მაღლიანი აჩრდილი დასდგომია თავს და სამუდამოდ, განუმორებლად შერწყმია ერთმანეთს ძველი და ახალი: “როგორც ჩვენი უხსოვარი ხმა და ხატება ჩვენდა შეუმჩნევლად აირეკლება ხოლმე და გამოისახება ჩვენში, ასევე ძველი ქართული ენის მაღლიანი აჩრდილი თავს ადგას ახალს და მისგან განუმორებელია” (1, 78).

ანა კალანდაძე კატეგორიულად აცხადებს: “ძველი და ახალი ქართული ენა მესახება ერთ, მთლიან, ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა მის უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს” (1, 79).

ხშირად აღშფოთების გამომწვევია ის, რომ ლამის ისევ “წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!”... ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფეხადგმულს, და საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს, არამედ ენასაც! (1, 155).

“ენა ცოცხალი ორგანიზმია, _ მის სტიქიას განუწყვეტლივ “შესდის და გაედინების ნაირნაირი ენობრივი ფორმები (სიტყვები თუ გამოთქმები). ამ უამრავი მასალიდან იგი ბევრს მიიღებს, ბევრს კი, როგორც უცხოსა და მიუღებელს, ზღვასავით გამორიყავს ნაპირზე” (1, 156).

პოეტი მიუთითებს, რომ მისი სულიერი საზრდოა “ქართლის ცხოვრება”, “ენის ამოუწურავი საწყაო-საბას “სიტყვის კონა” (1, 79).

პოლ ვალერი აცხადებდა: “ჩვენს ეპოქას არა აქვს თავისი ენა” და თავის დამოკიდებულებას ენისადმი ასე განსაზღვრავდა: “პოეტის დანიშნულებაა დაუბრუნოს სიტყვებს მათი ჰარმონიული ღირებულება და მათი ურთიერთ-შერწყმით, გადაადგილებით და ფიქსირებით... კვლავინდებულრად შექმნას მათ ირგვლივ იდუმალების ის ატმოსფერო, რომელიც გარს ერტყა მათ დასაბამს”.

“ლექსს იდეებითა და გრძნობებით კი არ ქმნიან, არამედ სიტყვებით” (3, 23).

ანას მრავალ თავისებურებას შორის საყურადღებოა მისი რიტორიკული ფიგურები, კითხვა-პასუხი, “სათქმელს სწორად მისი წყალობით ენიჭება მეტი სიმსუბუქე და სიმდაფრე”, წერდა ფსევდო-ლონგინე (4, 147).

ანასთვის ორგანულია ხალხურის ხიბლი. “ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის-ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად..., როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. ასე მოვიქეცი ფშაური ლექსების ციკლის წერისას. ისინი ფშაური ხალხური ლექსის მოტივებზეა შექმნილი _ ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (“უნდოდა”) ასე შევხმიანებოდი მხოლოდ. ძველი ქართულისა და უმამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდა” (1, 74).

პოეტი კითხულობდა: “რატომ არ კვდება ზღაპარი?” და თვითვე პასუხობდა: “ზღაპარი ხომ ის აღთქმული ქვეყანაა, რომელიც დუხჭირი სინამდვილის პარალელურად შექმნა ადამიანმა. იქ ხომ სიმართლე უეჭველად იმარჯვებს, ბნელი ძალები აუცილებლად მარცხდებიან, ბედშავი და ბედდამწვარი “ხელმწიფის” ტახტზე

შეიძლება დაჯდეს. სიცოცხლე ზეიმობს უთვალავი ფერით... ბოლო კეთილია, სიკეთე კი მარადიული და უკვდავი... ამიტომაცაა ზღაპარიც უკვდავი და მარადიული” (5, 5).

ანა კალანდაძემ შეძლო ძალზე ინტიმური ინტონაციით ესაუბრა როგორც პირადულ, ისე ეროვნულ და საკაცობრიო გრძნობებზე. ინტიმურობა, ჩურჩულით განდობა დიდი სათქმელ-სატკივრებისა მისი ლირიკის უპირველესი თავისებურებაა და განაცხადიც ჭეშმარიტია: “პირადული და კერძობითი საკაცობრიოს ერწყმის ნიადაგ” (“და დაიბანა ხელი პილატემ”).

“ანა კალანდაძემ სრულიად თავისებური, უნიკალური და უნივერსალური ენა შექმნა”.

“ეს ენა უკანდახევა კი არ არის, არამედ განვითარება და წინსვლაა, ოღონდ არა მხოლოდ და არა იმდენად მომავლისკენ, რამდენადაც დასაბამისკენ” (5, 144).

ანას ლექსებში არის “ბანგი ერთი მხრივ არქაული ლექსიკისა და სინტაქსისა და მეორე მხრივ – სტილიზებული ფშაური, თუმური თუ ხევსურული შაირისა” (გივი გეგეჭკორი) (7, 3).

ნოდარ ჩხეიძის აზრით, “ანასთან, იქნება ეს არქაული, თანამედროვე თუ ნეოლოგისტური სიტყვები, გვაქვს სიტყვის მუსიკალური აზრის წინ წამოწევა” (8, 68).

ლიტერატურა

1. ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. I, თბ., 1995.
2. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
3. პოლ ვალერი, “რჩეული პროზა”, თბ., 1983.
4. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის”, თბ., 1975.
5. თეონა ბოლქვაძე, “ანას ცხოვრების ეპიზოდები”, გაზ. “მერიდიანი”, 1-3 დეკემბერი, 1997.
6. შუქია აფრიდონიძე, “ცათა მაღალთა მაღლი”, “მნათობი”, 1985, N5.
7. “ლიტერატურული საქართველო”, 1985, 1 მარტი.
8. ნოდარ ჩხეიძე, “ლიტერატურული წერილები”, თბ., 1977.

მშვენიერებით მომეფონები

შემოქმედების მიზანია ობიექტური ღირებულების პოვნა და გამოსახვა. პოეზიის სფეროში ეს ობიექტური ღირებულება მშვენიერებაა.

გოეთეს აზრით, ჭეშმარიტების სამკაული მშვენიერებაა: “დიადი აზრი ჭეშმარიტების, რაიც იფერებს სამკაულად მხოლოდ მშვენიერს” (“ხელოვანთა ჰიმნი”) (1, 48-49).

“სრულყოფილი მშვენიერება, უსპეტაკეს ბუნებასა და გონებასთან რომ სრულ ჰარმონიას ქმნის... ჩვენს უზენაეს განვითარებას ემსახურება”, ამტკიცებდა გოეთე (2, 232).

“მშვენიერებას რომელი დიდი ქალაქი შეედრება, ან პირამიდა?” – კითხულობდა ბოდლერი (3, 85).

“მარადია ერთადერთი _ შვენება” (“ვილანელი”), აცხადებდა გალაკტიონი (4, 69).

პოეტების მეფე დაეძებდა დროით შეუზღუდავ “უკვდავ მშვენიერებას” (“მახსოვს”), “მუდმივ, დაუჭკნობელ სილამაზეს და სინარნარეს” (“ცად აზიდულა, ვით მარმარილო”) (5, 106).

ფსევდო-ლონგინეს აზრით, ჭეშმარიტი მშვენიერება არის “ჰაეროვანი, ღვთა-ებრივი, ბიწიერებისაგან განწმენდილი, ნათლით მოსილი” (6, 132-133).

“მშვენიერება აჩერებს დროს”, წერდა პოლ ვალერი (7, 23).

ანა კალანდაძე, როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოეტი, ეძებს მშვენიერებას და ის ყოველთვის ახლებურია, თითქოს ათასმეერთედ აღმოაჩენს სამყაროს სილამაზეს.

პოეტი ქალის შემოქმედებაში “მშვენიერებისა და სათნოების მარადი ზეიშია, მას ყველგან და ყველაფერში მშვენიერი და ამაღლებული აინტერესებს, ანას პოეზია

“უხორცოთა მშვენიერებაა” (8, 106), “მშვენიერების ჭემმარიტ არსთან მიახლოება” (9, 134).

უზენაესის თეთრ ტაძარში გრძნობს სიწმინდეს, რითაც მარცხდება შიში, იწმინდება გული, გონება, მშვენიერების იდეალიც იქ მოიხილება, რადგან მშვენიერების მომნიჭებელი ღმერთია: “შენს თეთრ ტაძარში სიწმინდეს ვპოვებ, ურომლისოდაც განმიმარტოებს, მხოლოდღა შიში მომიცავს სრულად... აქ იწმინდება გული, გონება, მშვენიერებით მომეფონები, განიტვირთება სიმძიმით გული!” (“შენს თეთრ ტაძარში”).

უფრო ადრე იგივეს ამტკიცებდა გალაკტიონი: “...უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ” (“უსიყვარულოდ”) (4, 19).

ანა კალანდაძეს აინტერესებს როგორც ხილული, ისე უხილავი, მიწიერი და ზეციური მშვენიერება, “მშვენიერება ცათა შინა და ქვეყანას ზედა”.

“მშვენიერების დიდებული ხატი” უხილავია, მის ბრწყინვალეობას მხოლოდ რჩეულნი ეზიარებიან: “აჰა, მომაგო ესე საუნჯე მე უხილავმან, საუნჯეთ მატა... ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდებულ ხატად”.

მომხიბლავია საქართველოს “მშვენიერი ზღვები, მშვენიერი მთები” (“მაგნოლია”), “მშვენიერი მინდორ-ველები” (“ყაყაჩოსა სიწითლითა”), “ლამაზი მეგობარი” (“მე ლამაზი მეგობარი მყავდა”).

პოეტს აღაშფოთებს უხილავის მშვენიერი ხატების იავარქმნა ურწმუნო ეპოქის მიერ: “...და მშვენიერი შენი ხატება წვიმით წაშლილა, ქარით, ღვარცოფით” (“შენ მომყვებოდი”).

ანა კალანდაძის შემოქმედებაში ამ უმაღლესი ესთეტიკური კატეგორიის გაუფასურების ტკივილიც ვლინდება, რადგან ცისადმი გულგრილობა მიწაზეც აუფერულებს მშვენიერს, ამაღლებულს: “უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ, დიდება შენი ქართაგან შლილა, აყვავდებოდი ადრე გაზაფხულს, ქვეყანას ზედა და ცათა

შინა... იყო მაღალი შენი ციმციმი, იყო ნათელი წიაღთა შენთა... უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ, _ ცათა შინა და ქვეყანას ზედა...” (“უსახო ქმნილხარ, მშვენიერებავ”).

მშვენიერება რწმენას, ჭეშმარიტებას, სიკეთეს, სიყვარულს, ამაღლებულს, სამშობლოს უკავშირდება.

გოეთე ბრძანებდა: “პოეტს, როგორც ადამიანს და მოქალაქეს, თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს, მაგრამ მისი პოეტური ძალების სამშობლო, მისი პოეტური შემოქმედების მამული გახლავთ სიკეთე, კეთილშობილება და მშვენიერება” (2, 234).

პლატონის მიხედვით, მშვენიერება ორგვარია, მიწიური და ზეციური. მიზანი ის არის, რომ ავმაღლდეთ ზეციური, მარადიული მშვენიერების დანახვა-შეცნობამდე: “პლატონიზმი ორი სამყაროს ფილოსოფიაა. “მიწიერი მშვენიერება იმ კიბის პირველ საფეხურებს შეადგენს, რომელიც სხეულებრივი მშვენიერებით დაიწყებს და შემდეგ მშვენიერების სხვა სახეებსაც აზიარებს მას, ჯერ მეცნიერების მშვენიერებას დაანახებს, ბოლოს კი გააოგნებს თავისთავადი მშვენიერების ჭვრეტით. ეს მშვენიერება მარად უცვლელია, განძარცული სხეულებრიობისა და წარმავლობის ყოველგვარი ნაშთისაგან. ის განისვენებს უკვდავ შარავანდედში, როცა მშვენიერება და ჭეშმარიტება ერთია” (10, 133).

ანა კალანდაძე იწყებს მიწიერი მშვენიერების გაცნობიერებით და ზეცის სილამაზესაც სწვდება. უმაღლესი, უკვდავი მშვენიერება და ჭეშმარიტება მისთვის ღმერთია.

ლიტერატურა

1. გოეთე, “გერმანული ფილოსოფიური ლირიკა”, თბ., 1981.
2. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, წინასიტყვაობა და კომენტარი ა. გელოვანის, ბათუმი, 1988.
3. “ფრანგი პოეტები”, თბ., 1984.
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ, 1993.
6. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის”, თბ., 1975.
7. პოლ ვალერი, “რჩეული პროზა”, თბ., 1983.
8. ჯუმბერ თითბერია, “შარავანდი”, “მნათობი”, 1974, N12.
9. გურამ ბენაშვილი, “ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი”, “მნათობი”, 1985, N5.
10. უილიამ გათრი, “ბერძენი ფილოსოფოსები”, თარგმანი გ. ნოდუასი, თბ., 1983.

უკეთურებით კვალად ხსნისათვის

ანა კალანდაძე უფლის ხელდასხმული პოეტია. მისი მადლიანი სიტყვა სინათლეს ასხივებს, უკეთურებას ებრძვის: “გულს დამფენია მზეი ცხოველი, უკეთურებით კვალად ხსნისათვის, სინათლის ჩემის გაძლიერებად, მიწყვი, უკუნით უკუნისამდე” (“გულს დამფენია მზეი ცხოველი”).

პოეზიის მისია დასაბამიდან ის იყო, რომ გადაერჩინა კაცობრიობა, სიმართლე, თუნდაც სიცოცხლის ფასად; “გადაუდგება უძღებ ფიტულებს დროდადრო შენი სუსტი აჩრდილი, შენი ხანმოკლე სიცოცხლის ფასად, კაცობრიობის გადასარჩენად” (“ხშირად გესვრიან მკრეხელურ ღიმილს”).

სინათლისთვის შეჰღალადებს, ბოროტების დამარცხებას შესთხოვს უფალს: “...და მტერთა მძლეველი მახვილი ბოროტი გულისკენ მიმართე... ო, ღმერთო, ო, ღმერთო, საბაოთ, სინათლე, სინათლე, სინათლე!” (“ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი”).

თვით “უხილავი” ამარცხებს წყვილად და მარადიული მზის ნათელი აბრწყინებს: “წამოდგა ჩემს წინ – წყვილადთა გვემად: უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან”.

ანას ლექსებით “იწმინდება გული, გონება... განიტვირთება სიმძიმით სული!” (“შენს თეთრ ტამარში”).

ღვთისგან გაბრძნობილი, წმინდა სავანეში მკვიდრდება, რათა ადამიანთა გრძნობების აღზრდას, მათ ზნეობრივ განწმენდა-გაკეთილშობილებას ემსახუროს ბოროტებასთან შეურიგებელი პოეტის ქნარი: “...მფარველო ჩემო, ბოროტების ყოველი ვცანი, არ დაცხრეს მათგან, არ დადუმდეს ჩემი კითარა!” (“ისევ გახსენი გული ჩემი”).

პოეზიის დანიშნულება განისაზღვრება ცნობილ წინაპარ კლასიკოსთა დარად: “პოეზიის დანიშნულება ისაა, რომ იგი... სხვადასხვა რწმენისა და სხვადასხვა შეხედულების ადამიანებს აახლოვებს ერთმანეთთან და ამით მათ უადვილებს ცხოვრებისეულ სიძნელეს გზისას” (ანა კალანდაძე, ტ. 2, გვ. 141).

“მე თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახებერად” – ასეთი უმაღლესი სამრეკლოდან ქადაგებდა მხატვრული სიტყვის მარადიულ მისიას დავით გურამიშვილი.

ამ დიდი ტრადიციის საფუძვლის ჩამყვრელს ასე ეხმაურება ჩვენი თანამედროვე პოეტი ქალი: “არ გიჩნს კახაბრად, ვინაც არ არის, ფერხით მიგიდეს თხათა არეები, სულს უმამაცესს და სისხლთა თხეკას, შენს გზას ერთადერთს მივესალმები” (“N-ს”).

უფლის ნებით აღვლენილი პოეტის საგალობლებს დაკნინებული, ჩაბნელებული სულის აღდგომა-აღორძინების მაღალი მისია ეკისრება: “სიტყვა ჩაგვესმის სასოებისა (ცამან ყოველი ესე ინება!) – მრუმე ღამეში ჩაფლული სულის კვლავ აღდგომად და აღორძინებად!” (“ინება ცამან”).

ანას პოეზია სიცოცხლისათვის აუცილებელი ნამია, მარადიული მოძრაობის მუხტით ავსილი: “სიცოცხლე ჩემი ნამივით ბალახებზეა ცვრეული... როგორც ღრუბელი, ერთ ადგილს გულ... არ ჩერდების წყეული” (“არსება ჩემი ნამივით”).

დავით წინასწარმეტყველივით ევედრება პოეტი უფალს: “ისევ განკვეთე შენ ურჩხული გაუმაძღარი და დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ... გააღე ჩემთვის, ო, კარები შენი ტაძრისა, კვლავ სასოებით შემოვიდე, ხელუწიფარო!”

თქვენი ყვავ-ყორნების, ძერების გადაშენებას ნატრობს: “ჩემი ბაღით და ბაღებით თქვენი შრომა ძერებო” (“წყალობა ცათა მაღალთა”).

ბრბო ფარისეველთა ამყოლია და მისი უხმო დასტური ჯვარცმას უმზადებს სიკეთეს, ამიტომ უნდა იფხიზლო, იერიქონის საყვირის აზრს ჩასწვდე: “ჯვარს აცვით ეგე! და... მღვრიე წყალში ყველა თავისას ეძებს საკბილოს... იფხიზლე, სულო, გულო, იფხიზლე, – იერიქონის გამცნებს საყვირი” (“ჯვარს აცვით ეგე!”).

ემმა, ავსული, არაწმინდა მარად ითხოვს თავშესაფარს, მაგრამ ბოროტ სულს ანა კალანდაძე ილიას, ვაჟას, ბარათაშვილის, გალაკტიონის მსგავსად ებრძვის: “განვედი ჩემგან, მხოლოდ მზისაა ეს საყუდარი!”, “იყავნ ემმაკი ემმაკთა თანა!”...

ანას მარად ახსოვს მართლმსაჯულების ღმერთი თემიდა და თვითონაც ცდილობს, ყოველთვის უცდომელი იყოს მისი მსჯავრი...

ჭემმარიტების წმინდა კუნძულზე

შემოქმედების მიზანი ჭემმარიტების მიგნებაა.

გოეთეს აზრით, “დიადი აზრი ჭემმარიტების, რაიც იფერებს სამკაულად მხოლოდ მშვენიერს” (“ხელოვანთა ჰიმნი”).

ანა კალანდაძე ესწრაფვის არა “ფიანდაზებს”, “შეებას”, არამედ, ჭემმარიტების წმინდა კუნძულს, სადაც ეგულება თავისი გულის საუნჯე: “სადაც იყოსო საუნჯე შენი, გულიც მის ახლოს სხივთა მფენია: ჭემმარიტების წმინდა კუნძულზე – საუნჯე თვისი გულს იქ შთენია!” (“ჭემმარიტების წმინდა კუნძულზე. მარადიული კითხვა-პასუხი”).

პოეტის აზრით, უცდომელი აზრი ღმერთის სავანეში არსებობს, ამიტომაც მაღლა, მზისკენ ისწრაფვის და დარწმუნებულია, რომ ჭემმარიტებასთან შედარებით, ყველაფერი უფერულია, წარმავალი: “ჭემმარიტება, აჰა, ყოვლის გადამწყვეტელი! მისკენ! სულ მაღლა! ეტლი შენი მზეს რომ არ ასცდეს!” (“ხვედრი”).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, “ღმერთი თავად არს ჭემმარიტება და მისი ხილვისათვის “საჭიროა გაუბედავი და ანაზღეული გაცისკროვნება გონებისა” (ნეტარი ავგუსტინე, “აღსარება”, თარგმანი ვ. ბურკაძის, ქართული ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985, გვ. 240).

დანტე ღმერთს განიცდის, როგორც “ნათელ ჭემმარიტებას”: “და მზერა ჩემი განწმენდილი მომეტებულად აღზევებული ისწრაფვოდა იმ სინათლისკენ, რომელიც არის თვით ნათელი ჭემმარიტება...” (“ღვთაებრივი კომედია”, თბ., 1941, გვ. 411).

ანა კალანდაძე მეშჩანების სიყალბეს ჭემმარიტებას უპირისპირებს, მისი ნათელი უქრობია და ზეციური შარავანდედით ციმციმებს: “სადაც სიყალბე ჭემმარიტს წონის, უუნატიფეს მეშჩანთა შორის, ნათელი ჩემი... არს მოციმციმე!” (“N-ს”).

ხშირად აუფასურებენ იმ აქსიომას, რომ ჭემმარიტება სისხლის ფასად მიიწვდომება, მაგრამ ვისაც ამას შეაგონებენ, მისი სისხლი ჭემმარიტების სამრეკლოზე ისედაც იღვრება: “ყოველ გზასა და გზაჯვარედინზე იეზუიტი ჩუმად მიხვდება: _ ფეხთა მტვერი ვარ, არარაობა, სისხლი... ჩემი სურს ჭემმარიტებას! _ ფეხთა მტვერო და არარაობავ... ბევრი მიხილავს შენი მსგავსები! ჩემი სურთ სისხლი? ოდეს ჩქეფს იგი ჭემმარიტების მაღალ სამრეკლოს?” (“ყოველ გზასა და გზაჯვარედინზე”).

ორი ქვეყნის საზღვრად ვდგავარ

გალაკტიონის მიერ მეფისტოფელად მონათლული მეოცე საუკუნე ცალთვალა იყო, ერთი თვალი მან “განგებ” დაიბრმავა (“ბრმა ცალი თვალით”) (1, 133).

ათეისტები მხოლოდ ხელშესახებს, მიწიერს, მატერიალურს ხედავდნენ, სულის არსებობა დაივიწყეს, არც მარადიული მსაჯული ახსოვდათ. ყოვლისშემძლეობის ილუზიით გაბრუებულებმა, ზნეობას ზურგი აქციეს. ტოტალური ძალაუფლებით აღჭურვილებმა, გაუგონარი ბოროტება დაატეხეს თავიანთი სახელმწიფოს მოქალაქეებს, სისხლის წვიმა მოიყვანეს...

სატანისტურმა ათეიზმმა, უკეთურებამ გაამძაფრა უზენაესის წყურვილი, მონატრება. ღვთისგან ხელდასხმულთ არ გაუწყვეტიათ ცასთან კავშირი, მათ მესამე თვალი მიჰმადლა განგებამ.

“ათასის მხედველობა, ასი ათასი სმენა” დაებედა გალაკტიონს და “უფსკრულში შთამჭვრეტი მზერით” მან ფარდა ახადა მეფისტოფელური ეპოქის ბოროტებებს.

ანა კალანდაძე ებრძვის “სოფლის საცდურს”, “გარესკნელის აღზევების” სავალალო შედეგებს. მის იერარქიაში უზენაესია “ზეცის და მიწის სიყვარული” – ღმერთი.

განადიდებს რა “სასწაულს სასწაულთ შორის” – ღმერთს, მისი პოეტური სასწაულები გონისა და გულის ერთობლივი მღვიძარების შედეგია, რაც საშუალებას აძლევს უცდომლად ჭვრეტდეს როგორც მატერიალური, ისე სულიერი სამყაროს საიდუმლოებებს. ამიტომაც მის შემოქმედებაში ორგანულია ორი საწყისის კავშირი: “სად ბინდობს გონი, გულიც ბრმაა, ვერრისმჭვრეტელი”...

ანა კალანდაძის პოეზიაში ნათლად ჩანს ცხოვრების პოლარულობა: ერთი მხრივ, გამცემი, ეშმაკი, ჭრელი სული, ფარისეველი, თავდაჯერებული თხა, იუდა, უწმინდური, ეშმა, ავაზაკი, ცხრათავიანი, ღამურა, იანუსი, დემონი, ურჩხული, ამოების აჩრდილი, ყვავ-ყორნები, ბელზებელი, ბნელთაბნელი, კობრა, ჰეროდე. მათგან ინთხევა შხამი, ღვარძლი, ქრის შურის ქარი, მზადდება გოლგოთა.

ნეგატიურ ძალებს უპირისპირდება ღმერთი, ანგელოზი, სერაფიმი, ქერუბიმი, იფრქვევა სიყვარულის ფლუიდები, მძლავრობს ციური მადლი.

ზენარულ ძალებთან გამუდმებული კავშირი ანას მთელ შემოქმედებას გამორჩეულ ელფერს ანიჭებს: “გულს ჩასახული მყვა ანგელოზი და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი”.

ურწმუნოება სიკეთის უარყოფით, ღალატით, სახატის დაცარიელებით, სატანად გარდასახვით, დაუცველი სიწმინდის გათელვით მთავრდება (“ვაი სიწმინდეს”).

მებაღის (ღმერთის) დავიწყება მოასწავებს ჭეშმარიტი ფასეულობების დამდაბლებას, სიყალბის მსახურთა, ქორვაჭართა აღზევებას (“რადგან მებაღეს არვინ კითხულობს”).

ფსალმუნში უღმერთობა უგუნურობის ტოლფასია: “თქვა უგუნურმა თავის გულში: არ არის ღმერთი” (ფს, 13/ 14) (2, 533).

ანა კალანდაძის ლირიკის პერსონაჟი თავისი უბედურების სათავედ ურწმუნობას აღიარებს, მას უგუნურებასთან აიგივებს და განწმენდისათვის მონანიების გზას ირჩევს: “დუმს ძალი შენი სასწაულებრი – გაზაფხულისა დამექცნენ ბჭენი... დამატყდა თავსა უგუნურება – გარდამოვიდა სასჯელიც შენი: დაკვარგე ლარი მე უთვალავი და სინანულთა ვიქეცი ვანად... დამეხშენ ცანი და ქვეყანანი, გაზაფხულისა დამექცნენ გზანი – დუმს ძალი შენი სასწაულებრი” (“დუმს ძალი შენი სასწაულებრი”).

უგუნურია ის, ვინც არ ფხიზლობს, არ ელის სიძეს (ქრისტეს) და ამით გეენას იმზადებს: “ნამძვების თავზე ვარსკვლავი იწვის, მიუწვდომელთა ცათა სიღრმიდან შუადამისას მოვიდა სიძე და, უგუნურო, შენ ვერ გიხილა” (“ნამძვების თავზე ვარსკვლავი იწვის”).

ამაობის აჩრდილი გვეცხადება ეჭვების წუთებში, ციურს ენაცვლება და მწუხარება, სასოწარკვეთა მოაქვს: “აჰა, განქარდა ყოველივე ესე ციური, ამაობის კვლავ აჩრდილმა გული განკვეთა... ახლა შენ აღებ ცივ დარბაზებს ჩემი სულისთვის და... მწუხარების სახლში მიწვევ სასოწარკვეთავ!” (“აჰა, განქარდა ყოველივე ესე ციური”).

ცის მაღალი კარის დახშობა არარაობას, წარმავლობას აბატონებს (“აჰა, დამეხშო მე კარიბჭე შენი მაღალი”).

ფამილარების გარემოცვაში კნინია სული, ცადაზიდული პირამიდები ძირს იწვევენ, მზე იფერფლება და ღვარძლი ბატონობს: “თქვენს ფამილარულ გარემოცვაში სული კნინდება: დამდაბლდებიან ცადაზიდული პირამიდები, მზე იფერფლება და

გულშიგან.. ღვარძლი ღვივდება – თქვენს ფამილარულ, თქვენს თავხედურ გარემოცვაში!” (“N-ს”).

მაგრამ სიყალბის მცველ მეშჩანთა შორის პოეტის ნათელი მარადიული ძალით ციმციმებს: “სადაც სიყალბე ჭეშმარიტს წონის, უუნატიფეს მეშჩანთა შორის... ნათელი ჩემი... არს მოციმციმე!”

ცა და ქვეყანა ყოველთვის კავშირშია ანას პოეზიაში.

“ცის თვალი” (სადვთო სახელია) იწვევს “გულის თვალის” ახელას და თუ მას განვერიდეთ, ყველაფერი საპირისპიროდ მოხდება: “დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან, და... დაიხუჭა გულისა თვალიც” (“შენს ყვავილობას”).

ღმერთი, რწმენა “ნათელთნათელია”, ურწმუნობა – “ბნელთაბნელი, აურაცხელი მწუხარე გზებით” (“მე განვირიდე ნათელთ ნათელი”).

მხოლოდ ინსტინქტებით, მიწიერი, პრაგმატული ინტერესებით მცხოვრებთ დავიწყებული აქვთ მიუწვდომელი, ცა და ციური. “...დავიწყებოდათ მიუწვდომელი, კანდელი ხატთან ობლად კრთებოდა, ო, მიწისაკენ მიქცეულ სულებს ცა და ციური დავიწყებოდათ” (“შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი”).

ზენა სამყაროსგან ცოდვილი მიწის გაუცხოება უბედურებად ესახება პოეტს: “დუმს ვარსკვლავების ჩუმი სამყარო, მას შეღადადებს მიწა ცოდვილი”...

განუვითარებელი, ბნელი, ყრუ სულები ვერ ისმენენ ცის ძახილს, ვერ ხედავენ ზეცის მშვენებას და ამიტომაც ისჯებიან ღვთისგან: “ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადჟამულ მშვენებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას დასჩერებიხართ და სასჯელს გაწვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი”, ასეთია უზენაესის მსჯავრი მიწის მონებისადმი დანტეს “ღვთაებრივ კომედიაში” (3, 193).

“ზემიწიერი ძალებისგან” მოწყვეტის გამო ჩიოდა შტაინერი, “მიწიერ არსებებს” აკრიტიკებდა და აცხადებდა: “ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მიწაში” (4, 269, 273).

ანა კალანდაძემ იცის “გზა საუფლოსკენ ვარსკვლავებისა” (“აჰა, დასრულდა შენი ციმციმი”).

პოეტი უძლებს ეშმაკის ცდუნებას, ზენარულ ძალებს ერთგულებს, ამიტომაც არ უშინდება “მიწის რისხვას და ცის რისხვას”: “...მე ვერ უარგყოფ, იდუმალის დიდებულ სხივსა, თუ მიწის რისხვაც და ცის რისხვაც გადმოვა ჩემზე”

ანას გვირგვინი “დიდებული და მეფურია, მესაიდუმლე მიწის და ცისა” (“ორი ყვავილი ძველ ნანგრევებთან”).

პოეტი ერთდროულად მიელტვის მიწისა და ზეცის ნათელს: “მირკანის თვეში, როდესაც იხმოზ მიწის წიაღით და ცათა სიღრმით ნათელს, იებით ყელამდე სავსეს” (“მირკანის თვეში”).

ჭეშმარიტი პოეტი ერთდროულად უღრმავდება “მიწისა და ზეცის მშვენებას”, მას ახვევია “წმინდა ნათელი” (“ჩამოჰკრეს მწუხრის”).

ღვთის ნათელი ეღვრება სულში, რათა ლოდინ-აღმართებით დაღლილი, ისევ განახლდეს ახალი არსებობისთვის: “მოღლილს ლოდინით და აღმართებით ნათელი შენი გულზე მეცემა... სულში მეღვრება შენი ნათელი და უსასრულო ლხინს მივეცემი” (“მოღლილს ლოდინით, და აღმართებით”).

კრიზისის, დაღლილობის წუთებში ისევ ზენა სამყაროს მოუხმობს სულის აქტივობის ძალად: “ჩემი ყვავილი რად მოიცელა? გზათა დამღალეს მავალთა ცერად? არა, მოქუხდი, მოქუხდი, ზენავ, წარმტყვევენე შენა, მიმეც ნიაღვარს!” (“ჩემი ყვავილი რად მოიცელა?”).

“ორი ქვეყნის საზღვრად” დგომაა ანა კალანდაძის ლირიკის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი: “ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ”...

“ორი ქვეყნის საზღვრად” დგომა ფილოსოფიური წყურვილის გამოხატულებაა ანას პოეზიაში, წერს თამაზ ჭილაძე (5, 138).

ეს ფრაზა გვამცნობს პოეტის ინტერესს ხილულისა და უხილავისადმი, ამქვეყნიურისა და მიღმურისადმი, სიკვდილ-სიცოცხლისადმი.

აკაკის კილო იყო “ცისა და მიწის შემკვრელი”, “ორხმოვანი” (“ჩანგური”) (6, 221).

გალაკტიონისთვის მახლობელი იყო “ორი ჰანგი”, “ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა”, ამქვეყნიური თუ მიღმური, მიწა და ზეცა.

მზე, მთვარე, მიწა, ზეცა ერთდროულად არის ანას ინტერესის საგანი: “სავსე ვართ მთვარით, მზითა ვართ სავსე, გალალეზულნი მიწით და ზეცით” (“გული მეხსნება შენთან, შროშანავ”).

ანა კალანდაძე უსმენს როგორც მიწის, ისე ცის მუსიკას: “და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქვეყანას რომ თავზე ევლება” (“ზედაზნის ტყეებზე”).

“პოეტი მიმოდის, ვითარცა მიწიერი ელჩი ცასა და დედამიწას შორის და გვამცნობს ჩვენთვის უჩვეულო სიმაღლეების სისპეტაკეს” (გურამ ბენაშვილი, “ო, არის რაღაც უჩვეულო დამაფიქრებელი”) (7, 130).

პოეტს ერთნაირად ხიბლავს ცის და დედამიწის ქარიშხლები (“სიცოცხლე ჩემი მაღალ ქარიშხლებს”).

ყველაფერი, რაც მარადიულობის ნიშნით გამორჩეული შეუქმნია პოეტს, უპირველესად, მშობლიური ქვეყნის მაღლია და მისი საზეო, ზეციური ნიშნით აღბეჭდილი სიტყვა სწორედ სათაყვანებელი მამულისკენ არის მიმართული, რომელიც, ამავე დროს, საკაცობრიო ჟღერადობისაა: “წყალობა ცათა მაღალთა კვლავ ჩემს მინდვრებზე მენებოს, _ ჩემი ბაღჩით და ბაღებით თქვენი გაქრობა, ძერებო”. ზეცისთვის _ მაღალ საშვენი, მხოლოდ ფიქრები საზეო, მხოლოდ მზე-მთვარის ზეობა ჩემის მეუფის ცაზეო” (“წყალობა ცათა მაღალთა”).

ეზოთერიკული ქრისტიანობა ამქვეყნიური სინამდვილისგან მოწყვეტას კი არა, მიწისა და ზეცის შეერთების, გრძნობადისა და ზეგრძნობადის დაკავშირების პრობლემებს უღრმავდებოდა.

უიტმენი ერთდროულად მოუხმობდა ცას და დედამიწას (“სიმღერა ჩემს შესახებ”) (8, 71).

დანტე ცაში ხედავდა “მარადჟამულ მშვენებას” (3, 193), მიწაზე ვერ ეტეოდა მისი უსაზღვრო სული: “მიწაზე... ესოდენ ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას” (2, 216).

“მიწიერ-ზეციური” იყო ილია ჭავჭავაძე (“პოეტი”) (6, 200).

ვაჟა-ფშაველა ამბობდა: “მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზი”...

აკაკი წერეთელი “ხან მიწის იყო”, “ხან ცისა”, მასთან მიღწეული იყო “ცის და მიწის კავშირი” (6, 236).

გალაკტიონისთვის მახლობელი იყო “ცის და მიწის ჰანგი”, “ოცნებისა და სინამდვილის შედუღება”.

“ცის და მიწის შეზავება” სამყაროს ჰარმონიის მიკვლევა (“შეხვედრა”) (9, 407).

ტერენტი გრანელი ზიზლით ახსენებდა ცოდვილ მიწას, “სამარეს, გალიას, ყუთს” უწოდებდა მას, ეიმედებოდა “მარადისობის ლაჟვარდები” და აცხადებდა: “ყოფნა მიწისთვის რა მიზანია”.

“მემენტო მორის” ავტორი ბოლომდე დარჩა კონტრასტების ტყვეობაში, რამაც განაპირობა მისი ტრაგიზმი: “შენ მიწა დაგმე, გიზიდავს ზეცა და შენი საქმე უფრო აიწეწა”.

“უცნობი სფინქსი” ლაჟვარდებს სამშობლოს უწოდებდა, იგი გონიერი ცის, “ცანი ცათანის”, მარადი ცის მშვენებების ტყვე იყო: “რა ბრწყინვალეა ცა იქაური” (“ახლაც ვიგონებ”) (10, 203).

ვლადიმერ სოლოვიოვი გმობდა “მიწის ტყვეს”, მიწას, “უფრთებო, მორჩილ სულს” (“უფრთებო სული”) (11, 91).

ანა კალანდაძეს გამუდმებით აინტერესებს ეს მარადიული საკითხი და პასუხს ეძებს ბიბლიის, რელიგიის, ცნობილ ღვთისმეტყველთა, წინაპარ კლასიკოსთა ნააზრევში.

ერთი მხრივ, მის შემოქმედებაში დავანებულია ზენარული სიხარული, მთიების ბრწყინვა, შუქი სასოების, ზენართა ნება, ზეცად მხმობელი სიხარულის ლამაზი ტოტი, ცათა მაღალთა მაღლი, აქ აშკარაა ზეციური საწყისების ერთგულება.

ამასთან, იგრძნობა სხვადასხვაობის გაერთიანების სურვილი “ცის და მიწის მშვენება”, “ცის და მიწის მუსიკა”.

პოეტის გულს ვერ ინადირებს “მიწიური ბედნიერება, უმაღლესი და ჭეშმარიტი, ნათელ და ქებულ”, უმაღლესი მიზანი ცის და მიწის გაერთიანება, მათ შორის ხიდის გადება. მიწა, მიწიერი გამუდმებით უნდა ეზიაროს ცის ნათელს და შეიცნოს მისი ღირსებები: “ბრწყინავს კარიბჭე შუადამისა... ცა უხილავი სხივით აივსო... ჰა საიდუმლო ელვარე ცისა... უწყის მიწამან ღირსება მისი?”

ცა, ელვარე ცა მარიამის სიმბოლოა (12, 124), “საიდუმლო”, “შუადამის კარიბჭე” – ქრისტესი (13, 122).

გულისტკივილს იწვევს მიწის, მიწიერთა გულგრილობა ზეციური საიდუმლოებებისადმი.

პოეტს სურს სული აივსოს მთვარით, მზით, “მიწით, ზეცით” (“გული მეხსნება შენთან, შროშანავ”).

“ცის ლურჯი სულის” მოახლოება მიწიერ ინტერესებზე, მიწაზე ამაღლებს, ცისკენ, “სხვა სხივის” საუფლოში ამკვიდრებს (“მოახლოვდება ცის ლურჯი სული”).

ცის და მიწის კავშირით, ზეციურთან თანაზიარობით მიღწეული მიწიური ბედნიერების განცდით სავსეა სტრიქონები: “აი, ეს ჩემი ვარდის კარავი, შიგ გაზაფხულის ლამაზი სუნთქვა... აქ მიწიური დგას სიხარული – მარადიული სამკვიდრო სულთა... ჰა, გაზაფხული, ხატი იისა”.

კარავი, ამ შემთხვევაში ვარდის კარავი, მარიამის სიმბოლოა (12, 124), გაზაფხული – ქრისტესი (13, 122).

დედა-ძესთან სულიერ სიახლოვეს მიაქვს მიწიური ბედნიერება, რადგან ქრისტე “მიწიური სიხარულია”.

ანას სამყაროში ყველაფერი სიმაღლისა და სიწმინდისკენ ისწრაფვის: “წყლის სული და მიწის სული მიფრინავს ცისკენ” (“მე დავემალე”).

ზეციური სხივ-ნათელის მიწაზე გამოკრთომა, უხილავის ნების განმცხადებელ ანგელოზთა მიწაზე მოვლინება იმისთვის ხდება, რომ ადამიანმა ღმერთის მიმსგავსებით იცხოვროს ქვეყანაზე. “ცის და ციურის” დამვიწყებელთ კი უზენაესი სასჯელი ელოდებათ. “სოფლის საცდურის” მონებას, “გარესკნელის აღზევებას მოაქვს “ცარგვალის” გაშავება.

მიწასა და ცას, ღმერთსა და კაცს შორის ხიდის გადება აუცილებელია, რადგან ზეცის იერარქია მიწისას განაპირობებს: “ღვთაებრივის გაუთვალისწინებლად ვერასოდეს აღასრულებ, როგორც ჯერ არს რაიმე კაცურს და პირუკუ” (14, 100).

ანა კალანდაძის პოეზიაში მიწის სილამაზეც ამდიდრებს ცას: “...უერთდებოდა ფოთლის შრიალით ცას სილამაზე მიწის ეგეთი” (“შქერის ყვავილი ტყის სულს ეკეთა”).

რეზიუმესავით ჟღერს პოეტის განაცხადი: “რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?”.

ანას მიზანია მიწის ამაღლება წმინდა ზეცამდე, არა უდაბური ლაჟვარდის სევდა, არამედ მიწაზე აქტიურობა, მაღალი სულიერების სამსახური, მიწიერი ცოდვამადლის გარჩევა: “ღვენთავენ კერეონები უამურ ფიქრთა ოტებით. შევდი- ვარ ელისიუმში, სად ფშვინვენ ვარდის ტოტები... ვერწყმი უდაბურ ლაჟვარდებს, ...მოულოდნელად ვღონდები... და... ისევ მიწას ვისურვებ თვისი მადლით და ცოდვებით” (“ღვენთავენ კერეონები”).

პოეტი “მიწის წიაღით და ცათა სიღრმით” უხმობს “ნათელს, იებით ყელამდე სავსეს”.

“წმინდა სავანეს” მოიხილავს შუალამისას, “არ მიწიური კავშირისთვის, არ მიწიური გვირგვინისთვის, არამედ ცისა” (“შუალამისას მოვიხილე”).

სამყაროს ავსებს “ზეცისა და მიწის სიყვარული”, მიწაზე იმედად ვლინდება “ცათა მაღალთა მადლი” (“ცათა მაღალთა მადლი”).

მუხრან მაჭავარიანმა ასე მიმართა ანა კალანდაძეს: “შენს პოეზიას ცა და მიწა თან მოაქვს”...

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1982.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
3. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1941.
4. რუდოლფ შტაინერი, “ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება”, თბ., 1994.
5. თამაზ ჭილაძე, წერილები, თბ., 1978.
6. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
7. ჟურნალი “მნათობი”, 1985, N5.
8. უოტ უიტმენი, “ბალახის ფოთლები”, თბ., 1966.
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
10. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. I, თბ., 1991.
11. “მარადი დღე”, თბ., 1984.
12. ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1996.
13. ტიტე მოსია, “საღვთო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1995.
14. მარკუს ავრელიუსი, “ფიქრები”, თბ., 1975.

“ყოველთა დიდი არს სიყვარული”

ანა კალანდაძე ქრისტიანული მსოფლგანცდის პოეტია და, ბუნებრივია, მის ლირიკაში უპირველესი ადგილი რწმენას, სიყვარულს და სასოებას ეთმობა.

ამ სფეროში მისი გზამკვლევები არიან ქრისტიანი ღვთისმეტყველები, სასულიერო პოეზიის წარმომადგენლები.

იოანე მოციქული გვმოდვრავს: “საყვარელნო! გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღვთისგანაა სიყვარული. ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, ღვთისგან არის შობილი და იცნობს ღმერთს”.

“ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია” (I იოანე, 4, 7, 8) (1, 320).

იუდა მოციქული მოგვიწოდებს: “თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმინდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით”.

“დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისაგან, იესო ქრისტეს წყალობას საუკუნო სიცოცხლისათვის” (იუდა, 1, 20, 21) (1, 326).

ადარებს რა ცოდნას და სიყვარულს, პავლე მოციქული უპირატესობას სიყვარულს ანიჭებს: “...ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 8, 1) (1, 367).

პავლე მოციქულის მიხედვით, სიყვარული მაღლა დგას ცოდნაზე, წინასწარმეტყველებაზე, ხელგაშლილობაზე, რწმენაზე, იმედზე: “თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა”.

წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემემძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს.

არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ...

...ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13, 1,2,3,4,5,6,7,8,9,13) (1, 375-376).

“ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს”, გვირჩევს პავლე მოციქული (იქვე, 14, 1) (1, 376).

წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველი თავის ცნობილ ქადაგებაში სიყვარულის შესახებ წერს: “რაწამს მოვიხსენე მშვენებანი შეურყვნელი სიყვარულისა, ჩემს გულში მყისვე აღმოცენდა მისი სინათლე, წარმიტაცა მისმა სიტკბომ და მომესპო ხორციელი რამ ყველა გრძნობა” (2, 23).

დანტე საუბრობს “ღვთაებრივი სიყვარულის ალში ნაწრთობი გონების ყოვლისშემძლეობაზე”, “პირველადი სიყვარულის” (ღმერთის) სიყვარულზე, “მარადჟამული ტრფიალის ცეცხლით გაღვიძებაზე, სხვადასხვაგვარი სიყვარულის შეცნობაზე”, “უზეშთაეს სიყვარულზე” (361), სულიერ ტრფობაზე” (3, 292, 246, 303, 380).

“წმინდა სულის კითხვაზე – “წადილი შენი? – სიყვარული და სიბრძნის “ნიჭი”, პასუხობს დანტე.

პოემაში საუბარია “ციური ჭვრეტისთვის” განკუთვნილ სიყვარულზე (3, 331), კეთილ ნებაზე, “რომლის ძალით ყოველთვის კაცში სახიერდება სიყვარული ალალმართალი” (3, 334).

“მისნიერი სიყვარულის”, “ქმედების ძალის” ნაყოფია სრულყოფილის გამოვლენა (3, 328), “დაუშრეტელი სიყვარულის “კოცონის” დამნთებია ნათელი მადლისა (3, 316).

დანტეს პოემაში ღმერთი მოხსენებულია, როგორც სიყვარული: “სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოდრავებს ამ მშვენიერ ციურ ცთომილებს” (3, 5).

სიყვარული ანუ ღმერთი “ღვთებრივ კომედიაში” სამყაროს მამოდრავებელი ძალაა: “...წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს” (3, 413).

იოანე პეტრიწის აზრით, სიყვარული ღმერთია, იგივე სამება და მხოლოდ მისდამი მიმსგავსებით არის შესაძლებელი მადლის მიღება, განღმრთობა: “სიყვარულსა სხუას ნურას ჰქონებ, ღმერთი არს, სამებით ერთი, ცნობილი სამებადვე, ხოლო რომელი ძალისაებრ მსგავსებას მისსა მიიღებს, მადლით განღმრთება იგი” (4, 84).

პლატონის მიხედვით, არსებობს მიწიური და ციური ეროსი. არსებობის მიზანი ეროტიკულ მისტერიათა საწყის სტადიაზე შეჩერება კი არ არის, არამედ სულის ამაღლება მის უმაღლეს, “ეპოპტიკურ სტადიამდე”, “სულის მშვენების”

უპირატესობის აღიარება” “სხეულის მშვენებაზე”, გაბრძნობა და გამობრძმედა, “აბსოლუტური მშვენიერების” წვდომა, მარადიულ, ...ხელთუქმნელ” მშვენიერებამდე ამადლება, რომელიც “სახიერია თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში. იგი მაღლა დგას ყოველგვარ განძზე, წმინდა მშვენიერება შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით, ხსნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერებაა” (5, 17).

გალაკტიონის “ზექვეყნიური სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული”, საღვთო სიყვარულის აღმნიშვნელი ტერმინებია. ამასთან შეიძლება დაიძებნოს დანტესთან შემოქმედებითი შეხვედრის მაგალითი გალაკტიონის ისეთი ლექსის მაგალითზე, როგორც არის “უსიყვარულოდ”.

ანა კალანდაძის პოეზიის მასაზრდოებელია ბიბლია, ღვთისმეტყველთა ნააზრევნი, სასულიერო პოეზია, მეოცე საუკუნის ქართველ წინაპართა რელიგიური მოტივები.

პოეტი “მიწის წიაღით და ცათა სიღრმით” უხმობს “ნათელს იებით ყელამდე სავსეს” (“მირკანის თვეში”).

“წმინდა სავანეს” მოიხილავს “არ მიწიური კავშირისთვის, არამედ ...ცისა!” (“შუადამისას მოვიხილე”).

ანა კალანდაძის ლირიკული პერსონაჟი შუადამისას ელის “სიძეს”, ქრისტეს (“ნაძვების თავზე”).

ღმერთის მაღლს, იმედად გამოვლენილს, ხედავს მიწაზე ცის და მიწის შემართებელ სიყვარულად: “ცათა მაღალთა მაღლი შუქმოწკრიალე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს. ითინათებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყვარული იხმოს” (“ცათა მაღალთა მაღლი”).

ღმერთი – სიყვარული – სხივისა და ცისკრის სახით ცხადდება, უმისოდ კი სიბნელე და ჭაობია ცხოვრება: “ხშირად – სხივი და ცისკრის გაღება, ხშირად – ჭაობი, მრუმე წყვდიადი!” (“და დაიბანა ხელი პილატემ”).

ღვთაებრივ ჯრუჭულას მთაზე, წმინდა მამების სავანეში, გაურკვეველია, ვარსკვლავი ბრწყინავს თუ ზეთი უნთიათ ჯრუჭის ოთხთავზე მიჩერებულებს, ტამარში ანგელოზები ისადგურებენ, კამკამა წყლის ლურჯ ჩქერში კი მოჩანს “უსწორო სხივშარავანდი” წინაპართ ნათელი სულისა: “კვალად თანა სდევს შენს კამკამა წყალს მოაქამომდე, შენ ლურჯთა ჩქერთა, სხივშარავანდი მათი უსწორო, ნათელი სული წინაპართ ჩვენთა”...

სახარების სიბრძნის კვალობაზე პოეტი ასკვნის: “ყოველთა დიდი არს სიყვარული და... არაფერი არ არის მეტი!”

“ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი?” – კითხულობს ლექსის ფინალში, რადგან აშკარად იგრძნო წინაპართა წმინდა სულის ცხოველმყოფელი ნათელი” (“ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ?...”).

ანა კალანდაძეს მრავალგზის დაუფიქსირებია თავის ლექსებში უზენაესთან მიახლების განუზომელი სიხარული და ამ “საუფლო შეყრას” არასოდეს ივიწყებს: “შეყრა – მაღალი, მხოლოდ საუფლო და... არასოდეს გამოთხოვება!” (“უცხოთ მოჩითულ ბაღჩა-ბაღებზე”).

გოეთე წერდა: “ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგყოლია, მონაგონი, ნამდვილი თუ ზღაპრული, მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია, თუ არ არის სიყვარულით შეკრული” (6, 256).

“გიყვარდეს კაცთა მოდგმა, მისდიე ღმერთს”, ასეთი იყო მარკუს ავრელიუსის რჩევა (7, 160).

მერაბ კოსტავა საუბრობდა “სიყვარულის გრადაციაზე”, მოყვასის სიყვარულზე, რაც ღმერთისადმი სიყვარულის საწინდარია, სულიერი სიყვარული კი – “კოსმიურ ჰარმონიასთან”, “სფეროთა მუსიკასთან” ზიარების გზა.

“როგორც სიყვარულის სულები _ სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთიანად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო”, წერდა მერაბ კოსტავა (8, 56, 57).

“ბჰაგავად-გიტას” ავტორი ცდილობს მოარიგოს და შეათანხმოს ადამიანური პროგრესის სამი გზა: გონების, ანუ ცოდნის გზა, მოქმედების გზა და გზა რწმენისა. უპირატესი ყურადღება რწმენას ეთმობა (ჯავაჰარლალ-ნერუ) (9, 118).

რწმენას, სიყვარულს უჭირავს უმთავრესი ადგილი ანა კალანდაძის ლირიკაში, რამაც იგი განსაკუთრებულად გამოარჩია ღმერთისუარმყოფელ ეპოქაში.

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
2. “გზა სამეუფო”, 1994, N1.
3. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თბ., 1941.
4. იოანე პეტრიწი, “სათნობათა კიბე”, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1968.
5. პლატონი, “ნადიმი”, თარგმანი ბაჩან ბრეგვაძის, თბ., 1964.
6. გოეთე, “რჩეული ლირიკა”, გერმანულიდან თარგმანი, შესავალი, წერილი და კომენტარები აკაკი გელოვანის, თბ., 1972.
7. მარკუს ავრელიუსი, “ფიქრები”, თბ., 1978.
8. მერაბ კოსტავა, “ფიქრები საქართველოს მისიაზე”, თბ., 1991.
9. “ბჰაგავად-გიტა” როგორც ასეთი, თბ., 1991.

თავი II.

შემოქმედების მთავარი წყარო – ბიბლია

ანა კალანდაძის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი წყაროა ბიბლია, რომელიც მარადიულია მხატვრული, ესთეტიკური, სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური ასპექტებით, მკაცრი რეალიზმითა თუ მისტიკით. რაოდენ მწირია ამ საუნჯეზე უარისმთქმელი გონება.

გოეთე ბრძანებდა: “ოთხსავე სახარებას ნამდვილად ვრაცხ, რამეთუ მიმაჩნია მაინც უმაღლესობის გამოსხივებად, რაც ქრისტეს პიროვნებიდან გამომდინარეობს. უზენაესი სულიერი ძალისხმევის პირმშოა და იმდენად ღვთაებრივი ხასიათისაა, რამდენადაც საერთოდ დედამიწაზე რაიმე ყოფილა. თუ ვინმე მკითხავს, შეგიძლია თუ არა მის წინაშე კრძალვით მუხლი მოიყარო, ვიტყვი, სავსებით, მე მუხლს ვიყრი მის წინაშე, როგორც თავისთავად ზნეობის უზენაესი პრინციპის გამოცხადების წინაშე” (1, 232).

თუ როგორ “ესადაგება” ბიბლიური სახეები და სიუჟეტები ანა კალანდაძის “გულისთქმას”, ამაზე ვრცლად საუბრობს პოეტი წერილებში: “ჩემი გულისთქმა ხშირად ესადაგება ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნული წიგნებიდან, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმიდან. ამიტომაცაა, ალბათ, ბიბლია შთაგონების უშრეტი წყარო ყოველი დროისა და ყოველი ეპოქის ხელოვანისათვის” (2, 344, 345).

ბიბლიური სახეები და სიუჟეტები პოეტისთვის ყოველთვის აქტუალური და შინაარსით მდიდარია: “ბიბლიური სახეები და სიუჟეტები დღევანდელობას გასაოცარი აქტიურობით ეხმაურებიან, გასაოცრად ესადაგებიან ხოლმე დღევანდელი ადამიანის განცდებს და განწყობილებებს. ბიბლიაში ხომ... დუღს და გადმოდუღს ნამდვილი ცხოვრება... ესაა... პლასტიკით, მოძრაობით და კოლორიტით, ცოცხალი

სახეებით აღსავსე თქმულებათა კალეიდოსკოპი... ბიბლიის შინაარსი ისევე მდიდარია, როგორც თვით ცხოვრება” (იქვე).

ბიბლია უწმინდესი წიგნია, მარადიული სიბრძნის საწყაო: “უწმინდეს წიგნში წერია ასე (სად არც რა წახდა და არც რა გაცვდა): ნასუფრალითო ძლებიან ძაღლნი, როგორ იკადრონ იგივე კაცთა?”

ანას პოეზიაში საყურადღებოა ბიბლიური სამოთხის, სიცოცხლის ხის, შორეული და შეუცნობელი ცის, წყაროს, გზის, მზის, ნამცის, შორი ყვავილის სიმბოლიკა. პოეტის ინტერესის საგნად ქცეულა ბიბლიური პერსონაჟების წინასწარმეტყველების სიბრძნე. მის ლექსებში ფიგურირებენ კაენი, აბელი, აბრაამი, ნოე, იაკობი, იობი, დავითი, სოლომონი, სულამითი, ელისე, ეზრა, იერემია.

ანას პოეზიაში გვხვდება ახალი აღთქმის სახეები, იგავები, მოტივები, ფრაზები.

სიმბოლური, იგავური აზროვნება პოეტს გაუთავისებია ბიბლიიდან.

ანა კალანდაძის სიმბოლიკა ქრისტიანულია და ნასაზრდოებია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით. ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის სახისმეტყველება წმინდა წიგნების სახეებთან შემოქმედებითი დამოკიდებულების შედეგია (3, 165-218).

პოეტის სტუდენტობის წლებში ბიბლიის უბრალო ხსენებაც კი მიუტევებელ დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ ძველი ქართული ენის შესასწავლად თბილისის უნივერსიტეტში, მეორე კურსზე ეცნობოდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, უიმისოდ ძველი ქართულის შესწავლა ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

პოლიკარპე კაკაბაძე ანას ურჩევდა, ხშირად ეკითხა ბიბლია, რომ “საღვთო წიგნებთან შემაერთებელი ძაფი არ გაწყვეტილიყო” (2, 77).

ათეიზმის ზეობის ჟამს ინტერესი რელიგიისა და ტაძრებისადმი, რითაც გამოირჩევა ანას პოეზია, თვით სასულიერო პირთა გაოცებას იწვევდა.

პოეტი იგონებს: “ერთხელ სიონის ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მეუფე კონსტანტინე მელიქიძემ მითხრა, ტაძრებზე ბევრს წერთო. დიახ, _ მივუგე, უნივერსიტეტში ვსწავლობ და... _ არა! _ ხმას აუწია მან _ ეს თქვენში უფრო ადრე იყო.

“ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი”, – ასკვნის ანა თავისივე ლექსის სტრიქონებით (4, 77).

ბიბლიაზე ფიქრი, მასზე დაკვირვება პოეტის შთაგონების წყაროდ იქცეოდა ხოლმე. ოშკის ბიბლიის (X ს.) ნუსხურ ტექსტზე მუშაობამ ბევრი რამ მისცა პოეტს: “აქედან იყო მობერილი ჩემი განწყობილებაც ამ ლექსის შესაქმნელად – “ვერავინ ამჩნევს შენსა მშვენებას” (ლექსი 1962წ. დაიწერა) (4, 37).

სწორედ პოეტის ქრისტიანულმა რწმენამ, რელიგიურმა მსოფლშეგრძნებამ მისმა “რელიგიურმა ჰიმნებმა”, ბიბლიასთან სიახლოვემ ადაფრთოვანა გერონტი ქიქოძე (5, 4), და მისი ყველა მკითხველი 1946 წ. მაისში.

ანას “ღვთაებრივი ზედაშე”, მისი “მშვენიერი ლოცვები” სიხარულით, პოეტის ლექსების ახალ-ახალი მონატრებით ავსებდა ალ. აბაშელს (6, 3).

ლიტერატურა

1. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, ბათუმი, 1988.
2. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ., 1987.
3. ლუარა სორდია, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
4. ანა კალანდაძე, ტ. 2, თბ., 1995.
5. ანა კალანდაძე, ტ. 1, თბ., 1995.
6. გაზ. “კომუნისტი”, 1981, 25 სექტემბერი.

პოეტის კუმირები

ანა კალანდაძის შემოქმედებას უშორესი წყაროები აქვს. მრავალი კუმირი ჰყავს პოეტს თანამედროვეთა და წინაპართა შორის. იგი არჩევანს აკეთებს რელიგიურობით, ზნეობრივი სიწმინდით, პატრიოტიზმით გამორჩეულ მოღვაწეებზე. ამ შემთხვევაში დრო და მანძილი დაიძლევა სულიერი ერთობით, ანალოგიური ინტერესებით.

ანას სულიერ წინამორბედად უნდა მოვიაზროთ პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). მის მოძღვრებასთან აახლოებს პოეტს სიკეთე-ბოროტების ურთიერთობის გააზრება, სიკეთის მარადიულობის რწმენა, ინტერესი უზენაესის, სულიერი არსებების, ანგელოზ-სერაფიმების, ქერუბიმებისადმი, ნათლის ესთეტიკა. ძალზე საგრძნობია ამ დიდი ფილოსოფოსის ნააზრევის შემოქმედებითი გამოსხივება ანას შემოქმედებაში.

ვფიქრობთ, დიდი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერის ნააზრევის სხივ-ქვეშაც მწიფდებოდა ანა კალანდაძის ორიგინალური მსოფლშეგრძნება და შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ ზმანების საშუალებით არის წარმოჩენილი მისი სიდიადე ლექსში – “ვნახე ზმანება”: მზისფერმოსასხამიანი უცნობი ჭაბუკი პოეტს სამ წიგნს სთავაზობს, რომელთაგან ერთ-ერთი პეტრე იბერის მზიური წიგნია, თვით მსოფლიო მასშტაბით უბადლო: “...იბერის იყო ერთი წიგნი, მზე რომ უძლოდა, პეტრე იბერი... თუ ჰყავთ სხვებსო, მკითხა უცნობმა. არათუ მავანთ, ვუპასუხე, ძველად და ახლა ძნელად ბადალი ჰყავდეთ მისი მსოფლიო ხალხებს” (“ვნახე ზმანება”).

XX საუკუნის ქართული პოეზიის დედოფლის მკვებავი წყარო გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების, “ქებაის” ავტორის – იოანე ზოსიმეს მიერ ლაზარედ სახელდებული უძველესი ქართულის შორეული მდინარიდანაც მოედინება.

გრიგოლ ხანძთელის სახელთან დაკავშირებული ოშკის ათასწლოვანი ტაძარი, რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა, მაინც ღაღადებს ქვეყნის დიდებას,

მაღალი სიბრძნის სინათლეს ანთებს, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელებს, იოანე ზოსიმეს აჩრდილებს მოგვაზმანებს, ლაზარედ პერსონიფიცირებული უძველესი ქართულის ნელსურნელებას გვაზიარებს: „ოშკის მძლე ტაძარო, ათასი წელია, დგახარ და ღაღადებ... კვლავ ანთებ ჩირაღდანს, კვლავ მზემდე მალღებდი, მრავალჭირნახადო! კვლავ შენი სარკმლებით მაღალი სიბრძნისა ინთება სინათლე... კვლავ თავზე ევლება აქ ქართულ ასოებს აჩრდილი იმათი, მორჭმულთა მამათა, _ გიორგის, ექვთიმეს, ლაზარეს, ზოსიმეს... ათასი წელია, მხესავით გვიბრწყინებ, შარავანდმოსილო!“ („ოშკის მძლე ტაძარო“).

მოწიწებით მოიხსენებს პოეტი „სიკეთის მთესველთა“, მაღალ გულსა და გონებას, რომელნიც მარადიული ნათელით ბრწყინავენ, „მაღალი შარავანდი“ ადგათ: ესენია მთაწმინდელები, მოდრეკილები, მერჩულები _ საბედნიეროდ, იყვნენ ასეთი ნებაყოფლობით თავშეწირულნი: „ესმოდათ აღსავლის კართან ქვეყნად სიკეთის მთოველთა, მათ გულს და მაღალ გონებას: „მშვიდობა, მშვიდობა ყოველთა!“ და ედგათ მარადი ნათელი დაუღლეღლთ და დაუცხრომელთა... ამბობდნენ მრავალგზის რბეულნი: „მშვიდობა, მშვიდობა ყოველთა!“ გვერდთ ახლდათ ოლომი და არწივი იმათაც _ დათრგუნვად „ეჭუთა“...”

შემთხვევით არ თავდება ლექსი ასეთი მოწოდებით: „მიხედეთ მათ მაღალ შარავანდს“, _ მთაწმინდელო, მოდრეკილო, მერჩულთა”...

პოეტისათვის მარადიულად ბრწყინავს „ნათელთა კაცთა გრძნეული ხომლი“ („განდიდებულა მათით ქვეყანა“).

შეკყურებს რა წარსულის წმინდა საუფლოს, მათ შვილთა მაღალ ვალდებილებაზე ფიქრობს, მივიწყებულ ადგილებში ისევ წმინდა ლამპრის ანთება და უზენაესის განდიდება ეოცნებება: „შეკყურებ შენს წმინდა საუფლოს, ციცაბო კლდეთა დახრამულ კალთებს... ო, ჭეშმარიტად, ო, ჭეშმარიტად, რომ შვილთა შენთა სხვა სიტყვა მართებთ, _ კვლავ აღადგინონ, კვლავ განადიდონ მწუხარებითა ქვაბი ავსილი, აუწყენ: იმედს, რომელსაც ეძებს, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ასხივებს:

აჰა, ზეგარდამო მოჰფინონ სხივი მივიწყებულთა ამა ადგილთა, აანთონ შიგა წმინდა ლამპარი, არსება მისი კვლავ განადიდონ!” (“შევეყრებ შენს წმინდა საუფლოს”).

ჯრუჭულას ღვთაებრივ მთაზე დანახული ბრწყინვალება ვარსკვლავისაა, თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი? – კითხულობს პოეტი და წარმოიდგენს, რომ სპეტაკ სავანეში დამკვიდრებულ სულიერ მამებს გადაშლილი აქვთ ჯრუჭის ოთხთავი, მათ ეცხადებიან ანგელოზები და ტაძარში ისადგურებენ.

წყლის ლურჯ ჩქერშიც კი მათი ნათელი სული, მათი შეუდარებელი შარავანდედი ირეკლება: “კვალად თანა სდევს შენს კამკამა წყალს მოაქამომდე შენს ლურჯთა ჩქერთა, სხივშარავანდი მათი უსწორო, ნათელი სული წინაპართ ჩვენთა...”

წმინდა კაცების სულიერი ღწვა ბიბლიურ სიბრძნეს ჩააგონებს: “ყოველთა დიდი არს სიყვარული და... არაფერი არ არის მეტი!” ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ, თუ... წმინდა მამებს უნთიათ ზეთი?” (“ვარკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ?”).

ანა კალანდაძეს განსაკუთრებული სულიერი ნათესაობა აქვს დავით გურამიშვილთან, რაც გამოიხატება ღრმა რელიგიურობაში, სულიერი ცხოვრებისადმი, ფილოსოფიური პრობლემებისადმი ინტერესში.

ლექსი “დავით გურამიშვილი” კითხვის ნიშნებით დაყრილი ლექსია. ცნობის-მოყვარეობას აღძრავს ლამისყანიდან მუშაობისას გატაცებული პოეტის შემდგომი ცხოვრება. მშობლიურ ადგილებში პურს ლეწავდა, ბალახს თიბავდა, ქართველი ქალის ეშხით იწვოდა, უცხო გარემოშიც კი თითქოს ქართული მუხის შრიალი ესმოდა, მზედაკრულ ვენახებს ხედავდა, მშობლიური წყლით დარწყულება ეწადა, მაგრამ ამაოდ...

“მთებს თუ ესმოდა შენი ძახილი, რაღაც მდუმარე ნაღველით სავსე? ყვავილი წყაროს თავთან დახრილი მერე არასდროს ჩასულა წყალზე. მას თუ ესმოდა შენი ძახილი, რაღაც უთქმელი ნაღველით სავსე?... ეს ბილიკები გადაგატარეს და შორეული ლურჯი ქედები, ლამისყანაში ცისკრის ვარსკვლავი შენი თვალებით თუ იხედება?” ასეთი პოეტური შეკითხვებითაა სავსე ლექსი.

მოსკოვში, ვსესვიატსკოეში, სულხან-საბას საფლავს არც ღირსეული წარწერა ამშვენებს, იგი იქ “სადღაც არის”, ხოლო ამ ქართული ტაძრის კედელზე მიმაგრებული თუნუქის ფირფიტა მოკლედ იუწყება: “არქიტექტურის ძეგლი”.

გასაგებია, რისთვის დასჭირდა ლექსის ავტორს ასეთი ეპიგრაფი. ამ ბრძენკაცს რუსეთში არავინ მიაგებს პატივს, მხოლოდ უბრალო მლოცველებს ახსოვთ, რომ ის ქართული ტაძარია, ჩვენი მამაპაპების საძვალე, ოფიციალური ხელისუფლება კი ამის შესახებ არც მიანიშნებს: “წირვის ჟამია, ქართული ფრესკით ჩვენთან უხილავ სიმებს აბამენ... აქ სადღაც ბრძენი სულხან-საბაა, ფეთქავს უკვდავი ქართული ფესვი. იმზირებიან მლოცველნი ჩვენსკენ, ლურჯთვალათ სადა მოსავთ კაზანი: ქართულიაო ტაძარი ესე, აქ წვანან თქვენი მამაპაპანი!”

იქ მასპინძლებად უკვე სხვები ქცეულან და სტუმრად მისული ყოფილი მასპინძლების შთამომავალთ “სამხრეთული იერით” ცნობენ, “დარეჯანის სახლში მოხვედითო”.

ვ. გურგენიძე იგონებს: 1958 წ. მოსკოვის ქართული დეკადის მონაწილეებს გალაკტიონ ტაბიძეს და ვახტანგ გურგენიძეს, მოუნახულებიათ ქართველთა დონის მონასტერი. გალაკტიონი ყვებოდა, თუ როგორ მოატყუა პეტრე დიდმა ვახტანგ VI, როგორ დააცარიელა საქართველო (ემყარებოდა ზაქარია ჭიჭინაძის ნარკვევს), თურმე ბარგი 120 ურმით მიჰქონდათ, 40 ურემზე ძველი ქართული უძვირფასესი ნივთები, წიგნები, ხატები და სიგელ-გუჯრები იყო მოთავსებულიო.

მონასტერში ძვლებიც კი ამოყრილი იყო იქ დასაფლავებულთა (არჩილი, ვახუშტი).

გალაკტიონი ამბობდა, “აგერ, გრიბოედოვს რა პატივი დასდეს მთაწმინდაზეო” (1, 13).

ასევე გაპარტახებული ყოფილა ქართველთა ეკლესია “ვსესვიატსკოე”. ამაოდ უძებნიათ სულხან-საბა ორელიანის საფლავი ტაძრის შიგნით... მიწასთან გასწორებული ყოფილა ეკლესიის გალავანში სასაფლაოც (1, 14).

ნახულით და განაგონით აღშფოთებული გალაკტიონი საბჭოთა პოლიტიკას აკრიტიკებდა, რომელიც მცირე ერების საპრობილედ ქცეულიყო და პატარა საქართველოს ენის, დიდი კულტურის ნაკვალევის წაშლას, მის ასიციმილაციას ცდილობდა.

ილია ჭავჭავაძის ეროვნული ტრიადა: “ენა, მამული, სარწმუნოება” ანა კალანდაძის უპირველესი საზრუნავია.

ილიას სიბრძნეს, მის საქრესტომათიო ჭეშმარიტებებს არაერთგზის იმოწმებს ანა. პოეტ ქალს აინტერესებს გრძნობა-გონების მიმართების პრობლემა, თუ როგორ ანადგურებს ბოროტი გული გონებას, მითუმეტეს, თუ ის ნასწავლია, მისი ცოდნა სამშობლოს დამანგრეველ ძალად იქცევა. ამ შემთხვევაში ილიას აზრის დამოწმება ხდება: “თუ... კაცის სული... ყრუ და ბნელია, გული ბოროტი გონებას თრგუნავს, საშიში არი მის ნასწავლობა: სამშობლოვ ჩემო: მიიღებ უნასს და დამანგრეველ ვულკანის ძალას... საშიშიაო, ილიამ ბრძანა” (“ილიამ ბრძანა”).

ილიას აჩრდილი არაერთგზის აედევნება პოეტს, რადგან ანას სული ისეთივე ღრმა და დიადია, როგორც ჩვენი დიდი წინაპრისა. სულიერი შეჭირვებისა და მარტოობის ჟამს ილიას “ჩემო კალამოს” ინტონაციები გაკრთება ანას პოეზიაში. ლექსს “სად მიდრკეს თავი?” – ეპიგრაფადაც ილიას სტრიქონები უძღვის: “...ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო”. ლექსში სამჯერ მეორდება ეს საშვილიშვილო ტკივილი: “ოდეს გონების სხივი ბნელდება, აღარ გამოკრთის მისი ციალი, “კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო” და “გრძნობა ჩემი განვუზიარო”. ჩაუსისინებს ცივქარი ვარდებს – არა, მეფობა არ თქვათ სვიანი! “კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო” და “გრძნობა ჩემი განვუზიარო”. “მისა კაცისა სად მიდრკეს თავი? მიუსაფრობა – მისი მწე არი! “კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო” და “გრძნობა ჩემი განვუზიარო”.

საქვეყნო ტკივილებზე საუბრისას ახსენდება ილიას ფრაზები: “ზეცას გართმევენ ძალით!” “რას შემამთხვევს, ვინ იცის, აზრი შენი ცივი წყლის? ...ჰოი, გვედრებ,

მდინარევე, იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!” ...“წყელვა-კრულვიანი საკითხავი”, “თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი?!” (2, 105).

ცნობილია ანა კალანდაძის ფშაური ციკლი, განსაკუთრებული სიყვარული ფშავისადმი, რაც, უპირველესად, ინსპირირებულია დიდი ვაჟას გენით. ხევსურეთს, ფშავს, თუშეთს ანამ უდიდესი პატივი მიაგო., პოეტმა ქალმა თავისებურად გააგრძელა ვაჟას ტრადიციები, გაითავისა მთა, იქაურ მცხოვრებთა ფსიქიკა, სატკივარი, ასევე შეძლო მოეხელთებინა ფშავური კილოს ხიბლი.

ანა ცდილობს წარმოაჩინოს ფშავი, ვაჟა, როგორც მთების სიამაყე: “მე ვნახე შენი ლამაზი ფშავი – ბუმბერაზ მთებითა... მე ვნახე შენი ფშაველი, კაფიობს ტკბილი ენითა... მოშხუის ფშავის არაგვი, არ დაილლება დენითა... ხასხასებს ლურჯი ბალახი, გულს რო იფენდი ხელითა... ქუჩი ციხე-გორს შემომხვდა, ეამაყება შენითა...”

მთავარი სათქმელი ლექსის ბოლოში ამოიკითხება: “ჯაფნაგის გორთან გადმოდგნენ ღვიები ქალამნიანი... მთავ ბუმბერაზო, მიილე ჩემიც... სალამი გვიანი”... (“ვაჟას”).

ეს ნაგვიანევი მისალმება დიდი წინაპრისადმი შემთხვევითი როდია, ვაჟას პოემა “ანა-ბულბული” ხომ ობოლი გოგონას ჩიტად ქცევაზე მოგვითხრობს და როგორც გურამ ასათიანი სწორად შენიშნავს, თითქოს წინასწარმეტყველებაა მომავალში ღირსეული პოეტი ქალის მოვლინებისა.

ვაჟასა და ანას სულიერი სიახლოვე, მათი შემოქმედებითი კავშირების შესწავლა ჯერჯერობით საწყის სტადიაზეა, მისი საფუძვლიანი კვლევა მომავლის საქმეა.

ლადო ასათიანისა და ანა კალანდაძის სულიერ ნათესაობაზე არაერთგზის მიუნიშნებიათ.

ლადოსადმი მიძღვნილ ლექსში “სასაფლაოს გაზაფხული” ლადოს სიკვდილი გააზრებულია, როგორც საუკუნო ძილი, არა სიკვდილი, არამედ ქარიშხლიანი სულის ბოლო. შემთხვევითი არც ფიროსმანის ხსენებაა, მათი ტრაგიკული ხვედრის გამო: “მე

ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა, ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩქროლებს... არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს... სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან, ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო... ფიროსმანი? ფიროსმანიც მოვა, რათა შენს სევდიან, თბილ სამარეს ეამბოროს”.

სასაფლაოს დარაჯები არიან მზე, აკაცია, ყვავილები, ქარი, მშობლიური ცა, ცვარი, ნაძვები...

ამ ორ პოეტს ანათესავებს ისტორიზმი, წარსულის მძაფრი განცდა, წინაპრებთან ორგანული ერთიანობა.

ანიკო ვაჩნაძისთვის უთქვამს გიორგი ქუჩიშვილს: “ისეთი ლექსი წაიკითხა ანა კალანდაძემ ლადოზე, რომ იმ ლოდის ქვეშ ბევრი ინატრებდა ყოფნასო”... (2, 341).

ლადო ასათიანის დაბადების 60 წლისთავზე ანა კალანდაძეს ცოცხალივით განუცდია ლადო, ყველგან შეუნიშნავს მისი მზერა, გაუგონია წინაპრის ხმა, წარმოდგენით მასთან ერთად მჯდარა სახლის აივანზე და მოუსმენია საქართველოს სადღეგრძელო. ეს ერთი იმ იშვიათზე იშვიათი განცდათაგანია, რაც მხოლოდ სულიერი ნათესაობით მყარდება ხოლმე ცოცხალსა და მიცვალებულს შორის.

აი, რას წერს ანა ლადო ასათიანის შესახებ: “ყველგან მის მზერას ვაწყდები დღეს, – ცხენისწყლის უსაზღვრო სივრცეებში, თუ ნამკაშურის გადასახვევთან, მურის ციხესთან, თუ ბარდნალას ვიწრო ორღობეებში... მის ეზოში დღეს პირველად შევდივარ, პირველად ვხედავ მის პაწაწინა ოდას, პირველად ვისმენ მის ხმას მოზეიმე ნიავის ქროლვაში, იმ ხმას, რომელიც არსად, არასოდეს არ მსმენია”.

“ლადო ასათიანი ჩვენთან ერთად უზის აივანზე გაშლილ სუფრას მისი დაბადების 60 წლისთავზე და სათაყვანებელ სადღეგრძელოს ამბობს – “საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს”... საქართველოს ძლიერებას მხოლოდ და მხოლოდ მისთანანი ქმნიან” (2, 374).

ანა კალანდაძის მიმართება წინაპარი თუ თანამედროვე კლასიკოსებისადმი ყოველთვის შემოქმედებითია და გამორიცხავს ვინმეს ეპიგონობას. წინარე ეპოქების მემკვიდრეობას იგი ყოველთვის ითავისებს.

გოეთე ბრძანებდა: “...ჩვენც გულმოდგინედ უნდა ვისწავლოთ როგორც მათგან, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდა, ასევე მათგან, ვინც ჩვენს გვერდით ცხოვრობს. თვით უდიდესი გენია ვერაფერს გააწყობს, მარტო თავისთავს რომ მიენდოს”...

“...და საერთოდ რაღა სიკეთე იქნებოდა ჩვენში, თუ არ გაგვაჩნია ძალა და მიდრეკილება, რომ გარესამყარო გავითავისოთ და ამაღლებული მიზნებისათვის გამოვიყენოთ მისი ძალები ? ”

“...მეხილა და მესმინა, ამერჩია და გამერჩია... გაგონილი მომესმინა, ნანახი დამენახა... და ეს ყოველივე გადამეხარშა, ახლად შემექმნა... ჩემს ნაშრომებს მე ვუმაღლი არა საკუთარ სიბრძნეს, არამედ ათასობით საგანს, ათასობით ადამიანს, რომლებიც მასალით მამდიდრებდნენ... მე ისღა მრჩებოდა, დავმჯდარიყავი და მომემკო ის, რაც სხვებმა დათესეს”.

“არსებითად სისულელეცაა იმის განსჯა, რა აქვს ადამიანს საკუთარი და რა გადაუღია სხვებისგან; მის მიხედვით მოქმედებს სხვა თუ სხვის მიხედვით მოქმედებს თვითონ: მთავარი საქმეა გქონდეს ნებისყოფა, უნარი და საკმაო დაჟინება, რომ განზრახული მოაწესრიგო” (3, 241-242).

“ჭეშმარიტად მშვენიერ და დიდების ღირს ასპარეზობას უწოდებს ფსევდო-ლონგინე პლატონის შემოქმედებით მიმართებას ჰომეროსთან და ამტკიცებს: “პლატონი... უკლებლივ იერთებს ჰომეროსის ცხოველმყოფელი წყაროდან მომდინარე ურიცხვ ნაკადულს” (4, 131, 132).

გალაკტიონის პოეტური გენიით XX საუკუნის ყველა ჭეშმარიტი პოეტი იყო დამუხტული. გალაკტიონთან ანას ნათესაობა ჯერჯერობით სავსებით შეუსწავლელია. ერთი რამ ცხადია: პოეტების მეფის შემოქმედებით ინსპირირებული ბევრი რამ არის ანას პოეზიაში, მაგრამ იგი ყოველთვის რჩება თავისუფალი,

განუმეორებელი. მათი სულიერი ერთგვარობა, ერთგვარი ინტერესები, რელიგიურ-ბიბლიური სამყაროდან იღებს სათავეს.

გალაკტიონის ხსოვნას ეძღვნება ანას “ო, იდუმალი არხევს კვიპაროსს”.. მასში წარმოიდგინება, პოეტის ლამაზი სული როგორ შორდება საგაზაფხულო მიწას, როგორ მიაცილებენ მას “ზამბახები ჩუმი ეტლებით, ბეთანიის ლურჯი იები, ანგელოზები პერგამენტებით”... მიწაზე კი ყველაფერი გალაკტიონის “მთვარეულ შუქთა მკრთალი მძივებითაა” სავსე.

“მარადისობის პერგამენტები” ცაში მიაცილებენ, მისი მეფური სული კი ლურჯა ცხენების საუფლოშია, მარადისობის ღრუბლით იფარება “და იდუმალი არხევს კვიპაროსს.”

პოეტის მარადიულობის რწმენა მსჭვალავს ლექსს: “უკვდავი სული მშვენიერების საუფლოშია ლურჯა ცხენების, მარადისობის ღრუბლად იფარვის და იდუმალი არხევს კვიპაროსს”.

ყურადღებას იქცევს მარადიული დაბრუნების თემაც: “მთვარეულ შუქთა მკრთალი მძივებითაჲ ყველაფერი ისევ სავსეა. ის დაბრუნდება მთვარის სხივებით, ისევ, პირიმზევ, ეს ხომ ასეა?”

ანა კალანდაძის ხსენება უპრიანია მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან, გალაკტიონთან მიმართებაში, პოეტი ქალის სიდიდისა და განსაკუთრებული როლის გამო.

“ქართული ლირიკის განვითარების ერთი ასპექტი” – ასე უწოდა პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ თავის გამოკვლევას, რომელშიც ერთმანეთის გვერდზე განიხილა ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და ანა კალანდაძის პოეზია ისე, რომ სამივე კლასიკოსის განსაკუთრებული ნიჭიერება და ორიგინალობა წარმოაჩინა (4, 257, 270).

ასევე ხაზი გაუსვა მკვლევარმა იმ ჯანსაღ შეჯიბრებას ფშაველ გენიოსთან, რაც მხოლოდ ისეთ თავისთავად ნიჭს და გამბედაობას მოითხოვდა, როგორც მომადლებული იყო XX საუკუნის ქართული პოეზიის დედოფალი.

ეს პრობლემა, ჯერჯერობით, სიღრმისეულად შესწავლილი მაინც არ არის და ელის თავის მკვლევარს.

ლიტერატურა

1. ვახტანგ გურგენიძე, გალაკტიონი მოსკოვის ქართულ დეკადაზე, თბ., 1996.
2. ანა კალანდაძე, ტ. 2, თბ., 1995.
3. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, ბათუმი, 1988,
4. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის” , თბ., 1975.
5. გრიგოლ კიკნაძე, ქართული ლირიკის განვითარების ერთი ასპექტი, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.

თავი III

ანა კალანდაძის პოეზიის მკითხველი და გადამკითხველი

“არის მკითხველი მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ გადამკითხველი”

გალაკტიონ ტაბიძე

ანა კალანდაძის პოეზიაში სრულად აირეკლა ის დაპირისპირება, რაც არსებობს ხოლმე თავისუფალი სულის შემოქმედსა და ტოტალიტარულ ხელისუფლებას შორის: ამასთან, ჭეშმარიტი პოეტის თანამდევნი იყო ხელმოცარულთა შური, ღვარძლი, ცინიზმი.

ურთულესი და უმაღლესი გზით მავალს პრიმიტივთა გნიასიც ასდევნებია, გაუცხოების ტკივილიც გამოუცდია სხვათაგან განსხვავებულს, რადგან, პლატონს რომ დავესესხოთ, “უმრავლესობის ხორციელ თვალებს არ ძალუძთ ღვთაებრივის მზერა.

სიმაღლით წამებასა და სიდიადეზე საუბრობს გალაკტიონი ლექსში “ისევ ეფემერა”: “მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტყდება ჩინარი. როგორც ჩინარი – ისე პოეტი, მისთვის სიმაღლე არის წამება, არა ღიმილით და ალოეთი დაფარავს მტერთა ცილისწამება” (1, 228).

ცილისწამება, ზაკვა, შური, ოპონენტების სიბეცე მოჯადოებულ რკალს ქმნიდა ანა კალანდაძის გარშემო.

ადიარებული ლირიკოსის სტილურ სიახლეს განაპირობებდა ძველქართულ დარბაისლურ მეტყველებასთან შემოქმედებითი კავშირი, რაზედაც ხელმოცარულნი, იოლი გზით მავალნი, ხშირად უკიჟინებდნენ: “ო, ბატონებო, იგი ჯამბაზობს: Lსურს

ძველთა სიტყვათ გაცოცხლებანი – გვეკვლევა! კარგად განსაჯეთ, არ აღუვლინოთ ქებათ-ქებანი – არ არის მზის ქვეშ სხვა სასწაული, არც მთვარის ქვეშ რამე ახალი! იპოვოს გული წმიდამან ცრემლმან და მეუფება თვისი ახაროს!”

კონსტანტინე გამსახურდია მაღალ მატერიებზე, საქართველოს თანამდევ სულებთან საუბრისას სწორედ ძველი ქართული ენის სალაროდან კრებდა სათქმელის შესაფერ დარბაისლურ ლექსიკას, ქმნიდა ამაღლებულ სტილს და “აქანაი-მაქანაის” ენას ემიჯნებოდა, რის გამოც არც მას აკლდა ჩასაფრებული ოპონენტები.

ანა კალანდაძის განსაკუთრებული, სულიერი სიწმინდის მაუწყებელი სათქმელი ამაღლებულ სტილს მოითხოვდა, მისეული დიდბუნებოვანი ადამიანებით დასახლებული სამყარო, რწმენის, სულიერების საუფლო ხშირად გაუგებარი და მიუვწვდომელი იყო პროლეტარული “კულტურის” გამფეტიშებელთათვის.

ფსევდო-ლონგინე ბრძანებდა: “რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიდბუნებოვანსა და სულიერ სიღრმეებსა და სიმადლეთა წვდომის ნიჭით ცხებულ ნატურებს” (2, 182).

ამაღლებული გრძნობის ამაღლებული სტილი სიტყვიერ ჰარმონიას მოითხოვს: “სიტყვიერი ჰარმონია ამაღლებულსა და ჭეშმარიტ ვნებათა გამოვლენის განსაცვიფრებელ საშუალებად გვევლინება”.

“ამაღლებული სტილი ვერ იგუებს მდაბიურ სიტყვებსა და უწმაწურ გამოთქმებს: ამაღლებულს ბღალავენ მდაბალი სიტყვები და გამოთქმები” (2, 198).

ერთუჯრედიანები, დილექტანტები იწუნებდნენ ანა კალანდაძის ლექსიკას, მათ არ ძალედვათ იმ მაღალ სამყაროსთან მიახლოება, სადაც დამკვიდრებულიყო მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის დედოფალი... ღვთიური ტაძრის მნათედ აღზევებული არარაობანი ისევ და ისევ იშხამებოდნენ: “ძველი ლექსიკა, არარა გვესმის: კოპწიაობენ, მაღლად ზვაობენ! – და შენ უდგებარ ამ ღვთიურ ტაძარს მნათედ? ცოდოა, არარაობავ!”

პოეზიის იუდეები მოსალოც წერილშიც ბალდამ-ეკალს აჩენდნენ, “ხოტბით” ცდილობდნენ დაემდაბლებინათ სიტყვის “მთიები”, გვირგვინშიც “გოროზ სპეკალს” ეძებდნენ: “მოსალოც წერილს... გიწერს მავანი შიგ გამორეულ ბალდამ-ეკალით: თუმცა შუქმფენობსო მისი გვირგვინი, გოროზიაო მისი სპეკალი. მწარეთი ნაზავს, გარეულს შხამით, შეჰკადრებს “ხოტბას” შენთა მთიებთა! აჰა, დაუდგა იუდასკჷამი, ვინაც რომ ამა ჟამს ეძიებდა!”

ოინბაზები და ჯამბაზები გამუდმებით ცრუობენ, დიადს აკნინებენ, ქვემძრობს განადიდებენ, მიწყვი იმის ცდაში არიან, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ: “ოინბაზობით გატენილ გუდას ძველი ჯამბაზი... კვლავ ცხვირწინ გირწევს: თრითინას ორბის ფრთები ჰქონდაო, არწმუნებს ცას და არწმუნებს მიწას!” (“ოინბაზობით გატენილ გუდას”).

“უუნატიფეს მეშჩანთა შორის” ჭემმარიტს ყოველთვის სიყალბე წონის, მაგრამ პოეტის დაუმარცხებელი ნათელი სამუდამოდ ციმციმებს.

“სადაც სიყალბე ჭემმარიტს წონის, უუნატიფეს მეშჩანთა შორის, ნათელი ჩემი არს მოციმციმე” (“N-ს”).

გაუსაძლისია ფამილარულთა გარემოცვაში ყოფნა, სადაც უფასურდება ცადაზიდული პირამიდები, მზე, სიცოცხლე: “თქვენს ფამილარულ გარემოცვაში სული კნინდება: დამდაბლდებიან ცადაზიდული პირამიდები, მზე იფერფლება და სიცოცხლე... აღარ გინდება, თქვენს ფამილარულ, თქვენს თავხედურ გარემოცვაში...” (“N-ს”).

სატანისტებისათვის ძალზე იოლია სიცრუის სამსახური, ჭემმარიტების ღალატი, ცოდვილის დადაფნვა, ყოველი ღირებულების გაუფასურება: “თქვენ შეგიძლიათ, რომ... ცოდვილის დადაფნოთ თავი, წარბშეუხრელად შეგიძლიათ იცრუოთ უღვთოდ... არწივის ტოლად დაგვისახოთ... თრითინა უფრთო, მუსრს რომ ავლებდა უტიფარად მავანთა სუფრას... რომელი უფრო საშიშია, რომელი უფრო?” (“N-ს”).

ხშირად აუფასურებენ იმ აქსიომას, რომ ჭეშმარიტება სისხლის საფასურით მიიწვდომება, მაგრამ ვისაც ამას შეაგონებენ, მის მიერ ჭეშმარიტება მხოლოდ სისხლითაა მოხელთებული: “ყოველ გზასა და გზაჯვარედინზე იეზუიტი ჩუმად გიხვდება: _ ფეხთა მტვერი ვარ, არარაობა, სისხლი... ჩემი სურს ჭეშმარიტებას! _ ფეხთა მტვერო და არარაობავ... ბევრი მიხილავს შენი მსგავსები! ჩემი სურთ სისხლი? ოდეს ჩქეფს იგი ჭეშმარიტების მაღალ სამრეკლოს?” (“ყოველ გზასა და გზაჯვარედინზე”).

ხანდახან ირონიას მიმართავს ანა კალანდაძე თვითდაჯერებულ “მისანთა” წინააღმდეგ. ასეთ ვაიკრიტიკოსებს ვერ გაურჩევიათ ღვთაებრივი ცრემლი და წუმპე, მათ დასკვნა არა ფიქრის, შეჯერების, ანალიზის და აწონდაწონვის შედეგად მიუღიათ, არამედ ინფანტილური ფანტაზიის უღიმღამო ხლართების ქსოვით: “პოეტის მთელი შემოქმედება, მისანო, ხელისგულზე გიშლიათ... არ გრღნით ეჭვები, არც გაქვთ ისინი, სულს სხვისას სუროს ხლართვით ერთვებით! თქვენ... ღვთაებრივი ცრემლის წვეთები ხშირად... წუმპეში გადაგიწურავთ!... ო, არაფერში თქვენ არ შეცდებით (თავდაჯერება მეცხრე ცაზეა!) “იქნებ”... “ეგების”... “ვფიქრობ ასეა”... ამაებს ყველას ყავლი გასვლია, მშურს, ბატონებო, ეგ ფანტაზია! (“N-ს”).

ათეისტებს, ცალთვალათ ეუცხოებოდათ ანას უდიადესი სათქმელი და ჩამორჩენილობის იარლიყებსაც აკერებდნენ ტრადიციულ ფასეულობათა (“ენა, მამული, სარწმუნოება”) ერთგულების გამო, რაც კაჭკაჭთა გუნდისა და ბულბულის დაპირისპირებად წარმოესახა პოეტს: “კაჭკაჭთა გუნდი ახალი ბულბულს შეუტევეს მწყრალობით, _ მარად ძველებურ დამღერო: აი, ვით უნდა გალობა! ჩამორჩენილხარ, ბიძია, ანაქრონიზმმაც გიწია, არ ცხრება გვიანობამდე ბუნტი, ქოთქოთი, წიწინი!”

პოეტი კვლავ მზეს ელტვოდა გზაგასაყარზე, ახალი მზის პირისპირ იდგა, მისი სათქმელი იყო მარად ძველი და მარად ახალი: “ო, გულო ჩემო, კვლავ მზეს ეშურვი გზაგასაყართა ცნობილ მიჯნაზე... როს ახალ მზეთა პირისპირ დგახარ?”

“ფრთხიალა, ჭრელი ჩიორები”, “უსაშველო ფანტაზიორები” მხოლოდ ღიმილს იწვევენ პოეტში (“რით ვუპასუხო?”).

ლექსი “კიეთთა მიმართ” იმ უაზრო გნიასს გვაგრძნობინებს, შემოქმედის ტკივილების ვერშემცნობი კალმოსნები რომ ქმნიან ღვთისგან ხელდასხმულთა ირგვლივ...

“ინტელექტუალურ ტირანებს”, სხვისი ნასუფრალით მუცელამოყორილი ვაიკრიტიკოსებს ბიბლიურ სიბრძნეზე დამყარებით ასეთ პასუხს აძლევს ანა კალანდაძე: “უწმინდეს წიგნში წერია ასე (სად არც რა წახდა და არც რა გაცვდა!), ნასუფრალითო ძღებიან ძაღლნი, როგორ იკადრონ იგივე კაცთა?” (“უწმინდეს წიგნში წერია ასე”).

პოლ ვალერი ბრძანებს: “წიგნებს იგივე მტრები ჰყავს, რაც ადამიანებს: ცეცხლი, წყალი, უმეცრება, დრო და მათივე შინაარსი” (3, 183).

ანა კალანდაძის პოეზიის მთავარი მტერი უმეცართა წრიპინი, ხელმოცარულთა შური იყო, მაგრამ დილექტანტები ყოველთვის მარცხებოდნენ ჭეშმარიტებასმოწყურებულთა გამოხმაურებით, თემიდას უცდომელი განსჯით, წმინდა სიტყვა ყოველთვის პოულობდა გულწრფელ ადრესატებს: “მიაშურა მტერთა ბანაკს ზოგმა, მტერთა ჩემთა საკრებულოდ დგანან: მესალმება პაწაწინა გოგო! – გაგიმარჯოთ, ქალბატონო ანა! სჯის თემიდა, შეთქმულებიც ბორგვენ... იღრუბლება, ვარსკვლავებაც ჩანან... მესალმება პაწაწინა გოგო! – გაგიმარჯოთ, ქალბატონო ანა!” (“გაგიმარჯოთ, ქალბატონო ანა!”).

გოეთე განასხვავებდა ტენდენციურ კრიტიკოსთა შხამიან ნააზრევს ხალხის ობიექტური მსჯავრისგან: “ჩემს “ვერთერს” ისე ლანძღავდნენ, რომ თუ მე შევეცდებოდი ამომელო ყველა დაწუნებული ადგილი, წიგნიდან აღარაფერი დამრჩებოდა. მაგრამ ასეთ გამოხდომებს ჩემთვის ზიანი არ მოუტანიათ, რადგან თუნდაც გამოჩენილთა სუბიექტური მოსაზრებანი ბათილდებოდა ხალხის

აღიარებით. სხვათაშორის, ვინც მილიონი მკითხველისთვის არ წერს, იმას უჯობს, სულაც არ წეროს” (4, 88).

ხალასი, შეუბილწავი სულის მკითხველი შეუმცდარად ცნობს მართალ სიტყვას: “ისე მიცვნია შენი ყოველი ლექსი, როგორც კალმახი ვიცი ასაის წყალში!” (“შეხვედრა ლუდით შემთვრალ თორღვასთან ახიელში”), ეუბნება ანას ახიელი თორღვა, რაც განსხვავებით სულგაყიდულთა აზრისგან, დიდი სტიმულია სიწმინდის მსახური პოეტისთვის.

აღმართებიანი გზა ძნელადსავალია და ყოველგვარ სიძნელეს ღმერთი სრულყოფის მიზნით უვლენს ადამიანს: “უმწიფარ სიტყვას გამიზნულად მოგახლის ერთი იმ დროს, როდესაც გულის სიმნი... მაღლისთვის კვნესენ! – ბატონო ჩემო, ღვთის წყალობად ჩავთვალოთ ესეც: დროდადრო ჩვენს გზას შეგვახსენებს ეკლიანს ღმერთი!”

მხოლოდ ზენარული ძალებით არის შთაგონებული ანა კალანდაძის მართალი სიტყვა, მისი ყოველი წარმატებისთვის საღვთო მსხვერპლია გაღებული. განურჩევლობას, ცრუთა ფუსფუსს, ხელმოცარულთა ჭაპანწყვეტას იგი ყოველთვის წმინდა ზედაშეს უპირისპირებს: “მხოლოდ ზეგარდმო ლოცვა-კურთხევით, მხოლოდ ზეგარდმო ძალთა ნებითა მიწირავს საღვთო წმინდა ცეცხლითა, არა, კაენთა მე არ ვუფრთხები! განურჩევლობის ამა ზრიალში, ცრუ ფუსფუსსა და ჭაპანწყვეტაში ვკადნიერდები და შავ ბაზარზე იქნებ... გეკითხათ ჩემი ზედაშე?” (“N-ს”).

პარტიული კრიტიკის სუსხი ანასაც უგემნია: “კრიტიკული წერილის მიზანი ცილისწამება არ უნდა იყოს, – ყველაზე ცუდ ინტერპრეტაციაზე ეს შემძლია ვთქვა”, წერს პოეტი.

მაგრამ კეთილმოსურნე მკითხველის სიყვარულით ყოველთვის ჩლუნგდება უსამართლო კრიტიკის ბოროტი ძალა: “მკითხველის... სიყვარულსა და სითბოში უკვალოდ დნებოდა და დნება უსამართლო კრიტიკის ყოველგვარი სუსხი” (5, 286).

სიმართლის მსახურს ორიენტირებს არ უნდა უმრუდებდეს მედროვეთა მიერ დაპროგრამებული კრიტიკის დოგმატები. ანა კალანდაძე ხაზს უსვამს თავის ინდიფერენტულობას ტენდენციური კრიტიკის მიმართ: “ჩემი შინაგანი სიმართლის ძალიან მჯეროდა და... ამ სიმართლის იმედი დღესაც მაქვს... ის რაღაც, რის წინაშეც მე ვარ პასუხისმგებელი, მხოლოდ სიმართლეა და მე ამის შეგრძნება დიდად მეხმარება შემოქმედის მძიმე ცხოვრებაში.

“არაკეთილად გაგების შიშისგან შემოქმედი არასოდეს არაა დაზღვეული, მაგრამ აქაც ალბათ უფრო შენი შინაგანი სიმართლეა შენი მწე და მფარველი” (5, 285-286).

1946 წ. მაისს მწერალთა კავშირში ანა კალანდაძის ლექსების გაცნობას ფურორი მოჰყვა.

რამდენიმე თვეში ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალები “ზვეზდა” და “ლენინგრადი” დაამუშავეს “უიდეო, აპოლიტიკური, საბჭოთა ხელისუფლებისათვის იდეოლოგიურად უცხო და მტრული ნაწარმოებების გამოქვეყნებისათვის. “მკაცრი განაჩენი” გამოუტანეს ანას ლექსებს, მათში აღმოაჩინეს “დეკადენტური მოტივები”, ზოგი ლექსი “მველი სამონასტრო ცხოვრების ჰიმნოგრაფებს მოგვაგონებსო”, მიუთითებდნენ და “საოცარ ანაქრონიზმად” აღიქმებოდა ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ წერა: “ამაზე უფრო აღზნებული ჰიმნები X საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ შეუქმნიათ. ვის ესაჭიროება დღეს ამგვარი ლექსები? ვის სულიერ განწყობას გამოხატავენ ისინი? ფორმალიზმი, უიდეობა, აპოლიტიკურობა ამაზე შორს ვერ წავაო”, წერდა მისი ერთ-ერთი ოპონენტი (6, 3).

რელიგიური სახეებისადმი ასეთი მიდგომა შემთხვევითი როდი იყო. ადრე ჯვარს აცვეს ალ. აბაშელი ანალოგიური სტრიქონებისთვის: “ციურო დედავ, აგვიპყრია შენსკენ ხელები ტანჯვის წუთებში დაკბენილი მტკივან თვალებით”... პროლეტარულმა კრიტიკოსმა ბენიტო ბუაჩიძემ ლექსს “აღმაშფოთებელი... მონაზვნური ბოდვა” უწოდა (7, 92).

უმართებულო შეფასების გამო ანას I კრებულების გამოცემამ 1953 წლამდე გადაიწია და ბევრი ლექსი დამახინჯებულად, არასწორად იყო წარმოდგენილი, ხალხი კი ხელნაწერების ტექსტებს უფრო იმახსოვრებდა.

პოეზიის გაუგებრობისა და საოცარი კურიოზების ნიმუშია სერგი ჭილაიას წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ანას გამოთქმები “უდაბნოს მწირი”, “მკვდართა მზე ვარ”. პოეტს ბრალდებოდა ფორმალიზმი, უიდეობა, აპოლიტიკურობა. “დარდიანი ღვინოს ვსვამ და ვთვრები” – ეს შემთხვევითი სტრიქონი როდია, ანა კალანდაძის ლექსებში სიმთვრალის, ლოთობის აპოლოგიასთან გვაქვს საქმე: ღვინიანი ჭიქა, ქუდმოხდილი ქვევრი, ღვინიანი კოპე, ღვინომ დამმარხოს, ღვინო დოქებით – ასეთია ამ ქალის პოეტური ლექსიკა (8, 4).

პესიმიზმს, უიდეობას, მისტიკურ-დეკადენტურ მოტივებს პოულობს ვ. ზუმბელიძე ანას ლექსში “ლოცულობს გველი” (9, 4).

“გაზვიადებულია როგორც მისი ორიგინალობა და სიახლე, ისე მისი შემოქმედებითი მიღწევებიც”, წერდა პ. შარია (“ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები” (9, 7): მერე ეს ნაშრომი ბროშურის სახით გამოიცა 1974 წ.

“სხვებს ვაცლიდი ყბედობას, მე კი ვაკეთებდი იმას, რაც უკეთესად მიმაჩნდა”, წერდა გოეთე (4, 46).

“თავდაჯერებულ თხეებს” ანგარიშს არასოდეს უწევდა ანა კალანდაძე.

იმ პერიოდში ნეგატიური დამოკიდებულება იყო რელიგიური თემებისა და სახეებისადმი. 1937 წ. კრებულში არ შევიდა ლექსი “მოდიოდა ნინო მთებით”, რადგან იქ ნასესხები იყო იესო (5, 124).

როგორც ცნობილია, იმ დროს პოეტური კრებულები უეჭველად უნდა გახსნილიყო პოლიტიკურ თემაზე დაწერილი ლექსით თუ ლექსებით, რომელთაც “პარავოზებს” ეძახდნენ (5, 137).

რევაზ ინანიშვილი იხსენებდა: “მაშინ მოდაში იყო ასეთი რამ: მოთხრობებს წინ წარუძღვებოდა ერთი ან ორი ე.წ. იდეური, თანამედროვეობის თემაზე შექმნილი

მოთხრობა და შემდეგ სხვებიც მოჰყვებოდა. ასეთ ხერხს ყველა “პარავოზს” ეძახდა” (10, 32).

ქართული სალიტერატურო კრიტიკა არაერთგზის მოჰკიდებია მცდარი კრიტერიუმებით დიდი პოეტის შედეგებს, განსაკუთრებით, მის დაინტერესებას ისტორიით, რელიგიური თემებით.

პარტიული კრიტიკა, რომელმაც არ იცოდა ჩვენი სახელოვანი ისტორიის ფასი, ლექსში “შორია თამარ” ხედავდა ფეოდალური საქართველოს განდიდებას, რაც თითქოს ხელს უშლიდა აწმყოსა და წარსულის სრულყოფილ გაგებას.

1953 წ. ასეთი “გენიალური” რჩევა მიეცა პოეტს: “ანა კალანდაძე ცდებოდა და ახლაც ცდება, როდესაც რომანტიკული ლექსით თვალეზზე გაჰყურებს ფეოდალურ საქართველოს (“შორია თამარ”). ეს შუა საუკუნეების ფლიორი რაც უფრო მალე ჩამოსცილდება მის პოეზიას, მით უფრო გაიზრდება და დავაჟკაცდება ის ნამყო. ძველი საჭირო და აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ აწმყოსთვის და მომავლისთვის და არა თავისთავად. საქართველო იმდენად კარგი და წარმტაცია დღეს, რომ მის შესაქებად გუშინდელი დღე საჭირო აღარ არის” (ვლადიმერ მაჭავარიანი, “ანა კალანდაძის ლექსები”) (8, 3).

ანა კალანდაძე ასეთების ზეგავლენით აზრს არ იცვლიდა: “ტალანტმა ყოველთვის ჩინებულად “იცის” თავისი ჟამი, _ მას ეს “ცოდნა” თანდაყოლილი აქვს. უწყის ისიც, რომ ნავარჯიშევი მხოლოდ სამზარეულოში უნდა დარჩეს. არა მგონია, სანთელ-საკმეველმა ოდესმე თავისი გზა დაკარგოს” (5, 89).

მავანნი არ ცხრებოდნენ

ლექსი “საქართველო ლამაზო” პირველად 1953 წ. კრებულში დაიბეჭდა. მას ჩამოაშორეს ეპიგრაფად წამძღვარებული სტრიქონი გრიგოლ ორბელიანისა (როგორც ძველი საქართველოს წარმომადგენლისა) – “სხვა საქართველო სად არი” და დაემატა “ახალი ყოფის ამსახველი მთელი 36 სტრიქონი! სწორედ ამიტომ გაჩნდა ლექსის ქვეშ 2 თარიღი _ 1945-1953”.

მაგრამ ხალხი ლექსს იმახსოვრებდა არა “იძულებითი ვარიანტებით, არამედ ხელნაწერებით (5, 99).

ანა კალანდაძე თავს იწუგებდა ილია ჭავჭავაძის სტრიქონებით: “თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი?!”.

სულით ბეცებმა გააკრიტიკეს სერგო ზაქარიაძე, რომელმაც ილიას, ბარათა-შვილის, აკაკის, ვაჟას, ლ. ასათიანის გვერდით წაიკითხა ანას ლექსები (5, 114).

თუ სანამდე მიდიოდა თავისუფალ აზრთან ბრძოლა, ჩანს ერთი მუქარიდან: “ვიღაცას უთქვამს (დაუქადნია კიდეც) – თუ ესეც მონაგონი არაა (ჩინებულად გამოხატავს მაშინდელ განწყობილებას!) – ორი სანთლის ჩაქრობას რა უნდაო?... (5, 115).

ამ მუქარაში დაუჯერებელი არაფერია, რადგან მოუთვინიერებელ შემოქმედთა დამონებას ცდილობდნენ მუქარით, ციხით, ცილისწამებით, “ფსიქიატრიული რეპრესიებით” (11, 50).

1974 წ. სტრიქონებისთვის – “არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა” – დააბეზღეს ცეკას პირველ მდივანთან, დახეთ, რას წერსო. ლექსი შესასწავლად

კულტურის განყოფილებას გაუგზავნეს. მხატვრული განყოფილების სექტორის გამგეს გაუფანტავს ეჭვის მძიმე ბურუსი (5, 117).

1985 წ. “საბჭოთა საქართველოში” ანას კრებული გამოდიოდა მურმან ლებანიძის რედაქტორობით. უსათაურო ლექსებს რედაქტორმა ჯვრისმაგვარი ნიშნები დაუსვა ტრაფარეტული “ვარსკვლავის” ნაცვლად, რედაქტორი ფიქრობდა, რომ ჯვარი უფრო მიესადაგებოდა პოეტის შემოქმედებას. წიგნი დაასმინეს, ჯვრებით არის გავსებული და ბეჭდვა სამი დღით შეჩერდა, ჯვრები ვარსკვლავებად გადააკეთეს (5, 118).

“მოდოდა ნინო მთებით” 1957 წ. კრებულში არ შევიდა იესოს ხსენების გამო. მხოლოდ 1973წ. გამოცემაში აღადგინეს ეს სტროფი მკითხველების ჩარევით.

გერმანულ კრებულში ეს ლექსი “დაკოჭლებულადაა” წარმოდგენილი (5, 122).

კრებულში – “ვით მარგალიტი ობოლი” (1978წ.) წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ ლექსს ეს სტროფი (იესოზე) აკლია.

“უდაბნოს მწირი” ამოიღეს. “დავდივარ ბაღში ვით უდაბნოს მწირი” – შეიცვალა ასე: “მზე თავს ვერ დააღწევს ვარდების ღიმილს” და “მთაში გაზაფხული ათასფრად ღვივის”.

შეაცვლევინეს “ბოშა ქალის” “პორტი” – “სტვენით მიდის მზიან სანაპიროზე”, მაგრამ რუსული კი არა, ეს ფრანგული “პორტი” იყო საჭირო” (5, 124).

ანას ეპოქა ცნობილი იყო ტაბუდადებული თემებით და პარტიული შეკვეთებით.

50-იან წლებში მუზის მსახურთათვის სავალდებულო იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს ორწლიანი უნივერსიტეტის დამთავრება. უნდა ჩათვლილიყო და ჩაბარებულიყო შემდეგი საგნები: საბჭოთა კავშირის კომპარტიის ისტორია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია, სსრკ ისტორია.

პარტიული ზეწოლის მავნე ზემოქმედებაზე საუბრობს პოეტი: “საგაზეთო ლექსებს” ვერც ჩემი მუზა ასცდა, აქტიური შინაარსის ლექსები, უმთავრესად 1950-1951 წ.წ. დაწერილი, უკვე საერთო დინებას უნდა მივყოლოდი (იქვე, გვ. 122).

1951 წელს პოეტმა მიიღო “საორიენტაციო თემატიკის” სია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტისგან, რომლის მიხედვით უნდა შეექმნა ახალი ნაწარმოებები: 1. სამგორის შესახებ. 2. რუსთავის შესახებ. 3. ბრძოლა მარცვლეულის (პურის) აღებისთვის (კომბაინი, პურის ბეღელი). 4. ბრძოლა მეცხვარეობისათვის (მწყემსები, მომთაბარეობა, ბინები). 5. საკოლმეურნეო მუშაობა (სამუშაო ადგილებზე გასვლა) 6. ხვნა-თესვის შესახებ. 7. მაღაროელთა სიმღერა. 8. სიმღერა სამშობლოზე (პატრიოტიზმი). 9. საყოფაცხოვრებო და სახუმარო შაირები. 10. სიმღერა ახალგაზრდობაზე. 11. სიმღერა პიონერებზე. 12. ხალხთა მეგობრობაზე, სტალინური მეგობრობა. 13. გმირობის, ვაჟკაცობის და თავდადების შესახებ. 14. მთამსვლელთა სიმღერა. 15. ფიზკულტურა და ფიზკულტურელთა სიმღერა. 16. ახალი სუფრული. 17. სიმღერა რთველზე. 18. სიმღერა ბაღებისა და ხილის შესახებ. 19. ახალმშენებლობის შესახებ. 20. კომუნიზმის დიადი მშენებლობის შესახებ (იქვე, 124).

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია, არაფერია ნათქვამი სულზე, ზნეობაზე.

ანას ასეთი შეკვეთებით არასოდეს უწერია. იგი ყოველთვის დინების საპირისპიროდ, ქარის საწინააღმდეგოდ მავალი შემოქმედი იყო.

რა დარჩა მავანთა ასეთი უგვანი მიეთ-მოეთიდან?

მთავარი სიტყვა თემიდან აიღო და ღრუბლებიდან ვარსკვლავები გამოაჩინა.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
2. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის”, თბ., 1975.
3. პოლ ვალერი, “რჩეული პროზა”, თბ., 1983.
4. “გოეთეს საუბრები ეკერმანთან”, ბათუმი, 1988.
5. ანა კალანდაძე, ტ.2, თბ. 1995.
6. “ლიტერატურული გაზეთი”, 1953 წ., 18 დეკემბერი.
7. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, “მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, I, ქუთაისი, 1994.
8. გაზ. “კომუნისტი”, 1946, 5 სექტემბერი.
9. “ლიტერატურა და ხელოვნება”, 1946, 16 ნოემბერი.
10. ნუგზარ წერეთელი, “აი, მე გურამი ვდგავარ თქვენს წინ”, თბ., 1990.
11. ზვიად გამსახურდია, “დილემა კაცობრიობის წინაშე”, თბ., 1995.

როგორ იქმნებოდა პოეტის შედევრები

ბიბლიის მიხედვით, სამყარო, ადამიანები, ყოველი სულიერი, ორგანული თუ არაორგანული ბუნება ღმერთის შექმნილია.

მაგრამ, “ჩანს, ღმერთს იმ შექმნათა ცნობილი ექვსი დღის შემდეგ სულაც არ აუღია ხელი თავის საქმიანობაზე. პირიქით, ისეთივე დაუცხრომელია, როგორც შექმნათა პირველ დღეს იყო: უმარტივესი მასალისაგან ამ ტლანქი ქვეყნიერების შექმნა და დაძვრა, რომ წლიდან წლამდე მზის სხივებზე იტრიალოს, _ არა მგონია ძლიერ სახალისო საქმედ ჩაეთვალა, რომ ამ მატერიალურ ნიადაგზე სულთა დიდი სანერგე ბაღის შექმნაც არ ჰქონოდა ჩაფიქრებული. ჰოდა, ეს მსოფლიო სული დღემდე ბინადრობს ამაღლებულ ადამიანთა ბუნებაში, რათა ჩვეულებრივნიც თავის დონეზე აამაღლონ” (1, 233).

ეს ღვთაებრივი “მსოფლიო სული” ქმნის ანა კალანდაძის შედევრებს.

რა არის ლექსი, როგორ იბადება იგი? ბევრი დაწერილა ამაზე, მაგრამ ლოგიკურ კატეგორიებში მისი მოქცევა თითქმის შეუძლებელია.

ანა კალანდაძე აცხადებს: “ღირიკული ლექსი უფრო მოუდნელობათა შედეგია” (2, 83).

გალაკტიონ ტაბიძისთვის ორგანული იყო “ლექსი უცები”, “სიმღერა მოულოდნელი” (“ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში”). (3, 73).

ანალოგიურ შეფასებას ვპოულობთ მალარმეს შემოქმედებაში: “ლექსი ზოგჯერ აბობოქრებული იშვიათობაა”, თუმცა ფრანგი პოეტი უფრო “გაზომილ-განგარიშებული იშვიათობისკენ” იხრებოდა (“მუსიკა და მწერლობა”) (4, 158).

პოლ ვალერი საუბრობდა ლექსის ორ სახეზე: “ლექსი მოცემული და ლექსი განგარიშებული. განგარიშებული ლექსი ისეთი ლექსია, რომელიც ყოველთვის გადასაჭრელი პრობლემის ფორმით გვევლინება” (5, 169).

როგორ იქმნება ანას შედეგები, იგი მხოლოდ ფანტაზიას ეყრდნობა, თუ მათი შექმნის იმპულსი ცხოვრებისეული მოვლენებია?

პოეტის ჩანაწერების გაცნობა გვარწმუნებს, რომ თითქმის ყველაფერი კონკრეტული ფაქტებით არის ნასაზრდოები და შემდეგ უმაღლეს დონეზეა განზოგადებული: “გამაღიზიანებელი ფაქტორი ჩემს ირგვლივაც ბევრია... ლექსი “რადგან მებაღეს არვინ კითხულობს” გარეგანი გამაღიზიანებლის პასუხადაა დაწერილი” (2, 83).

“როცა ქვემეხები ქუხან, მუზები დუმანო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ხშირად პირიქითაც ხდება... ბევრი რამ გაღიზიანებს და, საოცარია, რომ ამ “გამღიზიანებელს” სწრაფი რეაქციით პასუხობ” (1, 125).

ფანტაზიის გარეშე შემოქმედება წარმოუდგენელია და გამონაგონისა და სინამდვილის კავშირი ასე წარმოუდგენია კონსტანტინე გამსახურდიას: “მწერალი, პოეტი, მეცნიერისაგან განსხვავდება ერთი უმთავრესი ნიჭით. ამ ნიჭს ეწოდება ფანტაზია... მაგრამ პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწურების ნელსურნელება არ დაჰკრავს” (6, 473).

ანალოგიურ მოსაზრებას ვპოულობთ გოეთეს საუბრებში: “ყოველი ჩემი ლექსი შემთხვევაზე დაწერილი ლექსია, ცხოვრების შთაგონებითაა შექმნილი და მასში ჩაუდგამს საძირკველი. ჰაერიდან დაწერილი ლექსი ლექსად არ მიმაჩნია” (7, 18).

ანა კალანდაძის გახმაურებულ თუთის ხეს ადრესატი მოეპოვება სოფელ ხიდისთავში. თურმე ოდის წინ მდგარ თუთის ხესა და პოეტს შორის “უხილავი ძაფი გაიჭიმა”... ასე იშვა ადამიანისა და ბუნების ინტიმური სიახლოვის მაუწყებელი შედეგრი (2, 97).

ლექსი “რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს ძეძვის რტოებზე” დააწერინა “იმ დიდმა გულისტკივილმა, ბედისწერასავით რომ სდევს შემოქმედებითი ცხოვრების უმძიმეს გზაზე ხელოვანთა გარკვეულ ნაწილს” (2, 128).

მოსმენილსაც ზოგჯერ დიდი სამსახური გაუწევია მისი შთაგონებისთვის: “ხშირად შეიძლება მოსმენილი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს შემოქმედზე, ვიდრე პირადად განცდილი. ლექსი “ჭექდა მაზურკა” დედის მოგონებებით დაწერილი ლექსია” (2, 140).

“ზაღში ისევ ტირიფების ლოდინია” ომის დროს დაწერა 1945წ. “მთა კვნესის და ცაიც გულდაკოდილია” – ასეთი იყო იმ დღეთა განწყობილება. საერთო განწყობილებას ერწყმოდნენ “მძაფრი განცდებიც” (2, 140).

სინამდვილის წარმოდგენას ხშირად პოეტის ფანტაზია ენაცვლება, რეალურის, ამაღლებულის სახის შესაქმნელად. ირკვევა, რომ პოეტის მიერ განსახიერებული “მშვენიერი გარეგნობის, ლალი და თამამი თათრის გოგონა” პოეტის ფანტაზიის ნაყოფია: “არც ის და არც ბოშა ქალი მოვაჭრე არ მინახავს და, საერთოდ, იმ წლებში, როდესაც ეს ლექსები დაიწერა, არ ყოფილან ისინი “წვრილმანი საქონლით” ცას და მიწას ასე უსაშველოდ მოდებულები. პორტის სანაპიროზე მიმავალი ბოშა ქალი ზღვის ამ “თავისუფალი სტიქიის სანაპიროს ისე მიუყვებოდა, როგორც “თავისუფალი სულის” სიმბოლო. არა მგონია, ჭუჭყიანსა და მწვანელ-კევათი მოვაჭრეს მიეპყრო ჩემი ყურადღება მით უფრო მაშინ, ახალგაზრდობის წლებში, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ ძალიან სუფთა და ამაღლებული გგონია კაცს! არა, ჩემს ბოშა ქალს დღევანდელი თბილისის ქუჩებში მოხეტიალე და მოვაჭრე დედაკაცებთან არაფერი აქვს საერთო”.

“ვარდებით მოვაჭრე იეზიდო გოგონა... ჩემი ფანტაზიის ნაყოფია” (2, 97).

წარმოდგენით არის შექმნილი “შემოდოდა ჩიჩილაკივით ჩვენში კალანდა”.

ლექსში “ბოდბედან ნინოწმინდამდე” გამოყენებულია საგარეჯოში გაგონილი ლეგენდა, რომელიც გვამცნობს შემდეგს: “ნინოობა დღეს, 14 იანვარს, მის მიერ გამოვლილ გზებზე ძლიერი ქარი და ბურუსია, თითქოს რაღაცის მოლოდინია. ნინო ღმერთს ავედრებს დათოვლილ სოფლებს, გზებზე ნისლია, ხოლო ბოდბედან ნინოს კაბის შრიალი ესმით, მოციქულთა სწორი მობრძანდება: “ნინოობა დღეს... თითქმის

უცვლელად ამ გზებზე ქარნი ქრიან ძლიერნი... იფარებიან გზები ბურუსით, თითქოს რაღაცას მოელიანო... ცას შეავედრებს დათოვლილ სოფლებს, _ ნათელი რამე გზაზე დგებაო: ბოდბედან თვისი კაბის შრიალით, ამბობენ ნინო მობრძანდებაო” (2, 604).

პოეტი წერდა არა პარტიული დიქტატით, არამედ ისე, როგორც ეწერებოდა.

ლექსებს “ხატებთან შვენი დახრილი წამით” და “აქ ჩაესვენა ერთი ვარსკვლავი” _ ჰყოლია ადრე ადრესატები _ ქუთაისელი ერისთავები.

ნათელა ბალიაურს შთაუგონებია “ლაშარის გზაზე”, “ხევსური ქალის წერილიდან”, “ქსელს რომ ბეჭავდა ქალიკა”, “მასპინძლის ქალი ქისტისა”.

გეჯურა ავთანდილის შთაგონებით დაიწერა “არაგვი ისევ ხმაურობს” (2, 193).

ბიჭურ ბადრიშვილისა და ფშაველის დიალოგზე დაიწერა “მოხუცი მთიელების საუბრიდან”, “წმინდა გორს დგახარ” (2, 195).

როშკისკენ მოგზაურობის შთაბეჭდილებები დაედო საფუძვლად ლექსს “წელთ-გზაზე ფრთხილად აბიჯებს ცხენი” (2, 201).

დედიკა ოჩიაურის ნაამბობის მიხედვით დაიწერა “ჭიმლის კლდეს ეშმა ბინადრობს” და “არ ნებდება ქაჩუს ციხე” (2, 221).

გაბრიელ ჯაბუმანურის ძმას უძღვნა “შეხვედრა ლუდით შემთვრალ თორ-ღვასთან ახილში” (2, 218).

ხევსურეთში, შატლში, ციხის კედელზე გაკეთებულმა წარწერამ “გაუმარჯოს პოეზიას” უკარნახა ლექსი “წვიმით ჩარეცხილ ძველ კედლებს” (2, 222).

ანა კალანდაძის აზრით, ხშირად ადგილი აქვს ლექსის სხვადასხვაგვარ წაკითხვას, რაც კი არ ამცირებს, ღირსებას მატებს მას, მკითხველის ფანტაზიას აცხოველებს, თუმცა პოეტი ზოგჯერ “ არა კეთილად გაგების საფრთხისგანაც არაა დაზღვეული”, “ლექსის წაკითხვა იმდენნაირია, რამდენნაირი მკითხველიც ჰყავს... მასში “ყველა სათავისოს ეძებს და ჰპოვებს კიდევ! ლექსის ღირსება ხომ ამითაც განიზომება? დიახ, ლექსმა მკითხველს ფანტაზიის საშუალება უნდა მისცეს” (2, 62).

მაგრამ სულ სხვაა არაკეთილმოსურნეთა ბოროტი გნისი: “გამიზნულად ნასროლი ბოროტი სიტყვა ცილისწამების კორიანტელში მხვევდა და ეჭვის ჩრდილში მაყენებდა”, შენიშნავს პოეტი.

ანა კალანდაძის პოეზია ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ტრადიციების შემოქმედებით გაგრძელებად დაისახა იმთავითვე და პოეტიც ვაჟას კვალდაკვალ ისე ეხმიანებოდა მთას, როგორც ბუნებრიობის, სიწმინდის, პოეზიის, ამალღებულობის სავანეს: “მთავ, ბუმბერაზო, მიიღე ჩემიც... სალამი გვიანი” (“ვაჟას”).

მთაში ეძებდა ანა თავისი შთაგონების წყაროს, მისი სიდიადით ივსებოდა, რადგან ხედავდა, როგორ ბატონობდა ამ სამყაროში პოეზია, როგორც სამყაროს განუმეორებელი სასწაული: “წვიმით ჩარეცხილ ძველ კედლებს-შატილს ავხედე განთიად... არღუნის ორსავ ნაპირზე ორ სასწაული ანთია: გაღმა _ ბებერი შატილი გოროზად აიზიდება, აქეთ _ მიწურის კედელზე სხვა სასწაული ინთება, _ ცარციტ წერია უბრალოდ: პოეზიასო დიდება!” (“წვიმით ჩარეცხილ ძველ კედლებს”).

ანასთვის ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობაა (2, 598).

“ხელოვნება მაშინაა სრულყოფილი, როცა ის თვითონ ბუნებას ჰგავს, ბუნებას გვაგონებს, ხოლო ბუნება უნაკლოა მაშინ, როცა ფარული სახით იმარხავს ხელოვნებას”, წერს ფსევდო-ლონგინე (8, 153).

ანას პოეზიაში ყველაფერს ბუნების, ბუნებრიობის დაღი ატყვია, ხოლო მის მიერ დანახული ბუნება ყოველთვის სიდიადის, მარადიულობის, უკვდავების სურვილით ავსებს მკითხველს.

ანას გამორჩეულობაზე ფიქრისას თვით პოეტის სტრიქონები გვახსენებს თავს: “მზეო, დიდებით ამოხვალ, ქვეყანას მადლად ევლები. ბალახზე ცვარნი ბრწყინავენ მძივის, ღორღის ხელები. ზოგთა ხუმრობა სწადიათ, კიდევ ჰყავთ ტაშისმცემლები! იქნება გკადრონ, _ ერთი ხართ შენა და შენი მხვევლები?! (“მზეო, დიდებით ამოხვალ”).

გვაგონდება “ქებათა ქება”: “სამოცი დედოფალია, ოთხმოცი ხარჭა და ურიცხავი ქალწული, ეს კი ერთადერთია, მტრედი ჩემი, უბიწო ჩემი”... (“ქებათა ქება”, 6, 8, 9) (9, 17).

ანა კალანდაძე, როგორც ნათელმსმენი და ნათელმხილველი, სულიერად ეხმარება თავის დიდ წინაპრებს.

თავისებური იმპულსები განაპირობებს ანას ლექსების შექმნას, ხანდახან თვალჩაუწვდენელია მისი პოეზიის პირველწყაროები, რომლებიც პოეტს “კარნახობს” განუმეორებელ სტრიქონებს.

ანას სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა დავით აღმაშენებელზე შექმნილ შედევრებს, რაც შემთხვევითი სულაც არ არის. ირკვევა, რომ კავშირი არ გაუწყვეტია დიდ წინაპართან, თურმე მისი პოეტური მარგალიტები სახელოვან მეფესთან სულიერი სიახლოვის შედეგია.

აი, რა საიდუმლოს გვიმხელს ანას ერთი ჩანაწერი: “მახსოვს, ერთი რთული, ცხოვრებისეული დილემის წინაშე მდგარმა (იგი პირადად მე უნდა გადამეწყვიტა!) მოსვენება დაგვარგე და ამ დროს... როგორღაც წარმოუდგენელი სურვილი გამიჩნდა ჩვენი დიდი და სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის სული შემეწუხებია, – მისთვის... შემეჩვილა ჩემი გასაჭირი, როგორც... ძალიან ახლობლისთვის, მისთვის “მეთხოვა” შემწეობა, ხსნა! ვგრძნობდი, რომ მხოლოდ “მასთან”, მის “ახლოს” დამიბრუნდებოდა სულიერი სიმშვიდე, სულიერი წონასწორობა, რომ მხოლოდ იგი გამომესარჩლებოდა და დამიფარავდა იმ უკეთურებისაგან, იმ “შეცნობილი” ბოროტებისაგან, ჩემთვისაც რომ აუცილებელი გამხდარიყო და, რომელსაც ნათლად ვხედავდი ჩემს წინ სიკვდილივით ასვეტილს!

ამ განცდათა შედეგი გახლავთ ლექსი “ფეხი დამადგით”, 1959 წელს რომ დაიწერა” (ანა კალანდაძე, ტ. 2, გვ. 138).

ცხადია, ასეთი სიახლოვე უშორეს წინაპართან მხოლოდ სულიერი ნათესაობის შედეგია.

თვით დავითი ქართველი ერის მარადიული თანამდევია, მისი მარად ფხიზელი თვალი ქართულ კერას დარაჯობს, მისი გული ისევ შეუწყვეტლად გუგუნებს, რადგან პოეტის აზრით, ქვეყნის დიდი შვილები მხოლოდ ფიზიკურად მიდიან ცხოვრებიდან, სულით კი მუდამ საყვარელ ხალხთან რჩებიან და სასახელო საქმეთა ინსპირირებით ისევ მონაწილეობენ ერის ცხოვრებაში: “აღმაშენებელს _ მეფეს და სარდალს, ხედავთ, როს შეხვალთ გელათის საყდარს: თვალს არ აშორებს ის ქართულ კერას, სად გული მისი გუგუნებს ჯერაც! პირდაპირ მასა ბიბლიურ დავით აღუვლენია სიმების ჟღერა... უშუალოდ მზის ქვეშე ხალხი, ვით შეწყვეტს სუნთქვას და გულთა ძგერას?” (“აღმაშენებელს _ მეფეს და სარდალს”).

ნათელმსმენ პოეტს ასევე ესმის სიონში დიდი დავითის “გალობანი სინანულისანი”.

დავით აღმაშენებელი საქართველოს “თანამდები უკვდავი სულია”. მისი ლეგენდარული არმია, რკინისებური დისციპლინა, ცხოვრების წესი, სრული თვითგაღება ერისთვის ისევ და ისევ სამაგალითოდ ესახება პოეტს: “ისევ გაგვეპარება თვალი დავით აღმაშენებლისკენ, მისი ლეგენდარული სპისკენ, რომლის რკინისებური დისციპლინის ამბავმა საუკუნეებს გამოაღწია.

“არა ჰრულოდა მეფესა” _ არცერთი წუთი არ მოუშორებია თვალი თავისი საბრძანებლისთვის და რატომღაც მჯერა, რომ დღესაც... “თვალს არ აშორებს ის ქართველის კერას!” (2, 288) და პოეტს ესმის წარსულის სახელოვანი მეფის “შორეული შუქთამფინარი ხმები”.

სინანული ზნეობრივი კათარსისის პირობაა... მეფის სინანული, ქრისტიანული თავმდაბლობა, ზნეობრივი იმპერატივები ასეთი მახლობელი იყო პოეტისათვის. ასეთი სულით მონათესავეა გრაალის თასის მცველი ქართველი მეფე ჩვენი თანამედროვე ქართველი პოეტისათვის.

სამშობლოს სასახელო მესვეურებთან პოეტის სულიერი კავშირი სხვაგანაც ვლინდება.

1974 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ ასე მიმართა ანა კალანდაძეს: “მოგესალმები, დიდებულო მგოსანო ქალო, დედათა ჩვენთა ნეტართა ღირსეულო შთამომავალო! ქართველი ქალის პირველქმნილი სახე, ნინოს, თამარის, ქეთევანის სანუკვარი სამება ანათებს შენი პოეზიიდან. მათი სათნოება, მათი სიქველე შენში განსახიერდა ხელახლა. მეზმანები, ვით ანთებ მათთან ერთად სანთელს ერის საკურთხეველზე. ეს სანთელი შენი პოეზიაა. დაე, მარადის უნათებდეს იგი ჩვენს ხალხს, სალბუნად და ნელსაცხებლად ეცხოს მის ჭრილობას თუ შვებას აწ და მარადის!” (10, 4).

ანა კალანდაძის ერთი ჩანაწერი გვაუწყებს: “როდესაც გამოუცდელით (უფრო კი ხატრით ან მოვალეობის გამო) ცხოვრებისეულ წუმპეში შემიბიჯებია, დიდი თამარის ნათქვამს ვიმეორებდი ხოლმე (ახლაც ასეა!): “უბრალოდ განვიყრი მტვერსაც, რომელი აღმეკრა შენ მიერ” (“ქართლის ცხოვრება”, II, 1959, ანა კალანდაძე, ტ. 2).

ლექსში კი ეს აზრი ასეა გამოხატული: “რამეთუ მზე იყავ ცხოველი, წუმპემაც... სიხარბით აგრეკლა! _ უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი ბილწთაგან აღმეკრა!”.

ნათელმსმენი და ნათელმხილველი პოეტის სმენას წვდება თამარის დროინდელი ზარების რეკვა, ხედავს მეფე ქალის ხატს, მის დროშას, თამარი ბასიანისკენ მიუწოდებს სპათ: “რეკენ ზარები, რეკენ... სიზმარია თუ ცხადი, დაესვენება ჩემს წინ დიდი თამარის ხატი... რიდით შეარხევს ქარი დროშის მაღალის კალთას... ბასიანისკენ! იგი კვლავ მოუწოდებს სპათა”... (“რეკენ ზარები, რეკენ!”).

მეფესთან ამ “სიახლოვემ” განაპირობა პოეტის ღირიული შედევრების შექმნა: (რამეთუ მზე იყავ ცხოველი, მინდორზე ჭრელი ყვავილი, თუ ვიმყოფებით მზის ქვეშე, რეკენ ზარები, რეკენ, დიდი დავითის, დიდი თამარის, ქელეთაფა _ თავების გორა, შორია თამარ!”).

ასევე ცოცხლად “ხედავდა” პოეტი ლადო ასათიანს მის 60 წლისთავზე, დაამახსოვრდა ლადოს ხმა, მზერა, მასთან ერთად ბრძანდებოდა სახლის აივანზე

გაშლილ სუფრასთან და ისმენდა წინაპრის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს:
“საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!”

თუმცა ანას ცოცხალი ლადო არ უნახავს, ნიავსაც კი ის ხმა მოჰქონდა, რომელიც
სინამდვილეში არასოდეს სმენოდა (2, 374).

ლიტერატურა

1. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, წინასიტყვაობა და კომენტარი აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988.
2. ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. II, თბ., 1995.
3. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთტომეული, ტ. I, თბ., 1993.
4. სტეფან მალარმე, “ლექსები და პროზა”, წინასიტყვაობა და შენიშვნები გასტონ ბუაჩიძის, “საბჭოთა საქართველო”, ქუთაისის ფილიალი, 1979.
5. პოლ ვალერი, “რჩეული პროზა”, თბ., 1983.
6. კონსტანტინე გამსახურდია, რვატომეული, ტ. 8, თბ., 1959.
7. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988.
8. ფსევდო-ლონგინე, “ამაღლებულისათვის”, თბ., 1975.
9. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
10. “ლიტერატურული საქართველო”, 1974, 20 დეკემბერი.

“დაემატე საქართველოს ფრესკებს”

ოფიციალური, პარტიული კრიტიკის სუსხს ანელებდა მკითხველ-სპეციალისტთა გულწრფელი, ობიექტური შეფასება ანა კალანდაძის შემოქმედებისა. ისინი სწორად იგებდნენ ნატიფი ლირიკოსის ჩანაფიქრს.

მხატვარ ნათელა იანქოშვილს, რომელმაც ანას ერთი პორტრეტი შექმნა, სურდა დაეხატა პოეტი თამარისა და ხატების გვერდით: “თქვენი პორტრეტი უნდა დავხატო... ტამარში თამარის სურათისა და წმინდანთა ხატების ფონზე, არავის უთხრა, ასე მაქვს ჩაფიქრებულიო (ერთ-ერთი მისი “საიდუმლოებათაგანი”, რომელიც არ გაცხადდება” (1, 62).

“მოდოდა ნინო მთებით” პოეტმა 1946 წელს მწერალთა კავშირში წაიკითხა და რწმენის დეფიციტით ცნობილ დროში მკითხველთა გულწრფელი ოვაცია გამოიწვია, მაგრამ ამ აღტაცებას მერე პარტიულმა კრიტიკამ აკრძალვა შეაგება, 1957წ. კრებულში არ შევიდა ეს ლექსი იესოს ხსენების გამო (1, 124).

მაგრამ მოგვიანებით, 1988 წელს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის კედელზე წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლა ვაზის ჯვრით, წმინდანის გამოსახულების ქვეშ მიწერილი იყო ანას სტრიქონები: “მოდოდა, ნინო მთებით მოდოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი”. იქვე გამოსახული იყო ანას ლექსის მწყემსი, რომელსაც მიწერილი ჰქონდა პოეტის სტრიქონები: “მწყემსა ჰკითხა, რომელია ქართლის გზაი? მწყემსმა უთხრა: “საქართველო არის ესე”.

ეკლესიის კედელი მოუხატავს არგვეთელ ნიკოლოზ ლიკლიკაძეს 80-იან წლებში (1, 256).

1946 წლის 12 მაისს პოეტის ხელნაწერებით მოხიბლულმა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა ასეთი შინაარსის ლექსი დაუწერა და მოგვიანებით გაუგზავნა ანას:

“მხოლოდ გუმინ ვესაუბრე ლექსებს, ო, სად იყავ, სიმღერებო მთების! დაემატე საქართველოს ფრესკებს, აქვითინდი უჩვეულო ხმებით” (1, 357).

პოეტი მუხრან მაჭავარიანი, რომელიც მოხიბლულია ანას “ფერადი სულის გამოსხივებით”, აცხადებს: “ვერც ერთი საუკუნის საქართველო, გარდა მეოცისა, ვერ დაიქაღნებს ისეთ პოეტ ქალს, როგორცაა ანა კალანდაძე, ღირსი დაფნისა” (2, 122).

ანას მცნობთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს “ხევსურული ქრონიკების” ავტორს ნათელა ბალიაურს, ცნობილი ფოლკლორისტის – ალექსი ოჩიაურის მეუღლეს. მათ ჰყავდათ ოთხი სახელოვანი შვილი – მარო ოჩიაური, ბოტანიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი, თინათინ ოჩიაური, ეთნოგრაფი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, მთელ საქართველოში ცნობილი მოღვაწეები – ირაკლი და გიორგი ოჩიაურები.

ნათელა ოჩიაური ანას “ბუბაისშვილთა” (არწივის ეპითეტია – ნ.ო.) გარემოცვაში ხედავდა და წერდა: “გისურვებ..., რომ შენმა ხელთუქმნელმა და თვალითუხილავმა ქათიბმა თავის ელვარებით ქვეყანა შემოიაროს...”

“შენი კალამი იმ ხმლებზე უფრო ბასრია, რომლებსაც სამშობლოს დასაცავად აელვებდეს რჩეული გულოვანი კაცები: მამუკა, ბერდია, ზეზვა, ხომურაული და ის შენი ლექსების ისტორიული გმირები... შენ... ამ რჩეულებთან პირნათლად დგახარ და უფრო დადგები... ჯერ საქართველოს ბუნებას ამდენი და ასეთი წყალობა არ გაუმეტებია...”

“შენ ქალი კი არა, ხმალი ხარ, დავითფერული... ყველაფერი ქრება, მაგრამ პოეტის სიტყვა – არა!”

“მკითხველები ისე ეგებებიან შენს ლექსებს მთასა თუ ბარში, როგორც მინდორ-ველთ გაბნეულნი თესლნი და ფესვნი, ზამთარგამოვლილნი ეგებებიან მზის სითბოს გაზაფხულზე” 91, 189, 190, 222, 164).

ნათელა ბალიაურის ნაამბობი არაერთგზის გამოიყენა პოეტმა და ასევე უკვდავყო იგი მისდამი მიძღვნილი ლექსებით.

ანას პოეზიას ნამს დანატრებული ყვავილებივით ელოდნენ ფშავში, ხევსურეთში. შემთხვევით როდი ეუბნება ხევსური თორღვა პოეტს: “ისე მიცვნია შენი ყოველი ლექსი, როგორც კალმახი ვიცი ასაის წყალში!” (“შეხვედრა ლუდით შემთვრალ თორღვასთან ახიელში”). თორღვას პროტოტიპი ყოფილა პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურის ძმა ციცქნა ჯაბუშანური.

მეოცე საუკუნის ქართულ კრიტიკასა და ლიტერატურის ისტორიაში პოეტის “მცნობნი” ჩვენ უკვე დავასახელებთ ნაშრომის შესავალში.

ანას ამაღლებული, ღვთაებრივი ინტონაციებით მოხიბლულმა აღ. აბაშელმა პოეტის ლექსებს “ღვთაებრივი ზედაში”, “მშვენიერი ლოცვები” უწოდა.

ანას ლექსები ინადირებდა როგორც უმაღლესი ინტელექტის, წმინდა სულის ელიტას, ისე ცოდვილთაც... მცდარ გზაზე აღმოჩენილნი, სულის საოხად მიმართავდნენ ანას პოეზიას, განუმეორებელი ლექსების ავტორთან შეხმიანება გულის მალამოს, ჯადოსნური წამლის ფუნქციას ასრულებდა.

ერთხელ ანამ პატიმრის წერილი მიიღო, ადრესატმა პასუხი ლექსად გაუგზავნა, ციხის ბინადარმა უპასუხა მადლობით: “კეთილმა ანგელოზმა გამოგზავნა ძვირფასი საჩუქარი”. პატიმარი გაათავისუფლეს.

გახალხურდა და სასიმღეროდ იქცა “საქართველო ლამაზო”. ღვთაებრივი მელოდიის ავტორი იყო ჟურნალისტი თემურ ნაცვლიშვილი (1, 76).

იმ დროს ლექსი გამოქვეყნებული არ იყო, ხელნაწერით გავრცელდა ხალხში, მას მთელი თბილისი მღეროდა და მღერის.

“ქარი გიმღერის ნანასა” – მოსკოვში ერთ სატელევიზიო გადაცემაზე წაიღილინა ზურაბ სოტკილავამ. “რატომ დაასრულეთ კლასიკური მუსიკის საღამო ხალხური სიმღერით?” ჰკითხეს მომღერალს (1, 100).

1970 წელს ბარსელონაში მომღერალთა საერთაშორისო კონკურსზე უმღერია ზურაბ სოტკილავას ეს სიმღერა უაკომპანიმენტოდ (1, 100).

1951წ. 25 დეკემბერს ამ სიმღერას მღეროდნენ შორეულ ციმბირში გადასახლებული ქართველები, რასაც ამოწმებს კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი (1, 101).

სერგო ზაქარიაძე ალბანეთში იმყოფებოდა ფილმის გადასაღებად. მას სთხოვეს, რამე წაეკითხა და გაიხსენა “საქართველო ლამაზო” (1, 125).

ფშაური ციკლი იმთავითვე გახდა პოპულარული, ერთმა თეთრწყაროელმა ხევესურმა პროკურორმა რუსთაველის პრემია ამ პრემიის მიღებამდე მიანიჭა პოეტს ფშაური ციკლისთვის (1, 76).

საბურთალოს ქუჩაზე, ახალ ბინაში გადმოსულ პოეტს მეზობლებმა ახარეს, რომ მის აივანთან (II სართულზე) “თავისით” ამოსულა თუთა. ეს იყო დიდი სიურპრიზი (1, 77).

“თუთა” ამღერებული ლექსია. მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ მერი დავითაშვილს.

“თუთა” ფერწერულ ტილოზე ასახა ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა. მხრებზე თმებჩამოშლილი ყმაწვილი ქალისთვის თუთას “თავზე გადაუსვამს ხელი”. სურათი გამოფენაზეც იყო. მხატვრის ვინაობა პოეტისთვის უცნობია (1, 98).

თემურ ნაცვლიშვილს ეკუთვნის ანას ლექსებზე შექმნილი მუსიკა: “ყაყაჩოსა სიწითლითა”, “ჟუჟუნა წვიმა მოვიდა”, “ეჰეი, მებორნევ!”

სიმფეროპოლში რუსმა სამხედრო დირიჟორმა დაწერა მუსიკა ანას რამდენიმე ლექსზე, რომლებიც ჟურნალ “ოგონიოკში” ნახა (1, 101).

ინგლისელმა კომპოზიტორმა რიჩარდ ჯონსმა 1958წ. თბილისში გამოცემული “ქართული პოეზიის ანთოლოგიის” (ინგლისურად მთარგმნელი ვენერა ურუშაძე) რამდენიმე ლექსზე დაწერა მუსიკა გუნდისა და ორკესტრისათვის, მათ შორის ანას ლექსზე “ო, მე კი არა, გული ხარხარებს” (1, 102).

ესტონელი მერიკე პაერი ანას ლექსებს თარგმნიდა და აინტერესებდა ინფორმაცია წმინდა ნინოზე (1, 104).

ლიტერატურა

1. ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. 2, თბ., 1995.
2. “ცისკარი”, 1974, N12.
3. “კომუნისტი”, 1981, 25 სექტემბერი.